

სოციალური ღვაწი

(ზრომა, პენსია, კომპენსაცია)

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2017, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2017, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2017, №9

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2017, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. შრომითი დავები

იკულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელსახელმწიფო

№ბს-647-640(2კ-კს-16)

9 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 11 სექტემბერს მ. უ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1993 წლიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში – საჰაერო თავდაცვის დარგში, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმართულ ბრძოლებში და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი ჯილდო მაღალი პროფესიონალიზმისა და თავდადებისათვის.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 1 ივლისის №1772 ბრძანების საფუძველზე მოსარჩელეს დაეკისრა ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ... მოვალეობის შესრულება. 2015 წლის 18 მარტის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მ. უ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. მოსარჩელემ რამდენიმეჯერ მიმართა განცხადებით საქართველოს თავდაცვის მინისტრს იმ მიზეზით, თუ რამ განაპირობა მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანა, ასევე მიუთითა, რომ 2015 წლის 18 ივლისის ინურებოდა მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა, მაგრამ სა-

ქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი, ავიაციის პოლკოვნიკი მ. უ-ა შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2015 წლის 18 ივლისიდან იქნა დათხოვნილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან მისი დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის კადრების განკარგულებაში გადაყვანის დღიდან მ. უ-ას შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სარდლის საჰაერო თავდაცვის დარგში ... თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და მ. უ-ას სასარგებლოდ კადრების განკარგულებაში გადაყვანის დღიდან – 2015 წლის 18 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდზე ყოველთვიურად 3500 ლარის ოდენობით განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. უ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანება მ. უ-ას შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილ ვადაში გამოცემა დაევალა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. უ-ა 1993 წლიდან 2014 წლის 1 ივლისამდე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის დარგში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 1 ივლისის №1772 ბრძანების საფუძველზე მას დაეკისრა ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ... მოვალეობის შესრულება. 2015 წლის 18 მარტის თავდაცვის მინისტრის №MOD 715 00000881 ბრძანებით მ. უ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და კადრების განკარგულებაში იქნა გადაყვანილი, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის იმავე წლის 12 აგვისტოს ბრძანებით მოსარჩელე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2015 წლის 18 ივლისიდან იქნა დათხოვნილი.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მი-

ნისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამსახურე თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან და გადაყავთ კადრების განკარგულებაში: ა) სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისას (მათ შორის, შტატით განსაზღვრული თანამდებობის გაუქმებისას); ბ) მინისტრის ან მისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლებამოსილი თანამდებობის პირის შესაბამისი გადანყვეტილებით სამსახურებრივი გადაადგილებისას შესაბამისი თანამდებობის შერჩევამდე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარებში მ. უ-ას კადრების განკარგულებაში აყვანის დროს რეორგანიზაცია და შტატების შემცირება არ განხორციელებულა. შესაბამისად, მისი კადრების განკარგულებაში აყვანის საფუძველი იყო თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც მითითებული იყო 2015 წლის 18 მარტის ბრძანებაში. ამასთან, სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ მ. უ-ასათვის კადრების განკარგულებაში ყოფნისას სხვა თანამდებობა არავის შეუთავაზებია. ამდენად, ბრძანება მოსარჩელის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან არ იკვეთებოდა, თუ რა ღონისძიებები გაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მ. უ-ასათვის ახალი თანამდებობის შერჩევისას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიცია, რომ მ. უ-ა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო უნდა დაეთხოვათ სამსახურიდან, რადგან სავალდებულო იყო მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურისათვის შეერჩიათ და შეეთავაზებინათ სხვა თანამდებობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას, თუ რა ქმედითი ღონისძიებები განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელისათვის სხვა თანამდებობის შერჩევისას და იყო თუ არა შესაძლებელი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადაში მ. უ-ას სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ან დანიშვნა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო

საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანება მ. უ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალებოდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევდა მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებული იყო ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოეცა სამსახურიდან გათავისუფლებას ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენდა სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდებოდა. ვინაიდან, სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო გასაჩივრებული ბრძანება, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელის კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენისა და ამ აღდგენის თანმდევი იძულებით განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. უ-ამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით მ. უ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. უ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანება მ. უ-ას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალა შეერჩია და მ. უ-ასთვის შეეთავაზებინა კონკრეტული თანამდებობა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; დანარჩენ ნაწილში მ. უ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 მარტის სხდომაზე აპელანტ (მოსარჩელე) მ. უ-ას მიერ დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად, აპელანტმა მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალებოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კონკრეტული თანამდებობის შეთავაზება (მოსარჩელე საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნას სადავოდ ხდის ერთ-ერთი საფუძვლით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში არ შეუთავაზებია შესაბამისი თანამდებობა).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითება, რომ თავდაცვის მინისტრის 21/07/2011 წლის №583 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კადრების განკარგულებაში გადაყვანილი პირისათვის კონკრეტული თანამდებობის შერჩევა-შეთავაზება წარმოადგენდა სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა თავდაცვის მინისტრის 21/07/2011 წლის №583 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური

შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დანაწესზე: „მოსამსახურეს შეეთავაზება თანამდებობა, თუ არსებობს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა“, რაც გულისხმობს თავდაცვის სამინისტროს იმპერატიულ ვალდებულებას დაადგინოს/მოიძიოს/შეარჩიოს კონკრეტული თანამდებობა კადრების განკარგულებაში მყოფი პირისათვის მხოლოდ ამ პროცედურის გავლის შემდეგ, თუ სამინისტრო დაადგენს, რომ არ არსებობს კადრების განკარგულებაში მყოფი პირის შესაფერისი თანამდებობა, თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია დაითხოვოს კადრების განკარგულებაში მყოფი პირი საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან.

სააპელაციო პალატამ, ასევე, არ გაიზიარა აპელანტის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითება იმ გარემოებაზე, რომ მ. უ-ასათვის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში იყო ცნობილი, რომ მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა, იმავდროულად, წარმოადგენდა გაფრთხილებას სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ. რადგან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამონაწერში უფლებამოსილი იყო, გამოეცა მისი სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება. აპელანტმა ზემოაღნიშნული მოსაზრება დააფუძნა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 21/07/2011 წლის №583 ბრძანების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე. ამ ნორმის თანახმად, რეორგანიზაციასა და შტაბების შემცირებასთან დაკავშირებით მოსამსახურის დათხოვნის/განთავისუფლების შემთხვევაში, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმავდროულად წარმოადგენს გაფრთხილებას სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის/განთავისუფლების შესახებ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული მუხლით გათვალისწინებული ზოგადი დათქმა არ ათავისუფლებდა თავდაცვის სამინისტროს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კადრების განკარგულებაში მყოფი პირისათვის დაედგინა/მოეძია/შეეჩრია კონკრეტული თანამდებობა, რაც უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი გარემოება იყო მოცემული საქმი-

სათვის.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული ბრძანება ეწინააღმდეგება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 21/07/2011 წლის №583 ბრძანების მე-13 მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ გაუტარებია შესაბამისი ზომები მ. უ-ას ახალი თანამდებობის შერჩევისათვის. პალატის მოსაზრებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურისთვის შეერჩია და დაედგინა შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის არსებობა-არარსებობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეეთავაზებინა შესაბამისი თანამდებობა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანება მ. უ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და დავეალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეარჩიოს და შესთავაზოს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა მ. უ-ას.

პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. ამავე კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2016 წლის 11 აპრილის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის (საქმე №33-167-17) გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. უ-ამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრისა და 28 ოქტომბრის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. უ-ას საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; მ. უ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებაზე, მ. უ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორის – მ. უ-ას მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებული ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი და სამინისტროს დაევალა მ. უ-ას შეურჩიოს და შესთავაზოს კონკრეტული თანამდებობა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, ხოლო იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურე-

ბისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების ნაწილში მას უარი ეთქვა. ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე და 127-ე მუხლები გაგებულა იმგვარად, რომ თუ საჯარო მოხელეს სასამართლო აღადგენს იმ კონკრეტულ თანამდებობაზე, რომელი თანამდებობაც მას ეკავა და გათავისუფლებული იქნა უკანონოდ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ანაზღაურდება განაცდური ხელფასი, სხვა შემთხვევაში თანხა ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

კასატორის განმარტებით, იგი ავიაციის პოლკოვნიკია, რომელიც 1993 წლიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის დარგში, მისი წელთა ნამსახურობისა და ღვაწლის მიხედვით განისაზღვრა ყოველთვიური ხელფასი 3500 ლარის ოდენობით; მითითებული ბრძანებულებების შესაბამისად, მ. უ-ას ნოდებრივი სარგო იქნება უცვლელი, რა თანამდებობაზეც არ უნდა დაინიშნოს იგი. ამ კატეგორიის მოხელეებისთვის ცალსახად დადგენილია ყოველთვიური ხელფასი – 3500 ლარი. კასატორის მითითებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით კასატორი დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი სამსახურში და გამოიცა ახალი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №MOD 216 00002595 ბრძანება, სადაც მითითა, რომ „ავიაციის პლკოვნიკ მ. გ. უ-ას გაცდენილი დრო ჩაეთვალოს ნამსახურების წლებში“, ასეთ ვითარებაში, აღნიშნული პერიოდი ექვემდებარება თუ არა ანაზღაურებას. აქედან გამომდინარე, კასატორმა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და იძულებითი განაცდური ხელფასისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. უ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მ. უ-ა 1993 წლიდან 2014 წლის 1 ივლისამდე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო თავდაცვის დარგში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 1 ივლისის №1772 ბრძანების საფუძველზე მას დაეკისრა ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის

... მოვალეობის შესრულება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის №MOD 715 00000881 ბრძანებით მ. უ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანებით მოსარჩელე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2015 წლის 18 ივლისიდან. დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ მოპასუხეს მოსარჩელისთვის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში რაიმე თანამდებობა არ შეუთავაზებია.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად, მ. უ-ამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კონკრეტული თანამდებობის შეთავაზების დავალება მოითხოვა (მოსარჩელე საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნას სადავოდ ხდის ერთ-ერთი საფუძვლით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში არ შეუთავაზებია შესაბამისი თანამდებობა).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით მ. უ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. უ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანება მ. უ-ას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა შეერჩია და მ. უ-ასთვის შეეთავაზებინა კონკრეტული თანამდებობა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; დანარჩენ ნაწილში მ. უ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; მ. უ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებაზე, მ. უ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მ. უ-ას საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715 00002735 ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალდებულება შეარჩიოს და შესთავაზოს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობა მ. უ-ას, არ ქმნის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ ნაწინამძღვრებს, რათა ანაზღაურდეს მოთხოვნილი განაცდური ხელფასი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმის მასალებისა და მტკიცებულებების ობიექტური შეფასებიდან, რადგან გასაჩივრებული ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ გაუტარებია შესაბამისი ზომები მ. უ-ასათვის ახალი თანამდებობის შერჩევისათვის. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურისათვის შეერჩია და დაედგინა შესაბამისი თანამდებობის არსებობა-არარსებობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში შეეთავაზებინა შესაბამისი თანამდებობა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის შერჩევის პროცედურა არ უწარმოებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არსებითად ბათილად ცნო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს №MOD 715

00002735 ბრძანება მ. უ-ას საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაავალა არა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა მ. უ-ას სამუშაოზე აღდგენის თაობაზე, არამედ დაავალა მ. უ-ასთვის კონკრეტული თანამდებობის შერჩევა და შეთავაზება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ამასთან, 2016 წლის 11 აპრილის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის (საქმე №3ბ-167-17) გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 127.5 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37.1 მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – მ. უ-ას მოსაზრებებს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაავალა მ. უ-ასთვის კონკრეტული თანამდებობის შერჩევა და შეთავაზება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში (რაც მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად), რის საფუძველზეც გამოიცა მ. უ-ას საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში აღდგენის და თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №MOD 216 00002595 ბრძანება. მითითებულ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ „ავიაციის პოლკოვნიკ მ. გ. უ-ას გაცდენილი დრო ჩაეთვალოს

ნამსახურების წლებში“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მ. უ-ა 2016 წლის 15 ივლისიდან აღდგენილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და დანიშნულ იქნა თანამდებობაზე, მას შეეძლო ესარგებლა კუთვნილი შვებულებით, შესაბამისად, მოთხოვნა კუთვნილი შვებულების ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა.

ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ მ. უ-ას წელთა ნამსახურობისა და ღვაწლის მიხედვით, განესაზღვრა ყოველთვიური ხელფასი – 3500 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს ნოდებრივ უცვლელ სარგოს, რა თანამდებობაზეც არ უნდა დაინიშნოს იგი. ამ კატეგორიის მოხელეებისთვის ცალსახად დადგენილია ყოველთვიური ხელფასი – 3500 ლარი.

საკასაციო სასამართლო იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს საკასაციო სასამართლოს არსებულ პრაქტიკაზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განჩინება საქმე №ბს-171-160(კ-07)).

„საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურში აღდგენის ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ითვალისწინებს სამომავლო უფლების აღდგენას. კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების დადგენა, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 05.01.05წ. №24-კ ბრძანების ბათილად ცნობა წარმოშობს ადმინისტრაციის ვალდებულებას აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ადასტურებს იმას, რომ მუშაკი იმავდროულად პასუხობდა იმ სალიკვიდაციო მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინებოდა ა. ი.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ გარდაიღი ხელფასის მქონე მოსამსახურეს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება აუნაზღაუროს ა. ი.-ს განაცდური ხელფასი გათავისუფლებიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე ანუ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამ-

დე ნიშნავს იმას, რომ განაცდური ხელფასის ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის საშუალო ანაზღაურება, რომელსაც ა. ი. იღებდა მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე, განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი აქტის გამოცემამდე არსებული ანაზღაურების შესაბამისად.

სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავს ისეთ ანაზღაურებას, როგორცაა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება (კვების დანამატი), შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოების თანხების (პრემიის) ანაზღაურება“.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც, მათ შორის – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის № 158 კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-10 მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ანიჭებს უფლებას სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე, ხოლო 1963 წლის რეკომენდაციის № 118 (Termination Of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფი ითვალისწინებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებას მიუღებელ ხელფასზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სამართლოების დასკვნები მ. უ-ას სარჩელზე – იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში უარის თქმის შესახებ, დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გა-

დანყვეტილების მიღების წინაპირობები, რომლითაც მ. უ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. უ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება მ. უ-ასთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. უ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალოს მ. უ-ასთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე;

5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გამოუყენებელი შვეჯულების ანაზღაურების
საფუძველი**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-651-644(2კ-16)

7 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. გ-მა, ნ. ე-ამ, არასრულწლოვნებმა – ა. გ-მა, ლ. გ-მა, დ. გ-მა (კანონიერი წარმომადგენლები – დ. გ-ი, ნ. ე-ა) 2014 წლის 10 ნოემბერს სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მოითხოვეს: „დ. გ-ის დამატებითი შვებულების შესახებ“ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 24 ოქტომბრის №3/10 ბრძანების ბათილად ცნობა ძალაში შესვლის დღიდან; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დ. გ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით უმოქმედობით მიღებული უარმყოფელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგებლისათვის დავალდებულება, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ტერიტორიული ერთეულის – ქვემო ჩუღურეთის უბნის სამსახურის (განყოფილების) ... სამტატო თანამდებობაზე გამწესებული დ. გ-ის ანაზღაურებად შვებულებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაუყოვნებლივი გამოცემა; მოცემულ საქმეზე სარჩელის სრული ან ნაწილობრივი დაკმაყოფილების პირობებში მისაღები გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოსარჩელის კანონიერი ინტერესისა და მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით; მოპასუხეებისათვის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის მუ-

ნიციპალიტიკის მერიისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ პროცესის ხარჯის დაკისრება – სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით ადვოკატის დახმარებისათვის 0 (ნული) ლარისა და 01 (ერთი) თეთრის მოსარჩელისათვის ანაზღაურება; მოპასუხეებისათვის – ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის მერიისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ პროცესის ხარჯის სახით 12 ლარის ანაზღაურების დაკისრება, გაღებული მოსარჩელის მიერ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისას; მოპასუხეებისათვის – ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის მერიისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ 2012, 2013 და 2014 წლებში მოსარჩელის მიერ გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების სრული ანაზღაურების დაკისრება, თანამდებობრივ სარგოში შემავალი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით; მოპასუხეებისათვის – ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის მერიისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ კუთვნილი (შეჩერებული) ხელფასის ანაზღაურების დაკისრება „დ. გ-ის დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების შესახებ“ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2014 წლის 24 ოქტომბრის №3/10 ბრძანების დ. გ-ისათვის გაცნობის დღიდან, მოცემულ საქმეზე მისაღები შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე; მოპასუხეებისთვის – ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის მერიისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ პროცესის ხარჯის სახით დაკისრება, სასამართლოს გარეშე ხარჯის – სასამართლოში გადაადგილების უზრუნველყოფად გაწეული ხარჯის – 10 ლარისა და 00 თეთრის ანაზღაურება, რაც გაღებულ იქნა მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლების სასამართლოში გამოცხადებისათვის, როგორც სარჩელის შეტანის ეტაპზე, ასევე საქმის განხილვის მიზნით სხდომაზე გამოცხადებისათვის.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ შრომით ურთიერთობაშია მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტიკის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან და მუშაობს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ქვემო ჩუღურეთის უბნის სამსახურის ... თანამდებობაზე. მოსარჩელეები დ. გ-ი და ნ. ე-ა 2011 წლის 18 ივნისიდან არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2014 წლის 27 სექტემბერს დ. გ-სა და ნ. ე-ას შეეძინათ ორი – ვაჟი ლ. გ-ი და დ. გ-ი. 2014 წლის 1 ოქტომბერს (რეგ. №12/14274472-22) დ. გ-მა განცხადებით მი-

მართა ჩულურეთის რაიონის გამგებელს, სადაც მიუთითებდა, რომ მას 2014 წლის 27 სექტემბერს შეეძინა ორი ვაჟი, მათ გარდა ჰყავს კიდევ ერთი შვილი, მშობიარობის შემდეგ კი მისი მეუღლე მძიმე მდგომარეობაში იყო, რის გამოც მოითხოვა კუთვნილი დეკრეტული შვებულება ბავშვის მოსაველეად. 2014 წლის 1 ოქტომბერს მოსარჩელე დ. გ-მა განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს და განუმარტა, რომ მუშაობს ჩულურეთის რაიონის გამგეობაში, ქვემო უბნის ... თანამდებობაზე. მას ჰყავს 3 წლის შვილი, 2014 წლის 27 სექტემბერს შეეძინა ტყუპები. 2014 წლის 30 სექტემბერს მიმართა ჩულურეთის რაიონის გამგეობას, კერძოდ, კადრების განყოფილების უფროსს მისი კუთვნილი დეკრეტული შვებულების ასაღებად, ბავშვის მოვლის გამო, რაც გათვალისწინებული არის კანონმდებლობით, რაზეც უთხრეს სიტყვიერი უარი, შემდეგ მოითხოვა წერილობითი ახსნა-განმარტება აღნიშნულზეც უთხრეს უარი და მოითხოვა რეაგირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩულურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 24 ოქტომბრის №3/10 ბრძანებით დ. გ-ს მიეცა დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო 2014 წლის 24 ოქტომბრიდან 2015 წლის 15 იანვრის ჩათვლით. აღნიშნული ბრძანების საფუძველად მითითებულ იქნა ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“ 30-ე მუხლი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი და პირადი განცხადება. 2014 წლის 3 ნოემბრის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის №2587779 წერილით დ. გ-ს განემარტა, „იქიდან გამომდინარე, რომ მამაკაცისთვის დეკრეტული შვებულების მიცემა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, კომპეტენტური ორგანოების მიერ განეული კონსულტაციებისა და რეკომენდაციების, აგრეთვე, შრომის კოდექსის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და დ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა 2014 წლის 24 ოქტომბერს. კერძოდ, მიეცა დამატებითი შვებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – 12 კვირის ოდენობით. მას ასევე დამატებით განემარტა, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეს, მასზე ვერ გავრცელდებოდა ამ კანონით მოქმედი ნორმა, რადგან აღნიშნული განმარტავს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, დახმარებისა და კომპენსაციის გაცემის წესს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას მისცეს 12 კვირა დამატებითი შვებულება ისე, რომ არ მოუთხოვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 24 ოქტომბრის №3/10 ბრძანება „დ. გ-ის დამატებითი შვებულების შესახებ“; მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაევალა დაუყოვნებლივ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დ. გ-ის ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების მიცემასთან დაკავშირებით; მოსარჩელის მოთხოვნა – ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დ. გ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით უმოქმედობით მიღებული უარყოფელი გადაწყვეტილება – არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის მოთხოვნა – მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაეკისროს 2012, 2013 და 2014 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურება, თანამდებობრივ სარგოში შემავალი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით – არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის მოთხოვნა – მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაეკისროს დ. გ-ის სასარგებლოდ კუთვნილი (შეჩერებული) ხელფასის ანაზღაურება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 24 ოქტომბრის №3/10 ბრძანების დ. გ-ისათვის გაცნობის დღიდან, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების აღსრულებამდე – არ დაკმაყოფილდა; მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მოსარჩელე დ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურების ხარჯი – 0,1 ლარის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დადასტურების ხარჯი – 12 ლარის და სასამართლოში გადაადგილების უზრუნველსაყოფად განეული ხარჯი – 10 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. გ-მა, ნ. ე-ამ, არასრულწლოვანმა აპელანტებმა: ა. გ-მა, ლ. გ-მა, დ. გ-მა (კანონიერი წარმომადგენლები – დ. გ-ი და ნ. ე-ა) და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით, დ. გ-ის, ნ. ე-ას, არასრულწლოვანი ა. გ-ის, ლ. გ-ისა და დ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება 2012-2013-2014 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურებაზე უარის თქმისა და იძულებით შეჩერებული კუთვნილი 12 კვირის ხელფასის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც: სასარჩელო მოთხოვნა, 2012-2013-2014 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაეკისრა დ. გ-ის სასარგებლოდ 2012, 2013 და 2014 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურება; სასარჩელო მოთხოვნა, იძულებით შეჩერებული კუთვნილი 12 კვირის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაეკისრა დ. გ-ის სასარგებლოდ იძულებით შეჩერებული 12 კვირის ხელფასის ანაზღაურება; დ. გ-ის, ნ. ე-ას, არასრულწლოვნების ა. გ-ის, ლ. გ-ისა და დ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი; არ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის თაობაზე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაეკისრა აპელანტის სასარგებლოდ სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯი – 50 ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების უსაფუძვლობაზე და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოხელის უფლება, ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, არ არის დამოკიდებული სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების არსებობაზე, არც იმაზე, გამართლებება თუ არა განთავისუფლებული პირის ინტერესები სამსახურში უკანონო განთავისუფლების გამო აღდგენაზე, ასეთი მოთხოვნის საფუძვლიანობას არ აბათილებს ის ფაქტი, წარადგინა თუ არა განაცხადი განთავისუფლებულმა პირმა კუთვნილი შვებულებით სარგებლობისათვის მუშაობის პერიოდში. საქმის მასალებით დადგენილია, რომ დ. გ-ს 2012-2013-2014 წლებში არ უსარგებლია კუთვნილი შვებულებით. სარჩელი სასამართლო-

ში აღძრულია 2014 წლის 10 ნოემბერს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 57-ე მუხლის მიხედვით, მოხელის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და ამ კანონით გათვალისწინებულ დანამატს; ამავე კანონის 62-ე მუხლის მიხედვით მოხელისათვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით რომლის მოთხოვნის უფლება მას წარმოეშობა თანამდებობაზე დანიშნვიდან 11 თვის გასვლის შემდეგ; სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან შვებულების დროს ასანაზღაურებელი თანხა არ არის მოხელის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, მას უნდა აუნაზღაურდეს აღნიშნულ პერიოდში გამოუყენებელი კუთვნილი შვებულება.

პალატამ მიუთითა, რომ „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენცია (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება; პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლებას აღიარებს და განამტკიცებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. ამდენად, დასახელებული სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე, დასაქმებულის უფლება, ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოფის დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა; სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის დარღვეული უფლება სახეზეა, ვინაიდან მან სამი წლის განმავლობაში ვერ ისარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე ამ უფლების პირდაპირი აღდგენა შეუძლებელია, მოსარჩელის უფლების აღდგენა უნდა მოხდეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებით.

დ. გ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას წარედგინა დამატებითი გადანყვეტილების მიღების შუამდგომლობა და შენიშვნები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილისა და 2016 წლის 5 მაისის სხდომის ოქმებზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინებებით სხდომის ოქმზე წარდგენილი შენიშვნე-

ბის გაზიარებასა და დამატებით გადაწყვეტილების გამოტანაზე მხარეს უარი ეთქვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, სხვა დასაბუთებული განჩინებები და საოქმო განჩინებები საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. გ-მა, ნ. ე-ამ, არასრულწლოვნებმა – ა. გ-მა, ლ. გ-მა და დ. გ-მა (კანონიერი წარმომადგენლები – დ. გ-ი და ნ. ე-ა). თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება ასევე საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი – გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ 2012 და 2013 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების დაკისრების ნაწილისა, მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; დ. გ-ის, ნ. ე-ას, არასრულწლოვნების: ა. გ-ის, ლ. გ-ისა და დ. გ-ის (კანონიერი წარმომადგენლები: დ. გ-ი, ნ. ე-ა) საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება – გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ 2012 და 2013 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების დაკისრების ნაწილისა, დარჩა უცვლელად; ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისათვის დ. გ-ის სასარგებლოდ 2012 და 2013 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

კასატორის მოსაზრებით, უსამართლოა 2012 და 2013 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების მოთხოვნის დაკმაყოფილება სასამართლოს მხრიდან, რადგან დ. გ-ს არ მოუთხოვია აღნიშნული უფლებით სარგებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-

ჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აფასებს დ. გ-ის მიერ 2012-2013 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის 57-ე და 62-ე მუხლებით, რამდენადაც 2016 წლის 21 დეკემბრის №126 კანონის საფუძველზე აღნიშნული მუხლების ამოქმედება დადგენილია 2017 წლის 1 ივლისიდან, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს კანონის მითითებული მუხლები არ მოქმედებდა.

საკასაციო პალატა მიუთითებს დღეს მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დანესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. აღნიშნული კანონის 41-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. ამასთან, მოსამსახურეს შეუძლია გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შვებულება ნაწილ-ნაწილ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიხედვით ყველას აქვს პეროიდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება; ამდენად, დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით, უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. შვებულება არის დასაქმებულის უფლება, რომლის რეალიზება დასაქმებულის ნე-

ბის გამოვლენაზე დამოკიდებული. საქართველო „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის მონაწილეა (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით), რომელიც აღიარებს შვებულების უფლების გამოყენებას და ავალდებულებს ამ კონვენციის მონაწილე ყველა მხარეს უზრუნველყოს ამ უფლების დაცვა. ამასთან, კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, „ეროვნული კანონები ან წესები შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პირმა, რომელიც თავისი ყოველწლიური შვებულების განმავლობაში იმუშავეს ფასიან სამუშაოზე, შეიძლება დაკარგოს შვებულების პერიოდის ანაზღაურება“.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინა წლის შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის წესი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

შრომის კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში. კანონი ითვალისწინებს შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის შესაძლებლობას, რა დროსაც უნდა არსებობდეს ორი პირობა, პირველი – დასაქმებული უნდა იყოს თანახმა და მეორე თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე. კანონის აღნიშნული დანაწესი ანაზღაურებადი შვებულების გადატანის საშუალებას იძლევა, თუმცა არა უმეტეს ზედიზედ ორი წლის განმავლობაში. ანუ 2012 წლიდან 2013 წელს გადატანილი შვებულება, რომელიც არ იქნა სრულად გამოყენებული 2013 წელს, გაქარწყლდა და არ დამატებია მომდევნო წლების შვებულებას. ანალოგიური წესი ვრცელდება 2013 წელს გამოყენებულ შვებულებაზე. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დასაქმებულმა გადაწყვიტა, არ ესარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და მას აღარ ეკუთვნის 2012-2013 წლების შვებულების დღეების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, მოსარჩელეს შეეძლო, მოეთხოვა 2012 და 2013 წლების კუთვნილი შვებულების ანაზღაურება, შრომის კო-

დექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის – შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის უფლების გამოყენების შემთხვევაში. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ დ. გ-ს 2012-2013 წლებში მიმართული ჰქონდა დამსაქმებლისათვის კუთვნილი შვებულების მოთხოვნით. მოსარჩელემ მხოლოდ 2014 წლის 2 დეკემბერს დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა 2012 და 2013 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება. ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით ვერ დაამტკიცა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოთხოვნა შვებულების უფლების გამოყენების თაობაზე, წარდგენილი ჰქონდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისათვის, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენცია (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) და არასწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის (ამ კანონის პირველი – 124-ე მუხლები, 125-ე მუხლის მე-2 და მე-5-მე-9 პუნქტები ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან. მუხ. 128.2) 57-ე და 62-ე მუხლები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობას განაპირობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას არასწორად დააკისრა დ. გ-ის სასარგებლოდ 2012-2013 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები არ არსებობს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობა არასწორი სამართლებ-

რივი შეფასებითაა გამონვეული, ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა 2012-2013 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი (დაშვებულ ნაწილში) დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა დ. გ-ისათვის 2012-2013 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა 2012-2013 წლების გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლება პირადი
ბანცხადების (პატაკის) საფუძველზე**

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-802-794(კ-16)

28 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და
განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-მა 2016 წლის 20 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში
მოპასუხე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს
მიმართ, რომლითაც მოითხოვა საქართველოს სასჯელაღსრუ-
ლებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 იანვრის ბრძა-
ნების ბათილად ცნობა სამსახურიდან გათავისუფლების შესა-
ხებ; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამი-
ნისტროს გენერალური ინსპექციის 2016 წლის 11 იანვრის დას-
კვნის ბათილად ცნობა; თანამდებობაზე აღდგენა და მისთვის
სახელფასო განაცდურის მიცემა სამსახურში აღდგენამდე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარ-
ტამენტის უფროსის 2014 წლის 7 მაისის №3196პ/შ ბრძანებით
იგი გათავისუფლდა №19 დაწესებულების ... განყოფილების ინ-
სპექტორ-კონტროლიორის თანამდებობიდან, მის მიერ ამავე
დღეს სამუშაოდან გათავისუფლების მოთხოვნით წარდგენილი
პატაკის საფუძველზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის
გადანყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი საქართველოს სასჯელაღ-
სრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების
დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის
№19 დაწესებულების მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სა-
დავო საკითხის გადაწყვეტლად ნ. ბ-ის სამუშაოდან გათავი-
სუფლების შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფ-

როსის 2014 წლის 7 მაისის №3196პ/შ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დაევალა, ნ. ბ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. მოსარჩელის მოსაზრებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მიზანმიმართულად ახორციელებს ნ. ბ-ის მიმართ უკანონობას და მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, კვლავ ხდება ერთი და იმავე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხის მხრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 იანვრის №MOC1160000209 ბრძანება 2014 წლის 7 მაისიდან ნ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და მოპასუხეს დაევალა, ნ. ბ-ი აღადგინოს №19 დანესტრულების ... განყოფილების ინსპექტორის (კონტროლიორის) თანამდებობაზე; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 7 მაისიდან თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდისათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის განჩინებით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. დასახელებული ნორმით დაცულია არა მარტო უფლება, პირმა აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება, განახორციელოს, შეინარჩუნოს და დათმოს ეს სამუშაო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389,

26.10.2007). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით აღიარებულია ყოველი ადამიანის შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით გარანტირებული შრომის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოფილ იყოს პიროვნების მიერ სამუშაოს საკუთარი სურვილისამებრ არჩევის უფლება, მათ შორის, ვალდებულებას, არ მოხდეს პირისათვის მუშაობის უფლების უკანონოდ წართმევა. ამ განსაზღვრებით ხაზგასმულია, რომ პიროვნების და მისი ღირსების პატივისცემა გამოიხატება სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებაშიც, რაც ხელს უწყობს პიროვნების განვითარებასა და მის სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, საქართველოს კანონმდებლობა შრომითი უფლების შეწყვეტის მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებს ადგენს და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ შესაბამის ფარგლებში, თავისი უფლებამოსილების კანონიერად, კეთილსინდისიერად განხორციელების გზით შეუძლია ამ უფლების შეზღუდვა. საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და საჯარო სამსახურში ურთიერთობები უნდა შეესაბამებოდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულ შემდეგ პრინციპებს: ა) საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება; ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას; გ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა; დ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად; ე) მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ვ) საქვეყნობა; ზ) საჯარო სამსახურის უპარტიოება და საერო ხასიათი; თ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა; ი) მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა. სააპელაციო პალატამ დადგინოდად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დანესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხა-

დებას. საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე სააპელაციო პალატაც მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე მიიღო გადაწყვეტილება ნ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დავალების მიუხედავად, სათანადოდ არ გამოუკვლევიან, ნ. ბ-ის პატაკი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე შეესაბამებოდა თუ არა მის ნამდვილ ნებას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატაც მიიჩნევს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 11 იანვრის №MOC1160000209 ბრძანების გამოცემის საფუძველი მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ ყოფილა დადგენილი სათანადო წესით, შესაბამისად, მითითებული ბრძანება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით და არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი. სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს დავალების შესაბამისად, მოპასუხეს უნდა გამოეკვლია და დაედგინა, 2014 წლის 7 მაისს №19 დაწესებულების ... განყოფილების ინსპექტორის (კონტროლიორი), იუსტიციის ზემდეგი ნ. ბ-ის მიერ სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე პატაკის დაწერა შეესაბამებოდა თუ არა მის ნამდვილ ნებას. გათავისუფლების შემდეგ და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ნ. ბ-ი ამტკიცებდა, რომ მან 2014 წლის 7 მაისს პატაკის დაწერა გადაწყვიტა დაწესებულების დირექტორის მოადგილის – გ. პ-ის ზეგავლენით, როდესაც მორიგეობის შემდეგ, დილით, დაწესებულებიდან გასვლისას ამ უკანასკნელისაგან შესაბამისი მოთხოვნა მიიღო. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, დასკვნაში ასახულია და სადავო არ არის ფაქტები, რომ 2014 წლის 7 მაისს, მორიგეობის დასრულების შემდეგ ნ. ბ-ი სახლში ა. კ-ისა და ვ. ხ-თან ერთად ბრუნდებოდა, როდესაც დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ გ. პ-თან სასაუბროდ შეყოვნდა, რასაც გ. პ-თან ერთად შენობაში შესვლა და პატაკის დაწერა მოჰყვა. გენერალური ინსპექციის დასკვნის შესაბამისად, ნ. ბ-ის განმარტებები არ იქნა მიჩნეული სარწმუნოდ იმაზე მითითებით, რომ ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით ასახავდნენ ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთან, საწინააღმდეგო ფაქტები იქნა დადგენილი №19 დაწესებულების თანამშრომლების – ა. კ-ისა და ვ. ხ-ის, ასევე, გ. პ-ის ჩვენებების საფუძველზე. ა. კ-ისა და ვ. ხ-ის განმარტებების მიხედვით, მათ არ გაუგიათ, თუ რაზე საუბრობდნენ გ. პ-ი და ნ. ბ-ი და იძულების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. გ. პ-ის განმარტების მიხედვით კი, ნ. ბ-მა მას ოჯახუ-

რი პირობების გამო მოსთხოვა სამუშაოდან წასვლა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ დასახელებული მოწმეების ჩვენებები არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო სადავო გარემოების ობიექტურად ამსახველ, უტყუარ მტკიცებულებებად. გამომდინარე იქიდან, რომ სადავო სწორედ გ. პ-ის მხრიდან განხორციელებული ზენოლა იყო, შესაბამისი ფაქტის გ. პ-ის მიერ უარყოფა სრულიად ლოგიკურია, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მოლოდინი კი – ნაკლებად გონივრული. რაც შეეხება ა. კ-ესა და ვ. ხ-ს, მათ არ გაუგიათ, თუ რაზე საუბრობდნენ ნ. ბ-ი და გ. პ-ი, ამდენად, ისინი ვერც დაადასტურებდნენ და ვერც უარყოფდნენ იძულების ფაქტს. საქალაქო სასამართლომ მართებულად გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზეც, რომ როგორც ა. კ-ის, ასევე, ვ. ხ-ის ჩვენებების მიხედვით, მათ ნ. ბ-ისაგან 2015 წლის 7 მაისს, დილით ნ. ბ-ის გ. პ-თან გასაუბრებამდე არ გაუგიათ, რომ ნ. ბ-ი სამუშაოდან წასვლას აპირებდა, რაც სარწმუნოს ხდის ნ. ბ-ის განმარტებას მასზე, რომ ამგვარი განზრახვა სწორედ გ. პ-თან საუბრისას წარმოიშვა. რაც შეეხება ნ. ბ-ის ჩვენების სარწმუნოობის გამომრიცხავ დასკვნაში ასახულ მოსაზრებებს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებითაც, იგი ვერ ხასიათდება დამაჯერებლობით, ვინაიდან შესაბამისი მსჯელობა არ ეფუძნება ნ. ბ-ის განმარტებებს შორის არსებით განსხვავებებზე მითითებას. ამის გარდა, ნ. ბ-ის მიერ საკუთარი ნებით სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკის დაწერას საეჭვოს ხდის ის გარემოება, რომ 2014 წლის 7 მაისს იგი უკვე გასული იყო შენობიდან და სახლში ბრუნდებოდა ისე, რომ პატაკის დაწერასა და სამსახურიდან წასვლასთან დაკავშირებით არავისთვის უთქვამს რაიმე, დანესებულების ეზოში მსგავსი საკითხების შეთანხმების განზრახვაზე მითითება კი არ გამოირჩევა დასაბუთებულობით. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, თუ ნ. ბ-ი აპირებდა პატაკის დაწერას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ის ამ პატაკს დაწერდა სამსახურის შენობაში ყოფნის პერიოდში და საეჭვოა ის, რომ მას მხოლოდ სამსახურის ეზოში გ. პ-ის დანახვისას გაახსენდა, რომ პატაკი ჰქონდა დასაწერი. ამასთან, როგორც მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან, ასევე მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, პატაკის დაწერამდე ნ. ბ-ი მთელი ღამის განმავლობაში იყო მორიგე, რადროსაც მას არც მის ცვლაში მყოფ პირებთან და არც სამსახურის ადმინისტრაციასთან არ უთქვამს, რომ აპირებდა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკის დაწერას. უფრო მეტიც, ნ. ბ-ის განმარტებით, რაც სადავოდ არც მოპასუხე მხა-

რეს არ გაუხდია, მან პატაკის დაწერამდე, იმავე დღეს სამსახურში აიღო დაზღვევის ბარათი და რამდენიმე დღით ადრე ბანკში გააკეთა განაცხადი სესხის აღების თაობაზე, რაც სააპელაციო პალატას უქმნის შინაგან რწმენას იმის თაობაზე, რომ ნ. ბ-ი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკის დაწერას საკუთარი ნებით არ აპირებდა. სააპელაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ნ. ბ-მა პატაკი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დაწერა 2014 წლის 7 მაისს, ხოლო იმავე წლის 14 მაისსა და 21 მაისს განცხადებით (საჩივრით) მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს და საქართველოს სახალხო დამცველს, სადაც მიუთითებდა პატაკის იძულებით დაწერის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თუ ნ. ბ-ი აპირებდა სამსახურიდან თავისი ნებით წასვლას, მაშინ ის ერთ კვირაში აღარ დაინწყებდა ჩივილს პატაკის მისი ნების სანინაალმდეგოდ დაწერის თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატაც მიიჩნევს, რომ მოპასუხეს არ გააჩნდა საფუძველი არ გაეზიარებინა ნ. ბ-ის განმარტებები, რომელთა სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში შეფასება გამორიცხავდა იმ ფაქტს, რომ ნ. ბ-მა 2014 წლის 7 მაისს, პატაკის დაწერივას ნამდვილი ნება გამოავლინა. აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ ნ. ბ-ის მიერ პატაკის იძულებით დაწერის საკითხზე მსჯელობისას ფაქტობრივად დაადგინა, რომ გ. პ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს, რაც ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენა ნამდვილად არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ დაადგინა არა ვინმეს მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი, არამედ ნ. ბ-ის მიერ მისი ნების სანინაალმდეგოდ პატაკის დაწერის ფაქტი, რისი უფლებაც საქალაქო სასამართლოს ჰქონდა. საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგე-

ნილ უნდა იქნეს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგენა თავისთავში გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლებულ იქნა. მოცემულ შემთხვევაში ნ. ბ-ი სადავო ბრძანებით დაწესებულიების ... განყოფილების ინსპექტორის (კონტროლიორის) თანამდებობიდან გათავისუფლდა. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ გათავისუფლების უკანონოდ ცნობიდან გამომდინარე, მოპასუხე ვალდებულია ნ. ბ-ი აღადგინოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №19 დაწესებულების ... განყოფილების ინსპექტორის (კონტროლიორის) თანამდებობაზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ამ მოხელეს აღადგენს სამსახურში. იმავე კანონის 112-ე მუხლის მიხედვით, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებით გაცდენილი დროის შრომითი გასამრჯელო. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სამსახურიდან სადავო ბრძანებით 2014 წლის 7 მაისიდან გათავისუფლდა. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხე ვალდებულია ნ. ბ-ს აუნაზღაუროს მის მიერ ამოცემული უკანონო აქტით განპირობებული, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი 2014 წლის 7 მაისიდან სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდისათვის. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქალაქო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ნ. ბ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური დაეკისრებინა 2014 წლის 7 მაისიდან სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან შესაბამის პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი ითვალისწინებდა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის მხოლოდ სამი თვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო ბრძანების გამოცემის პერიოდში მოქ-

მედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, მართალია, ითვალისწინებდა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის მხოლოდ სამი თვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, მაგრამ ეს ნორმა გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს იძულებითი განაცდურის მხოლოდ სამი თვის ანაზღაურების თაობაზე არსებული შემზღუდველი ნორმა აღარ არსებობდა, ამიტომ საქალაქო სასამართლოს უფლება ჰქონდა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრებინა მთლიანი იძულებითი განაცდური ხელფასი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში არ არის ასახული, თუ რის საფუძველზე იზიარებს სასამართლო მხოლოდ ნ. ბ-ის ახსნა-განმარტებას და რატომ არ იზიარებს იმ თანამშრომლების ახსნა-განმარტებას, რომლებიც მეტნაკლებად ინფორმირებულები არიან ნ. ბ-ის მიერ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკის დანერის შესახებ. სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ არსებითად შესწავლისას იძულების ფაქტი ვერ დადგინდა, რაც დასტურდება 2016 წლის 11 იანვრის დასკვნით. აღნიშნულ დასკვნაზე სასამართლომ განმარტა, რომ დასკვნა გამოტანილია საქმის გარემოებათა არასწორი შეფასების შედეგად და სასამართლოს არასწორ შეფასებად მიაჩნია ის გარემოება, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიღებულ დასკვნაში არ იქნა გაზიარებული ნ. ბ-ის ახსნა-განმარტება, სადაც ის უთითებს, რომ მან 2014 წლის 7 მაისს პატაკი დანერა დაწესებულების დირექტორის მოადგილის პ-ის ზეგავლენით, როდესაც მორიგეობის შემდეგ, დილით დაწესებულებიდან გასვლისას ამ უკანასკნელისგან შესაბამისი მოთხოვნა მიიღო. აღნიშნული არ გაიზიარა გენერალურმა ინსპექციამ, რადგან საქმის არსებითად შესწავლისას იძულების ფაქტის დამადასტურებელი გარემოებების მტკიცებულება გენერალურ ინსპექციას არ ჰქონდა და ვერც მხოლოდ ნ. ბ-ის ახსნა-განმარტებამ დაარწმუნა გენერალური ინ-

სპექცია იმაში, რომ ნ. ბ-ის მიმართ, რაიმე სახის იძულებას ჰქონდა ადგილი. ნ. ბ-ის საქმეზე გამოკითხულ იქნა არაერთი მოწმე, რომლებიც 2014 წლის 7 მაისს იმყოფებოდნენ მასთან ერთად და მიუთითებენ, რომ ეზოში იდგა გ. პ-ი და მასთან ყოველგვარი დაძახების გარეშე თავად ნ. ბ-ი მივიდა, თუმცა რა თემაზე საუბრობდნენ ისინი არ ესმოდათ. თავად ნ. ბ-ი კი სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი მიმართვისას განცხადებებში ფაქტობრივ გარემოებებს უთითებდა განსხვავებულად, რაც ადასტურებს, რომ ნ. ბ-ი არ ამბობს სიმართლეს რა მოხდა. ნ. ბ-ის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს არ ადასტურებენ ა. კ-ე და ვ. ხ-ი და სრულიად განსხვავებულად გადმოსცემენ ფაქტობრივ გარემოებებს. ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველმა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ნ. ბ-ის მიმართ ადგილი ჰქონდა იძულებას, თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს მყარი მტკიცებულება და არც დასაბუთება. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება მხოლოდ ნ. ბ-ის ახსნა-განმარტებაზეა დამყარებული და არ არის ასახული თუ რატომ არ გაიზიარა ა. კ-ისა და ვ. ხ-ის ახსნა-განმარტება სააპელაციო სასამართლომ და რატომ მოხდა მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების გარეშე ნ. ბ-ის ახსნა-განმარტების საკმარის მტკიცებულებად განხილვა სააპელაციო სასამართლოსათვის განჩინების მისაღებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინებით სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 7 მაისის №3196პ/შ ბრძანებით ნ. ბ-ი გათავისუფლდა №19 დაწესებულების ... განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის თანამდებობიდან, მის მიერ ამავე დღეს სამუშაოდან გათავისუფლების მოთხოვნით წარდგენილი პატაკის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 დაწესებულების მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ნ. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 7 მაისის №3196პ/შ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დაევალა, ნ. ბ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის – ც. ტ-ის 2015 წლის 8 აპრილის წერილით განიმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესაბამისად, გამოკითხულ იქნა ნ. ბ-ი და №19 დაწესებულების თანამშრომლები – ... განყოფილების უფროსი ზ. ო-ე, ... განყოფილების ინსპექტორი (კონტროლიორი) ა. კ-ე და ამავე თანამდებობაზე მყოფი ვ. ხ-ი. ც. ტ-ის განმარტებით, წარმოებული გამოკითხვებით ნ. ბ-ის მიმართ 2014 წლის 7 მაისის პატაკის დაწერისას იძულების ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 8 აპრილის №MCLA71500001492 ბრძანებით სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 დაწესებულების ... განყოფილების ინსპექტორი, იუსტიციის ზემდგომი ნ. ბ-ი 2014 წლის 7 მაისიდან დათხოვნილ იქნა სისტემის ორგანოდან პირადი პატაკის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 8 აპრილის №MCLA71500001492 ბრძანება ნ. ბ-ის სისტემის ორგანოდან დათხოვნის შესახებ და მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაევალა, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვა-

დაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ნ. ბ-ის მიმართ გამოცემა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნით დადგენილ იქნა, რომ ნ. ბ-ის მიმართ 2014 წლის 7 მაისს სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკის დაწერისას რაიმე სახის იძულებას ადგილი არ ჰქონია. დასკვნის მიხედვით, აღნიშნული გარემოება დადასტურებულად იქნა მიჩნეული ა. კ-ის, ვ. ხ-ისა და გ. პ-ის ახსნა-განმარტებებით, რომლებმაც ჩვენება სასამართლოსაც მისცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით. რაც შეეხება ნ. ბ-ის განმარტებებს, იგი ხსენებული დასკვნით არ იქნა გაზიარებული, რადგან სხვადასხვა დროს შეიცავდა ფაქტების სხვადასხვა სახით აღწერას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 11 იანვრის №MOC1160000209 ბრძანებით №19 დანესებულების ... განყოფილების ინსპექტორი (კონტროლიორი), იუსტიციის ზემოევი ნ. ბ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2014 წლის 7 მაისიდან, გენერალური ინსპექციის 2016 წლის 11 იანვრის №22899 დასკვნის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ სადავო აქტის გაუქმების საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკი ნ. ბ-მა დაწერა დანესებულების დირექტორის მოადგილის ზენოლით და აღნიშნული არ წარმოადგენდა მის ნამდვილ ნებას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება ნ. ბ-ზე ზენოლის განხორციელების საფუძველზე განცხადების დაწერის თაობაზე არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის შესაბამისად, პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე, ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ისევეა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვა-

დით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ვადით ან უამისოდ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის №55 ბრძანების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გენერალური ინსპექციის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება. აღნიშნული ამოცანის განხორციელების მიზნით მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გენერალური ინსპექციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო, რომელიც დებულების მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე უზრუნველყოფს სამინისტროს გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლს, შესაძლო დარღვევის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას ამ დებულებით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში სადავო ბრძანების საფუძველად მითითებული გენერალური ინსპექციის 2016 წლის 11 იანვრის №22899 დასკვნა გამოცემულია სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გენერალური ინსპექციისათვის დებულების 21-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე. სადავო პერიოდში მოქმედი დებულების 27-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია სამინისტროს სისტემის მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, მოპოვებული მასალები გადაუგზავნოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში გენერალური ინსპექციის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის №55 ბრძანებით დადგენილი წესით სასამართლოს მითითების საფუძველზე ჩატარებული შემოწმებით – გენერალურმა ინსპექციამ უტყუარად და სარწმუნოდ დაადგინა პირის ნების გამოხატვის ნამდვილობის საკითხი. გენერალური ინსპექციის უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებული შემოწმებით დადგენილია, რომ ნ. ბ-ის მიერ სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკის დაწერა არ იყო პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, შანტაჟის, დაპირისპირებისა და სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული და პატაკის და-

წერისას იგი თავისუფლად გამოხატავდა მის ნებას. ამდენად, პირის სურვილი, აღარ იყოს დასაქმებული საჯარო სამსახურში გენერალური ინსპექციის მიერ, მიჩნეულ იქნა მისი კონსტიტუციური ნების გამოვლენად და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მიეცა რეკომენდაცია გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 დანესებულების ... განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის ნ. ბ-ის გათავისუფლების შესახებ – წერილობითი განცხადების (პატაკის) საფუძველზე თავისი ინიციატივით, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 95-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს, რომ პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დანესებულება დაკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას. სადავო არ არის, რომ ნ. ბ-ის 2014 წლის 7 მაისის განცხადება (პატაკი) დაკმაყოფილდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 7 მაისის №3196 პ/შ ბრძანებით, რაც 2014 წლის 14 მაისს გახადა სადავო ნ. ბ-მა. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ნ. ბ-ის მიერ ერთ კვირაში მისი გათავისუფლების ბრძანების გასაჩივრება მიჩნეულ უნდა იქნეს იმ გარემოების დადასტურებად, რომ ნ. ბ-ი არ აპირებდა თავისი ნებით სამსახურიდან წასვლას, რამდენადაც მოსარჩელე არ უთითებს რა შინაარსის ზენოლისა და მუქარის საფუძველზე მიმართა ადმინისტრაციას გათავისუფლების მოთხოვნით, ხოლო მხოლოდ იმ გარემოებაზე აპელირება, რომ განხორციელდა ზენოლა, არ შეიძლება საფუძველად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღნიშნული გარემოებები უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით, რაც მოცემულ შემთხვევაში ემყარება მხოლოდ ნ. ბ-ის მითითებას მის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტზე, რაც საქმეზე დაკითხული არც ერთი მოწმის ჩვენებით არ დგინდება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრებას მტკიცების ტვირთთან მიმართებაში და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს: უდავოა, რომ პირის პირადი განცხადების საფუძველზე საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოხელის გათავისუფლებამდე ხორციელდება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა, რაც, თავის მხრივ,

მუშაკის უფლებათა დაცვის გარანტიასა და უზრუნველყოფს მოსამსახურეთა ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ დაცვას, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობას და ა. შ. საკასაციო სასამართლო ამ ტიპის აქტების კანონიერების შემოწმების პროცესში არ არის კატეგორიული და საჭიროდ არ მიიჩნევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის უპირობო დაცვას, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. აღნიშნულის მიუხედავად, პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებული აქტის კანონიერების შემოწმების პროცესში სასამართლო ვერ გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ზოგადი პროცესის – შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის სავალდებულობას, რომლის შესაბამისადაც, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას უზრუნველყოფს, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა უზრუნველყო ნ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული ბრძანების კანონიერების დასაბუთება, რამდენადაც მოსარჩელის მიერ სათანადო მტკიცებულებებით ვერ იქნა დადასტურებული მისი სარჩელის საფუძველად მითითებული გარემოება – სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების (პატაკის) დაწერის იძულების თაობაზე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იძულება არ არის ფაქტი, იძულება არის სამართლებრივი შეფასება ფაქტებისა, რაზეც მიუთითებს მოსარჩელე და წარადგენს მტკიცებულებებს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არათუ არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულებები, სამართლებრივი შეფასებისათვის შესაბამის ფაქტებსა და მტკიცებულებებზეც არ ჰქონია მითითება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა, ასევე არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონ-

ნის ნორმები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო სარგებლობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და მოცემულ საქმეზე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ამ მოხელეს აღადგენს სამსახურში. მოცემულ შემთხვევაში ნ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნაზე – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობაზე უარის თქმის გამო, ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის განჩინება;
3. ნ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ
დისციპლინური ღონისძიების პროპორციულობა და
სადავო აქტის კანონიერების შეფასება**

განჩინება

№ბს-494-489(2კ-16)

13 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: მონაცემთა დამუშავების, სამსახურიდან გა-
თავისუფლების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

18.08.2014წ. მ. ზ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქარ-
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექ-
ციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ
და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გე-
ნერალური ინსპექციის 09.07.2014წ. №1309066 დასკვნის ბათი-
ლად ცნობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
17.07.2014წ. №1367557 ბრძანების ბათილად ცნობა, მ. ზ-ის პირ-
ვანდელ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის
ანაზღაურება 2014 წლის 17 ივლისიდან სამსახურში აღდგენამ-
დე ყოველთვიურად 1200 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2002 წლიდან მუშაობდა სამარ-
თალდამცავ ორგანოებში. 2013 წლიდან ეკავა საქართველოს ში-
ნაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პო-
ლიციის დეპარტამენტის, აჭარის ა/რ სამმართველოს ორგანი-
ზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების
თანამდებობა. 09.07.2014წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ შედგა დასკვნა, რო-
მელშიც მითითებულია, რომ 02.05.2014წ. მ. ზ-ეს მისმა მეგო-
ბარმა თ. კ-ემ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცულ
კომპიუტერულ ბაზაში არასამსახურებრივად მოეძიებინა და გა-
დაეცა მისთვის ინფორმაცია მოქალაქე ე. მ-ის და კონკრეტული
ავტომანქანის მფლობელის შესახებ, რაც შესრულდა მ. ზ-ის მი-

ერ, რომელმაც თავისი კუთვნილი გენერირების მონოპოლიზაციის მეშვეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში არასამსახურებრივად მოიძია ინფორმაცია ე. მ-ის და ავტომანქანის მფლობელის შესახებ, რაც იმავე დღეს მიაწოდა მოქალაქე თ. კ-ეს. ამდენად, პოლიციის მაიორმა მ. ზემ ჩაიდინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების 2.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) და „ვ“ ქვეპუნქტით (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) გათვალისწინებული გადაცდომა, რაც გამოიხატა მის მიერ შს სამინისტროს შიდა სამსახურებრივ პორტალზე დაშვების პაროლის გენერირების მონოპოლიზაციის არასამსახურებრივად გამოყენებაში, რითაც დაირღვა შს მინისტრის 24.08.2012წ. №709 ბრძანების მოთხოვნა, რომლთაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს აეკრძალათ შიდა საინფორმაციო სისტემაში მონაცემების მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება არასამსახურებრივი მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე შს გენერალური ინსპექციის მიერ შედგა სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მ. ზისათვის შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის შეფარდება. 17.07.2014წ. შს მინისტრის მიერ გამოიცა ბრძანება, რომლითაც, ფაქტობრივად, სრულად იქნა გაზიარებული შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, მ. ზ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა და ბრძანება გამოიცა კანონის უხეში დარღვევით და საქმის მნიშვნელოვან გარემოებათა გამოკვლევის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.09.2014წ. სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა სარჩელზე მოპასუხედ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნაცვლად, დაასახელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სხდომაზე დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 17.07.2014წ. №1367557 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.02.2015წ. გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ოპერატიული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს, ოპერატიული უზრუნველყოფის სამმართველოს II სამსახურის გამს ინსპექტორმა 26.05.2014წ. MIA 0 14 0098665ნ პატაკით მიმართა გენერალურ ინსპექციის უფროსს. პატაკის თანახმად, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს ... მ. ზ-ემ 2014 წლის მაისში მასზე განპიროვნებული პაროლის გენერირების მოწყობილობის „დიჯიპასის“ გამოყენებით, შსს შიდა საინფორმაციო პორტალიდან არასამსახურებრივად მოიძია ინფორმაცია: მოქალაქე ე. მ-ის დემოგრაფიული მონაცემებისა და ფოტოსურათის შესახებ, ამ უკანასკნელის მეუღლის საცხოვრებელი მისამართისა და ტელეფონის ნომრის შესახებ, მონაცემები BMW X5 მარკის ავტომანქანის, სახელმწიფო ნომრით ... , მფლობელის მ. ჩ-ის შესახებ და აღნიშნული მონაცემები გადასცა თ. კ-ეს. საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევის ფარგლებში საქართველოს შს სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მიერ 06.06.2014წ. გაცემული წერილობითი ინფორმაციით დასტურდება, რომ INFO.MIA.GE 01/04/2014-02/05/2014 პერიოდში ე. მ-ის, მ. ჩ-ის და ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით ... მფლობელის შესახებ ინფორმაცია გადაამონმა მ. ზ-ემ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებისას, თ. კ-ემ წერილობით ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ მ. ზ-ეს სთხოვა გადაემოწმებინა ინფორმაცია მის მეუღლეს, მ. ა-ს, ურეკავდა თუ არა ე. მ-ე. მ. ზ-ემ გადაამონმა აღნიშნული ინფორმაცია და აცნობა, რომ ნამდვილად ურეკავდა და ჰქონდათ ხანგრძლივი საუბრები. თ. კ-ის განმარტებით, მან სთხოვა მ. ზ-ეს ასევე გაერკვია ე. მ-ის მეუღლის ტელეფონის ნომერი და ინფორმაცია მისი სამუშაო ადგილის შესახებ, რაზეც მ. ზ-ემ უთხრა, რომ ე. მ-ის მეუღლე ენეოდა კომერციულ საქმიანობას, მანვე აცნობა აგრეთვე მისამართი. თ. კ-ის განმარტებით, მ. ზ-ემ ასევე მოიძია და სოციალური ქსელის მეშვეობით მიაწოდა მას ინფორმაცია ავტომანქანის (სახელმწიფო ნომრით ...) მესაკუთრის შესახებ და უთხრა, რომ აღნიშნული ავტომანქანა რეგისტრირებული იყო კერძო ფირმაზე, ასევე, გაუგზავნა იმ პირის ფოტოსურათი, რომელიც ამ ფირმის წარმო-

მადგენელი იყო და დაუდგინა მისი ვინაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ზ-ემ შიდა სამსახურებრივ პორტალზე ე. მ-ის, მ. ჩ-ის და ავტომანქანის სახელმწიფო ნომრით ... მონაცემები შეამოწმა და თ. კ-ეს გადასცა, რაც წარმოადგენს მოხელისათვის შეუფერებელ ქმედებას, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ მიიჩნია, რომ მ. ზ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანება არ ეწინააღმდეგება კანონს და გამოცემულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 41.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის და 59.3 მუხლის, საქართველოს შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შს სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35.2. მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და 35.4 მუხლის, საქართველოს შს მინისტრის 31.12.2013წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შს სამინისტროს დისციპლინური წესდების“ 1.1 მუხლის, 2.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის და 4.3 მუხლის, საქართველოს შს მინისტრის 24.08.2012წ. №709 ბრძანების, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის და 7.2 მუხლების მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, კოლეგიამ მიუთითა, რომ არ არსებობს სადავო ბრძანების ბათილად ცნობის, განაცდურის ანაზღაურებისა და ახალი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2016წ. გადანყვეტილებით მ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.02.2015წ. გადანყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც მ. ზ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 17.07.2014წ. №1367557 ბრძანება მ. ზ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში დათხოვნის თაობაზე და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. ზ-ის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო

განერალური ინსპექციის დასკვნა. აღნიშნული დასკვნის საფუძველი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ოპერატიული უზრუნველყოფის სამმართველოს ინსპექტორის პატაკი, რომელიც შედგენილია თ. კ-ის ახსნა-განმარტების საფუძველზე. ის გარემოება, რომ მ. ზ-ის მიერ იქნა მასზე განპიროვნებული შიდა სამსახურებრივ პორტალზე დაშვების პაროლის გენერირების მოწყობილობის მეშვეობით ე. მ-ისა და ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით ...მფლობელის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დასტურდება საქმის მასალებით, თუმცა ერთადერთი მტკიცებულება, რითაც დასტურდება მ. ზ-ის მიერ სამსახურში ყოფნისას, მასზე განპიროვნებული შიდა სამსახურებრივ პორტალზე დაშვების პაროლის გენერირების მოწყობილობის მეშვეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში არასამსახურებრივად ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გადაცემა, არის თ. კ-ის ახსნა-განმარტება. აღნიშნულ ახსნა-განმარტებასა და გენერალური ინსპექციის დასკვნაში მითითებულ გარემოებებს შორის კი – შეუსაბამობაა. პალატამ აღნიშნა, რომ თ. კ-ის ახსნა-განმარტებაში საუბრობს ე. მ-ისა და მისი მეუღლის სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის სიხშირისა და ხანგრძლივობის თაობაზე მ. ზ-ის მიერ ინფორმაციის გადაცემაზე, თუმცა მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი არ უარყოფს, რომ მ. ზ-ეზე განპიროვნებული პაროლის გენერირების მოწყობილობა „დიჯიპასი“ არ შეიცავს ინფორმაციას სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის სიხშირისა და ხანგრძლივობის თაობაზე. პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თვით ახსნა-განმარტების ოქმით არ ირკვევა, თუ ვინ ჩამოართვა თ. კ-ეს ახსნა-განმარტება, იყო თუ არა იგი უფლებამოსილი აღნიშნულზე, ახსნა-განმარტებას არ აქვს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. ამასთან, თ. კ-ე სასამართლოს მიერ დაბარების მიუხედავად არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო წესით საქმის განხილვისას არ გამოცხადდა. პალატამ ასევე მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია მ. ზ-ის მიერ ინფორმაციის სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“ გადაცემის ფაქტი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, მ. ზ-ისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილება არ უნდა იქცეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთადერთ საზომად. მიღებული გა-

დანყვეტილების კანონიერების შეფასებისას გამოსარკვევია არა მარტო ის, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ ის, თუ როგორ განახორციელა მან აღნიშნული უფლებამოსილება. პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას მ. ზ-ის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე. პალატამ დარღვეულად მიიჩნია ასევე სზაკ-ის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და უდავოდ დაადგინოს, მოიძია არასამსახურებრივად და გადასცა თუ არა მ. ზ-ემ გენერალური ინსპექციის დასკვნაში მითითებული ინფორმაცია; ამასთან დაადგინოს კ-ის მიერ განმარტებული ინფორმაცია საერთოდ მოიძიება თუ არა შს სამინისტროს შიდა პორტალზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, აპელანტის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია არ არის დამუშავებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა როგორც მ. ზ-ის, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

კასატორმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიუთითა, რომ დაინტერესებული პირისათვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება ჩვეულებრივი მტკიცებულებაა და ჩატარებული დისციპლინური წარმოების ფარგლებში, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში იძლეოდა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მ. ზ-ის სამსახურიდან დათხოვნას. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს შს მინისტრის 24.08.2012წ, №709 ბრძანების თანახმად, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლებს ეკრძალებათ შიდა საინფორმაციო სისტემაში მონაცემების არასამსახურებრივი მიზნით არათუ გამოყენება და გავრცელება, არამედ მოპოვებაც. ის გარემოება, რომ აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული და გავრცელებული იქნა დასტურდება არამარტო დისციპლინური წარმოების მასალებით, არამედ სასამართლო სხდომებზე მ. ზ-ის მიერ მიცემული განმარტებებით, რომელიც აცხადებდა, რომ ვერ იხსენებდა აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მიზანს. აღნიშნული გარემოება კი ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

კასატორმა მიუთითა, რომ მ. ზ-ის მიერ „შინაგან საქმეთა

სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ 2.2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენა გამოიხატა სამსახურებრივ პორტალზე დაშვების პაროლის გენერირების მოწყობილობის არასამსახურებრივად გამოყენებაში და პერსონალური ინფორმაციის არასამსახურებრივად მოპოვებასა და გავრცელებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოყენებულ იქნა ადეკვატური სახდელი.

კასატორმა – მ. ზ-ემ აღნიშნა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება უკანონოა და მასში ასახული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. მ. ზ-ემ სადავო ბრძანების გამოცემა მისი და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინსპექტორ ფ. კ-ეს შორის არსებულ პირად დაპირისპირებას დაუკავშირა და განმარტა, რომ მის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ ხორციელდებოდა შანტაჟი, დაშინება და სამსახურიდან გათავისუფლების მუქარა. კასატორმა ყურადღება გაამახვილა მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მის დახასიათებაზე და განაცხადა, რომ საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი დ. ა-ი, რომელიც ხელს აწერს დახასიათებას, საერთოდ არ იცნობს მას და გაურკვეველია როგორ შეაფასა, რომ იგი არ ფლობდა სამსახურისთვის შესატყვის უნარ-ჩვევებს. მ. ზ-ემ აღნიშნა, რომ მისი შრომითი საქმიანობის ხარისხის, ეფექტიანი მუშაობისა და მიღწევების გათვალისწინებით დააინაუტრეს და ასევე, მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს არაერთი ნახალისება. კასატორი თვლის, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება გამოცემულია კანონის დარღვევით და არ არის საკმარისად დასაბუთებული. გენერალური ინსპექციის ხელმოწერვით დასკვნას სასამართლომ არ მისცა შესაბამისი შეფასება. ფ. კ-ის პატაკი, რომელიც გენერალური ინსპექციის დასკვნის მიღების საფუძველია არის დაუსაბუთებელი. კასატორი ყურადღებას ამახვილებს თ. კ-ის ახსნა-განმარტებაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატას სათანადოდ არ შეუფასებია ახსნა-განმარტებასა და გენერალური ინსპექციის დასკვნას შორის შეუსაბამობა, ასევე ის ფაქტი, რომ თ. კ-ის მიერ მითითებულ მონაცემებს არ შეიცავს მ. ზ-ეზე განპიროვნებული პაროლის გენერირების მოწყობილობა „დიჯიპასი“. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნული მტკიცებულების მოპოვების კანონიერებაზე, რადგან გაურკვეველია რომელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და იყო თუ არა იგი უფლებამოსილი.

კასატორმა მიუთითა, რომ კანონის დარღვევითაა მოპოვებული საქმეში დაცული 03.06.2014წ. MIA 714010466385 და 06.06.2014წ. MIA 71401070595 სამსახურებრივი ბარათები თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტები შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, კერძოდ, იდენტიფიცირებული/იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემებს. კასატორის განმარტებით, მან აღნიშნული მონაცემები სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების ფარგლებში მოიპოვა. შესაბამისად, სამსახურებრივ ბარათებზე თანდართული მასალები წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას სზაკ-ის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით. ამასთან, გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის წერილი საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიმართ არ შეიცავს პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის აუცილებელ კანონიერ და მკაფიოდ განსაზღვრულ მიზანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტს უნდა ემოქმედა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ უნდა გაეცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. საინფორმაციო ცენტრის მთავარი სამმართველოს უფროსმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევით, მიზეზის და მიზნის გარკვევის გარეშე გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია. სამსახურებრივი ინფორმაციის უკანონოდ დამუშავებამ გამოიწვია კასატორისათვის უმძიმესი შედეგი – სამსახურიდან დათხოვნა.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმე საკასაციო პალატის მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე იქნა განხილული.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სადავო ბრძანების გამოცემამდე სათანადოდ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თ. კ-ის ახსნა-განმარტებასა და გენერალური ინსპექციის დასკვნაში მითითებულ გარემოებებს შორის არის შეუსაბამობები. თ. კ-ე ახსნა-განმარტებაში უთითებს მ. ზ-ის მიერ მისთვის მისი მეუღლის და ე. მ-ეს შორის სატელეფონო საუბ-

რების და მიმონერის სიხშირისა და ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაციის გადაცემაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა, რომ მ. ზ-ეზე განპიროვნებული პაროლის გენერირების მოწყობილობა არ შეიცავს ინფორმაციას სატელეფონო საუბრებისა და მიმონერის სიხშირისა და ხანგრძლივობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა აგრეთვე, რომ თ. კ-ის ახსნა-განმარტების ოქმით არ ირკვევა თუ ვინ ჩამოართვა თ. კ-ეს ახსნა-განმარტება, ოქმს ხელს არ აწერს პასუხისმგებელი პირი. თ. კ-ე დაბარების მიუხედავად არ ცხადდება სასამართლოში. თ. კ-ის ახსნა-განმარტების მიხედვით მ. ზ-ემ მოძიებული ინფორმაცია სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით გადასცა მას ინფორმაცია, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეული არ არის. სააპელაციო პალატამ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა.

სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. სასამართლო დავის გადაუწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ გადანყვეტილების მიღება საჭიროებდა გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ამ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადანყვეტილების მიღებისათვის, ამასთანავე, სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის სადავო ადმინისტრაციული აქტის კანონიერებაზე მსჯელობას. სასკ-ის 103-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამო-

ითხოვოს მტკიცებულებები. ამასთანავე, ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების ინკვიზიციური საწყისების გათვალისწინებით, სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების გარეშე, სადავო აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალება არ არის დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების დანაწესების მიუხედავად სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას სადავო ბრძანების დაუსაბუთებლობის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 17.07.2014წ. №1367557 ბრძანება შეიცავს მითითებას იმ ნორმატიულ აქტებზე, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ბრძანება. რაც შეეხება აქტის გამოცემის ფაქტობრივ წინამძღვრებს, ბრძანებას საფუძვლად დაედო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა. გენერალური ინსპექციის დასკვნა ეყრდნობა სამსახურებრივ შემონმებას, საქმეში დაცულ თ. კ-ის ახსნა-განმარტებას, აგრეთვე მ. ზ-ის კუთვნილი გენერირების მონყობილობის „DIGIPASS-ის“ მეშვეობით გადამონმების შედეგად შედგენილ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის №1070595 სამსახურებრივ ბარათს. სააპელაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს საქმის იმ გარემოებას, რომ მ. ზ-ის მიერ, მასზე განპიროვნებულ შიდასამსახურებრივ პორტალზე დაშვების პაროლის გენერირების მონყობილობის მეშვეობით, მოძიებულ იქნა ე. მ-ისა და ავტომანქანის (სახელმწიფო ნომერი ...) მფლობელის, მ. ჩ-ის შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, აღნიშნული მონაცემების მოძიების და გადაცემის დამადასტურებელ ერთადერთ მტკიცებულებად სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია თ. კ-ის ახსნა-განმარტება. გადანწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი ეს მსჯელობა არ ესადაგება თავად სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმაცია ე. მ-ის, მ. ჩ-ის შესახებ მოიძია მ. ზ-ემ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 03.06.14წ. მიმართვით დისციპლინური დევნის, ინსპექტირების და ფინანსური დარ-

ღვევების შემონმების მთავარი სამმართველოს უფროსმა მო-
ითხოვა მ. ზ-ის მიერ, მასზედ განპიროვნებული შს სამინისტროს
შიდა სამსახურებრივ პორტალზე დაშვების პაროლის გენერი-
რების მონყობილობის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის
შესახებ ცნობის მოწოდება. შსს საინფორმაციო-ანალიტიკური
დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემთა აღრიც-
ხვისა და რეგისტრაციის სამმართველოს უფროსის 03.06.14წ.,
№71401046385 სამსახურებრივი ბარათით გაიცა შემონმებული
ინფორმაცია ფაილის სახით. აღნიშნულის საფუძველზე გაცე-
მული 06.06.14წ. №71401070595 სამსახურებრივი ბარათით, რო-
მელიც მოიცავს 01.04.2014წ. – 02.05.2014წ. პერიოდს, მ. ზ-ემ
მოიძია ინფორმაცია ე. მ-ის, მ. ა-ის, მ. ჩ-ის, რ. ვ-ის, თ. კ-ის შესა-
ხებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. კ-ის ახსნა-განმარ-
ტებისა და „პოლიციის მაიორ მ. ზ-ის მიმართ ჩატარებული სამ-
სახურებრივი შემონმების შედეგებზე“ გენინსპექციის დას-
კვნას შორის არსებული წინააღმდეგობა თავისთავად არ ადას-
ტურებს დასკვნის უსწორობას, ვინაიდან გენინსპექციის დას-
კვნას საფუძველად ედო არა მხოლოდ თ.კ-ის დასკვნა, არამედ
სამსახურებრივი შემონმების მასალები. სწორედ სამსახურებ-
რივი შემონმების პროცესში გამოიკითხა თ. კ-ე. დასკვნაში საუ-
ბარია მ. ზ-ის მიერ არასამსახურებრივ მიზნებში მოქალაქეების
მიმართ ინფორმაციის მოძიებაზე, დასკვნა და, შესაბამისად,
შს მინისტრის სადავო აქტი არ შეიცავს მითითებას სატელეფო-
ნო საუბრების შესახებ ინფორმაციაზე. დასკვნის თანახმად, მო-
ქალაქეების შესახებ ინფორმაცია გადამონმებულია მ. ზ-ის კუთ-
ვნილი გენერირების მონყობილობა „DIGIPASS-ის“ მეშვეობით.
ამდენად, ის გარემოება, რომ კომპიუტერული სისტემა არ შეი-
ცავდა ინფორმაციას კერძო პირთა შორის ელექტრონული კო-
მუნიკაციის შესახებ არ წარმოადგენს დავის გადანყევტის გა-
რეშე სადავო აქტის – „დისციპლინური წესით დასჯის და შინა-
გან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ შს მინის-
ტრის სადავო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველს. შს სა-
მინისტროს გენინსპექციის 13.08.2014წ. №1565360 წერილის
თანახმად, მ. ზ-ეს გადაეცა გენინსპექციის 09.07.14წ. №1309066
დასკვნის და შს მინისტრის 17.07.14წ. №1367557 ბრძანების ას-
ლები, წერილში აღინიშნა, რომ სამსახურებრივი შემონმების მა-
სალები, სზაკ-ის 99.1 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა შიდა-
უნყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. სააპელაციო სასამარ-
თლო, რომელიც საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით
არის არა მხოლოდ სამართლებრივი საკითხების, არამედ, ავ-

რეთვე, ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო, უფლებამოსილი გამოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა და მათი ანალიზის საფუძველზე გადაწყვიტოს დავა. სასამართლოს სასკ-ის მე-19 მუხლის საფუძველზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსგან უნდა გამოეთხოვა ინფორმაცია მ. ზ-ის მიერ შს სამინისტროს კომპიუტერული ბაზის მეშვეობით ან სხვა საშუალებით მობილური კავშირით SMS-შეტყობინების და სატელეფონო კავშირის განხორციელების, სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობის შესახებ მეტამონაცემების მოპოვების შესაძლებლობის, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებების თაობაზე. სასამართლოს უნდა გაერკვია, აგრეთვე, მოპოვებული ინფორმაციის სოციალური ქსელის მეშვეობით თ. კ-ისათვის გადაცემის მითითების წინაპირობები და მათი საფუძვლიანობა, შეეფასებინა აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები და მათი შეფასების საფუძველზე დაედგინა განსახილველი საქმის ეს გარემოება.

ზემოაღნიშნულთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის 06.06.2014წ. №1070595 სამსახურებრივი ბარათი უტყუარად ადასტურებს მ. ზ-ის მიერ მოქალაქე ე. მ-ისა და ავტომანქანის, სახელმწიფო ნომრით F... – ..., მფლობელის მ. ჩ-ის შესახებ ინფორმაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცული კომპიუტერული ბაზიდან მოძიების ფაქტს. მ. ზ-ე ვერ ასაბუთებს ზემოაღნიშნული ინფორმაციის სამსახურებრივი მიზნით მოპოვებას, ვერაფრითაა უარყოფილი გენინსპექციის დასკვნა იმის შესახებ, რომ მ. ზ-ემ არასამსახურებრივად მოიძია ინფორმაცია მოქალაქეებზე, შესაბამისად, სახეზეა შს მინისტრის 24.08.2012წ. №709 ბრძანების დარღვევა, რომლითაც შს სამინისტროს თანამშრომლებს აკრძალული აქვთ შიდა საინფორმაციო სისტემაში მონაცემების მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება არასამსახურებრივი მიზნით. მოძიებული ინფორმაცია, თავისი შინაარსით, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). თ. კ-ისათვის ინფორმაციის გადაცემის დადასტურება/არ დადასტურების მიუხედავად, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის არასამსახურებრივი მიზნით მოძიება და დამუშავება თავისთავად წარმოადგენს სამართალდარღვევას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახ-

მად, მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ორგანიზება, შენახვა, გამოთხოვა, გამოყენება, დაჯგუფება, კომბინაცია და სხვ.. ამავ ე კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია შეაგროვოს ის პირადი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია მის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. აღნიშნულის შესაბამისად, დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მონაცემების დამუშავება არის მონაცემთა დამუშავების დასაშვებობის ერთ-ერთი საფუძველი („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება მონაცემების დამუშავების კავშირი რაიმე სამსახურებრივი ამოცანის შესრულებასთან, მნიშვნელოვან იურიდიულ მოქმედებასთან, უფლება-ვალდებულებების რეალიზაციასთან, გადაუდებელ აუცილებლობასთან. თავისთავად შენახვის ფაქტი არ გულისხმობს ამ ინფორმაციის გაცნობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.04.2016წ. №1/1/625,640 გადაწყვეტილება, 87 პ.). კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. ზ-ემ სამსახურში ყოფნისას, მასზე განპიროვნებული შიდა სამსახურებრივ პორტალზე დაშვების პაროლის გენერირების მონაცემების მეშვეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში მოიძია და დაამუშავა ე. მ-ისა და ავტომანქანის (სახელმწიფო ნომრით ...) მფლობელის მ. ჩ-ის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერულ ბაზაში არსებული ინფორმაცია. საამისოდ აუცილებელი, მკაფიოდ განსაზღვრული და კანონიერი მიზანი არ იკვეთება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება მ. ზ-ის მიერ მონაცემთა დამუშავება (კერძოდ მოძიება) სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დასტურდება მონაცემთა დამუშავება მ. ზ-ის მიერ, თუმცა არ დასტურდება მონაცემების დამუშავება სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

საერთო წესის მიხედვით, სასკ-ის 17.2 მუხლის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამას-

თანავე, მონაცემთა დამუშავების კანონიერების მტკიცების ტვირთი, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების კანონიერების, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 26.4 მუხლის თანახმად ეკისრება მონაცემთა დამუშავებელს, მოცემულ შემთხვევაში მ. ზ-ეს. სამსახურებრივი უფლებამოსილების მიღმა ინფორმაციული ინტერესის დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმ პირის თანხმობაზე, რომელსაც ის ეხება. მონაცემების სხვა მიზნებისათვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ, ასევე პირის თანხმობის შემთხვევაში ან როდესაც აშკარაა მონაცემების პირის ინტერესებში გამოყენების საჭიროება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. კანონიერი მიზნის საფუძველზე მონაცემთა დამუშავება არის დამუშავებლის კანონისმიერი, იმპერატიული ვალდებულება და არა დისკრეციის სფერო. ის ფაქტი, რომ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცულია გარკვეული პერსონალური თუ პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია, ავტომატურად არ გულისხმობს მათზე ორგანოს მოსამსახურეთა შეუზღუდავი წვდომის, დამუშავებისა და გავრცელების შესაძლებლობას. კანონმდებლობით პრინციპის დონეზეა გარანტირებული მონაცემთა დამუშავების მიზნობრიობა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების დაცულობისათვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მონაცემთა გავრცელებას, არამედ მონაცემთა დამუშავების, მოპოვების წესების დაცვას ანუ იმისათვის, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება დარღვეულად ჩაითვალოს არ არის სავალდებულო ტრიაღის: „მოპოვება – შენახვა – გავრცელება“ ყველა ელემენტის დარღვევის არსებობა. დარღვევის დასადგენად, დავაზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია იმ ფაქტის დადასტურება, რომ მ. ზ-ემ არასამსახურებრივი მიზნით მოიძია და დაამუშავა ადმინისტრაციული ორგანოს კომპიუტერულ სისტემაში დაცული პერსონალური ინფორმაცია. სააპელაციო პალატამ ჯეროვნად არ შეაფასა აღნიშნული გარემოება და ყურადღება არ გაამახვილა პერსონალური მონაცემების, როგორც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 20.1 მუხლით გარანტირებულია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. აღნიშნული უფლება იცავს ადამიანს ხელისუფლებისა და გარეშე პირთა ჩარევისაგან მის ინტიმურ, პირად ურთიერთობებსა და საქმიანობაში. ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი თავი, პირადი ცხოვრება მოაქციოს საზოგადოებრივი კონტროლისა და მეთვალყურეობისგან თავისუფალ სივრცეში. ინფორმაცია პირის მონაცემებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ასევე ფოტოსურათი ადამიანის პირადი ცხოვრების კერძო სფეროს განეკუთვნება. სახელმწიფოს ჩარევა პირადი ცხოვრების უფლებაში შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ამ სფეროს ხელშეუხებლობის დარღვევით, მასში უხეში ჩარევით, არამედ თუნდაც კონტროლითა და მათზე თვალყურის დევნით. კონკრეტულ შემთხვევაში მ. ზ-ემ ყოველგვარი კანონიერი ინტერესის გარეშე მოიპოვა საიდუმლო ინფორმაცია ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და ამდენად, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაციათა რიგს განეკუთვნება. მოქალაქე მოკლებულია ადმინისტრაციულ ორგანოში მის შესახებ არსებული ინფორმაციის სათანადო დაცულობის გაკონტროლების შესაძლებლობას, თუმცა მას აქვს კონფიდენციალობის, მისი უფლების დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნის შესაძლებლობა, მონაცემთა დაცულობის გონივრული, ლეგიტიმური მოლოდინი, რაც პირადი ცხოვრების პრივატულობისა და დაცულობის წინაპრობაა. ამასთანავე ცხადია, რომ პირს აქვს ნდობა განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის მატარებელი პირის, მოცემულ შემთხვევაში გამომძიებლის მიმართ, უკანასკნელი შებოჭილია პროფესიული ვალდებულებების დაცვით. ამდენად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირადი ცხოვრების კონფიდენციალობის დაცვა, არამედ პირის ნდობის შენარჩუნება. პირადი საიდუმლოების ინფორმაციის შინაარსი უმეტესად ზნეობრივ სფეროს ეხება, შესაბამისად პირადი საიდუმლოების და მორალური ნორმების დაცვა მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილება, მოითხოვს საჯარო მოხელისაგან მაღალი მორალური სტანდარტისადმი შესაბამისობას, რომელიც დუმილს პროფესიულ ვალდებულებად აღიარებს. მართალია, მ. ზ-ეს დაკავებული თანამდებობის გათვალისწინებით შესაძლებლობა ჰქონდა საჭიროების შემთხვევაში გაცნობოდა დაწესებულებაში დაცულ ამგვარ ინფორმაციას, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №999 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის“ 2.14 მუხლის თანახმად,

პოლიციელმა ბოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი ინფორმაციით და პერსონალური მონაცემებით საკუთარი ან/და ახლობელ პირთა კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ამავე კოდექსის 2.18 მუხლის თანახმად, პოლიციამ პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება უნდა მოახდინოს პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის საერთაშორისო პრინციპების დაცვით. საქართველოს პარლამენტის 28.10.2005წ. №2010 დადგენილებით რატიფიცირებული „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას შენახული უნდა იქნას ზუსტად განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის და არ უნდა იყოს გამოყენებული მათთან შეუთავსებელი მიზნით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 9.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას სამინისტროში სამსახურებრივი ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები. ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე ვალდებულია როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს და დაიცვას სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებები, პერსონალური მონაცემები, აგრეთვე სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა განხორციელებისას, აკრძალულია სამსახურებრივი საქმიანობისას მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის კერძო ინტერესებისათვის გამოყენება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა ხდება დასაშვებობის შეზღუდვის სხვადასხვა რეჟიმის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური მონაცემები უკეთესადაა დაცული სხვა საიდუმლოებით, გამოიყენება ეს უკანასკნელი. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემები განთავსებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს კომპიუტერულ ბაზაში, მასში აკუმულირებული მონაცემები მოქალაქისათვის პერსონალური მონაცემების დაცვის, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლებისათვის ამ ინფორმაციის დაცვა დამატებით სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის რეჟიმში ტრანსფორმირდე-

ბა. შესაბამისად, მ. ზ-ე სამსახურებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო დაეცვა ზემოხსენებული ინფორმაცია არა მხოლოდ როგორც პერსონალური მონაცემები, არამედ როგორც სამსახურებრივი საიდუმლოება, რომლის სამართლებრივი რეჟიმი მოითხოვს ინფორმაციისადმი დაშვების პირობების, დაცული ინფორმაციის მხოლოდ სამსახურებრივ მიზნებში გაცნობის პროფესიული ვალდებულების დაცვას. ვინაიდან პირადი საიდუმლოება, პერსონალური მონაცემები წარმოადგენს პროფესიული საიდუმლოების მნიშვნელოვან ნაწილს (სზაკ-ის 27³ მუხლი), ამ უკანასკნელის ზედმინვენით დაცვა პირადი საიდუმლოების დაცულობის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მ. ზ-ის საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას 03.06.2014წ. MIA 714010466385 და 06.06.2014წ. MIA 71401070595 სამსახურებრივი ბარათებისა და მათზე თანდართული მასალების კანონდარღვევით მოპოვების შესახებ. საფუძველს არის მოკლებული კასატორ მ. ზ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გენინსპექციის უფროსის მოადგილის წერილი საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიმართ არ შეიცავდა პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის აუცილებელ კანონიერ მიზანს და საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს უნდა ემოქმედა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ უნდა გაეცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევით. ის გარემოება, რომ მ. ზ-ის მიერ დამუშავებული ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შემცველ პროფესიულ საიდუმლოებას შეადგენდა, არ გამორიცხავდა ადმინისტრაციის შესაძლებლობას გადაემონებინა მ. ზ-ის მიერ უწყებაში არსებული ინფორმაციული რესურსების სამსახურებრივ მიზნებში გამოყენება, მონაცემების დამუშავების მართლზომიერება, მოქალაქეთა უფლებების დაცულობა, მ. ზ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვანი შესრულება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა მოქმედებს სპეციალური რეგულაციების არ არსებობის შემთხვევაში. მონაცემთა დაცვა წარმოადგენს ტიპიურ მაგალითს სხვადასხვა სფეროს მომცველი გამჭოლი საკითხისა, რომელიც არ თავსდება ერთი უნივერსალური საკანონმდებლო აქტის რეგულაციაში, ამასთანავე მონაცემთა დაცვის საერთო რეგულაციასთან შედარებით მონაცემთა დაცვის სპეციალურ სფეროთა რეგულაციის ნორმებს უპირატესი, პრეროგატიული ძალა ენიჭება, მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული რეგულაციის არარსებობის პირობებში

ძირითად მნიშვნელობას იძენს მონაცემთა დაცვის ზოგადი კანონი. „პოლიციის შესახებ“ კანონის 57.4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს გენერალური ინსპექცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს სისტემაში „პოლიციის ეთიკის კოდექსისა“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების“ ნორმების დარღვევის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებას. საერთოდ პირის თანხმობის პრეზუმფცია პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე იგულისხმება ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს მიერ მისი კუთვნილი უფლებამოსილების შესრულებისას. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია შეაგროვოს ის პირადი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია მის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. დამამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მონაცემთა დამუშავება არის მონაცემთა დამუშავების დასაშვებობის ერთ-ერთი საფუძველი (28.12.11წ. კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). კონკრეტულ შემთხვევაში გენერალური ინსპექცია მოქმედებდა დისციპლინური წარმოების ფარგლებში. დისციპლინური საქმის წარმოების ფარგლებში მოქმედ ადმინისტრაციას შეუძლია მოსამსახურის საქმიანობის მონიტორინგის განევა, დამსაქმებელს აქვს უფლება იცოდეს რით არის დაკავებული სამუშაო საათებში დასაქმებული (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 12.01.2016წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ბ. ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ“). მ. ზ-ის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციის მიერ კომპიუტერული სისტემიდან გამოთხოვილ იქნა არაპროპორციულად დიდი მოცულობის (01.04.14წ. – 05.05.14წ.) მასალა არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან საქმის მასალების მიხედვით თავად მ. ზ-ე არაერთგზის შუამდგომლობდა, უფრო ხანგრძლივი, კერძოდ 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 05 მაისამდე პერიოდში გენერირების მონყობილობის გამოყენების ამსახველი ინფორმაციის კომპიუტერული ბაზიდან ამობეჭდვას (მ. ზ-ის 07.08.14წ. განცხადება, შუამდგომლობა, სასარჩელო განცხადება).

დაუსაბუთებელია კასატორ მ. ზ-ის მოსაზრება ავტომობილის მფლობელის შესახებ ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმისაწვდომობის შესახებ. ის გარემოება, რომ ავტომობილის სახელმწიფო ნომერი იძლევა არაპირდაპირი ფორმით მანქანის მფლობელი პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, არ ადას-

ტურებს პირის მონაცემის საყოველთაო მისაწვდომობას. ასეთი მონაცემის დამუშავება შესაძლებელია განსაზღვრული წრის პირებისათვის მისაწვდომი ინფორმაციის საშუალებით, რომლებიც ვალდებული არიან პირის იდენტიფიკაცია მოახდინონ სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურებრივი მიზნების მისაღწევად. გენინსპექციის დასკვნის მიხედვით ავტომანქანის მფლობელის შესახებ ინფორმაცია მ. ზ-ის მიერ მოპოვებულ იქნა გენერირების მონეობილობის („DIGIPASS-ის“) მეშვეობით, არასამსახურებრივი მიზნით.

მოსარჩელის მოსაზრებები გენერალური ინსპექციის თანამშრომლის ძმასთან გართულებული ურთიერთობის, გენერალური ინსპექციის თანამშრომლის პირადი ინტერესის შესახებ, ამის გამო მოსარჩელესთან ანგარიშსწორების და სხვ. გარემოებების შესახებ, საქმის მასალებში დაცული მტკიცებულებებით არ დასტურდება, ამ მიმართებით რაიმე მტკიცებულება არ წარმოდგენილა, მოსარჩელეს არ მოუთხოვია გენინსპექციის თანამშრომლების მონმედ მონვევა. სადავო აქტის უკანონობას არ ადასტურებს მოსარჩელის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ხშირია სხვადასხვა პირების, მათ შორის, ცნობადი სახეების მიმართ მონაცემების გამოთხოვა შს სამინისტროს სისტემის თანამშრომლების მიერ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სხვა თანამშრომლების მიერ ინფორმაციის შესაძლო არამართლზომიერი მოპოვება სცილდება მოცემული დავის საგანს და არ ადასტურებს მ. ზ-ის მიერ კონკრეტული პირების მიმართ ინფორმაციის მოპოვების კანონიერებას, თანასწორობის მოთხოვნა პატივსაღებია კანონის დაცვაში და არა მის დარღვევაში, სხვების მიერ სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენა არ წარმოადგენს სამართალდარღვევისგან გათავისუფლების, მისი უმნიშვნელო დარღვევად ცნობის საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაუშვებლად თვლის ვითარებას, როდესაც შეუძლებელი ხდება კონვენციით უზრუნველყოფილი უფლების, მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მე-8 მუხლით აღიარებული უფლების დაცვა იმის გამო, რომ დაინტერესებული პირისათვის უცნობია დარღვევის შესახებ (იხ. მაგ. 06.09.1978წ. გადაწყვეტილება „კლასი და სხვები გფრ-ის წინააღმდეგ“ („Klass and others v. Germany“) § 36, 68; 04.12.2015წ. გადაწყვეტილება „რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ“ („Roman Zakharov v. Russia“) § 165, 170-172). ამდენად, სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა სასკ-ის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად

იმ პირთა ჩაბმის შესაძლებლობების თაობაზე, რომელთა შესახებ იქნა მოპოვებული ინფორმაცია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ახსნა-განმარტებასა და დასკვნას შორის შეუსაბამობის არსებობა თავისთავად არ ქმნის სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, აღნიშნული ქმნიდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსაგან დამატებითი განმარტების მოთხოვნის, საქმეში დაცული მტკიცებულებების შეფასებისა და მათი ანალიზის გზით გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, ამასთანავე, სადავო აქტს საფუძველად დაედო გენინსპექციის დასკვნა და არა თ. კ-ის ახსნა-განმარტება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ თ. კ-ის ახსნა-განმარტების ოქმს არ აქვს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და ვერ დგინდება, თუ ვის მიერ იქნა იგი ჩამორთმეული. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას შესაძლებლობა ჰქონდა მიემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის და დაედგინა აღნიშნული გარემოება. თ. კ-ის ახსნა-განმარტება შედგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ბლანკზე, ყველა ფურცელი ხელმოწერილია თ. კ-ის მიერ. ბლანკზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერისათვის განკუთვნილი სპეციალური გრაფა დატანილი არ არის. ასეთივე ბლანკზე არის მოთავსებული მ. ზ-ის 04.06.2014წ. ახსნა-განმარტების ტექსტი. ამასთანავე, ახსნა-განმარტების ჩამომრთმევი კონკრეტული პირის ვინაობის დადგენა სავსებით შესაძლებელი იყო სასამართლოს მიერ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის შესწავლის დავალების გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს, როგორც საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს, შეეძლო მოეთხოვა დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა, გენერალური ინსპექციის დასკვნის შემდგენი პირების ახსნა-განმარტების წარმოდგენა, თ. კ-ის მოწმის სახით დაკითხვა, მოწმის მოვალეობის შესრულების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით (სსკ-ის 145-ე მუხ. და სასკ-ის მე-19 მუხ.) გათვალისწინებული ზომების მიღება, მტკიცებულების შეფასება, უფლების დარღვევის ინტენსივობის დადგენა და აღნიშნულის საფუძველზე მ. ზ-ის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების პროპორციულობის და სადავო აქტის კანონიერების შეფასება, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ასპექტის მიმართ დასკვნის გაკეთება. ამასთანავე, თ. კ-ისათვის ინფორმაციის გადაცემის დაუდასტურებლობის შემ-

თხვევაში, სააპელაციო პალატას დამოუკიდებლად უნდა შეეფასებინა მ. ზ-ის მიერ საიდუმლო ინფორმაციის არასამსახურებრივი მიზნებისათვის მოძიებისა და დამუშავების ფაქტი, ემსჯელა პირად ცხოვრებაში ჩარევის ინტენსივობის ხარისხზე და დაედგინა მ. ზ-ის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომის რელევანტურობა. „პოლიციის შესახებ“ კანონის 59.3 მუხლი ითვალისწინებს სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს მოსამსახურის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სახდელების სახეობებს, მათი გამოყენება შს მინისტრის დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება (სზაკ-ის 2.1. მუხ. „ლ“ ქვეპუნქტი). დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება არ უნდა იწვევდეს პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესების დაუსაბუთებელ შეზღუდვას. გამოყენებული ზომის პროპორციულობის გარკვევა შესაძლებელია საქმის ყველა გარემოების დადგენის და შეფასების შედეგად.

კანონმდებლობის მოთხოვნებს არ ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ სასამართლო ხარჯების გადაწყვეტა. სსკ-ის მე-9 მუხლის, აგრეთვე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 55.3 მუხლის თანახმად, საქმეზე განეულ ხარჯს სახელმწიფო აანაზღაურებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ზ-ეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, მ. ზ-ის სარჩელს თან ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რომლის თანახმად მ. ზ-ეს სს „...“ გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით (საგადახდო დავალება №4, ხაზინის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი: 300773150). იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრული სარჩელი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი). სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სსკ-ის მე-9 მუხლის საფუძველზე ასკვნის, რომ აპელანტი მ. ზ-ე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატამ თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა მთლიანად, მათ შორის იმ ნაწილშიც, რომლითაც მ. ზ-ის დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლიტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავისმხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახალი განხილვისთვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მ. ზ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2016წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პოლიციელის დისციპლინური პასუხისმგებლობის
საფუძველი**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-644-637(კ-16) 20 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 5 ნოემბერს რ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი კეთილსინდისიერად მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში და ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ერთ-ერთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს მას ცეცხლსასროლი იარაღი მოყვანილი ჰქონდა მწყობრში, რა დროსაც მისდა უნებურად მოხდა ამ იარაღიდან გასროლა, რითაც არავინ დაშავებულა და არც ზიანი მისდგომია ვინმეს. აღნიშნულ ფაქტზე, როგორც პროკურატურაში, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო სამსახურებრივი მოკვლევა, რის შემდეგაც კვლავ განაგრძობდა მუშაობას. მოულოდნელად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 21 ივლისის №1590938 ბრძანებით რ. ხ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 21 ივლისის №1590938 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით რ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 21 ივლისის №1590938 ბრძანება რ. ხ-ის დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ და შინაგან საქმეთა სამინისტროს რ. ხ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების ... თანამდებობაზე აღდგენა დაევალა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება შინაგან საქმეთა ორგანოებიდან 2015 წლის 21 ივლისის ბრძანებით დათხოვნიდან თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდისათვის.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ხ-ი 2009 წლიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ხოლო 2012 წლიდან სადავო ბრძანების გამოცემამდე – ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების ... თანამდებობაზე.

2015 წლის 18 აპრილს ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რ. ხ-ის მიერ სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების ფაქტზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2015 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 01:20 საათზე, რ. ხ-ი ქ. თბილისში, ... №36 კორპუსის ეზოში იყო, რა დროსაც სამსახურებრივი საშტატო პისტოლეტის განმუხტვისას შემთხვევით გაისროლა, გასროლილმა ტყვიამ კი იმავე კორპუსის ბინა №34-ში მცხოვრების ... ოჯახის ფანჯრის შუშა და „...“ ფირმის მაცივარი დააზიანა და ოჯახს 725 ლარის ქონებრივი ზიანი მიაცენა. გამოძიების შედეგად დადგინდა რ. ხ-ის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი, თუმცა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაიწყო საჯარო ინტერესის არარსებობის გამო იმაზე მითითებით, რომ რ. ხ-მა პირველად ჩაიდინა გაუფრთხილებელი, არაძალადობრივი დანაშაული. იგი აღიარებდა დანაშაულს, არ იყო ნასამართლევ, ხასიათდებოდა დადებითად, ზიანი ანაზღაურებულ იქნა, ჩადენილი დანაშაული არ იყო მაღალი საზოგადოებრივი საფრთხის შემცველი და არ იკვეთებოდა ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ რ. ხ-მა შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები, კერძოდ, სამინისტროს სისტემის ავტორიტეტის შემლახველი მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება და ქონებრივი ზიანის მიყენება ჩაიდინა, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისთვის შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 21 ივლისის №1590938 ბრძანებით ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების ..., სერჟანტი რ. კ. ხ-ი, გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებშია რეგლამენტირებული, დიდწილად საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებიდან და საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, შრომა თავისუფალია. დასახელებული ნორმით დაცულია არა მარტო უფლება, პირმა აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება, განახორციელოს, შეინარჩუნოს და დათმოს ეს სამუშაო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით აღიარებულია ყოველი ადამიანის შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით განაწინებული შრომის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოფილ იყოს პიროვნების მიერ სამუშაოს საკუთარი სურვილისამებრ არჩევის უფლება, მათ შორის, ვალდებულებას, არ მოხდეს პირისათვის მუშაობის უფლების უკანონოდ წართმევა. ამ განსაზღვრებით ხაზგასმულია, რომ პიროვნების და მისი ღირსების პატივისცემა გამოიხატება სა-

მუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებაშიც, რაც ხელს უწყობს პიროვნების განვითარებასა და მის სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრებას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს. ამავე კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს მოსამსახურის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური; დ) სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა; ე) სპეციალური ან სამხედრო წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება; ვ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება; ზ) სამსახურიდან დათხოვნა. სამინისტროს მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების და მისი მოხსნის წესს ადგენს მინისტრი.

სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა (შემდგომში – მოსამსახურე) დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ნახალისების საფუძვლები, სახდელებისა და ნახალისების სახეები, საქმისწარმოებისა და მოსამსახურეთათვის დისციპლინური სახდელების შეფარდებისა და მოხსნის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებით, რომლის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის მოსამსახურეს ეკისრება დისციპლინური სახდელი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინური გადაცდომის სახეებია: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა; ა¹) სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება; ბ) სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება; გ) ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა; დ) ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დანესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ; ე) თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა; ვ) მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს; ზ) ფიცის გატეხვა; თ) შრომის დისციპლინის წესის დარღვევა; ი) ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა. ამავე წესდების მე-3 მუხლის მიხედვით, დისციპლინუ-

რი სახდელის სახეებია: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური; დ) სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა; ე) თანამდებობიდან ჩამოქვეითება; ვ) სპეციალური ან სამხედრო ნოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება; ზ) სამსახურიდან დათხოვნა. დისციპლინური წესდების მე-4 მუხლის მიხედვით, სამინისტროს გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია, გამოავლინოს წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომები და თვითონ შეადგინოს დისციპლინური გადაცდომის ამსახველი დასკვნა, ხოლო წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სათანადო დასკვნის მოსამზადებლად დისციპლინური გადაცდომის ფაქტებისა და გარემოებების ამსახველი ინფორმაცია გადააგზავნოს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, დისციპლინური სახდელის დადებამდე მოსამსახურეს უშუალო უფროსის ან ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტების არარსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ოქმი, რომელიც დადასტურებული იქნება არანაკლებ ორი მოსამსახურის ხელმოწერით. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები, მოსამსახურის პიროვნება და დამსახურება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მიხედვით: 1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. 2. სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. 3. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი დისციპლინური გადაცდომა მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს, თუ გადაცდომა განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სიმძიმისა ან მოსამსახურის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხი მოსამსახურის პიროვნების შეფასებისა და თანამდებობაზე მისი დატოვებით მოსალოდნელი შედეგების შეფასების საფუძველზე უნდა გადამწყდეს. შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში მიღებული სტანდარტიდან გამომდინარე, მოხელის გათავისუფლებას მხოლოდ იმგვარი დასკვნა შეიძლება განაპირობებდეს, რომ მასთან შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება უარყოფითად აისახება სამსახურის საქმიანობაზე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ხ-მა გაუფრთხილებელი ქმედებით მატერიალური ზიანი მიაყენა მოქალაქეს, რომელიც ანაზღაურა, მას ამ შემთხვევამდე სხვა დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია, ხასიათდებოდა დადებითად, რაც ცალსახად გამორიცხავს იმგვარი დასკვნის გაკეთებას, რომ რ. ხ-ის თანამდებობიდან გაუთავისუფლებლობა მოპასუხის საქმიანობის ჯეროვანი განხორციელებისათვის საფრთხის შემცველი იყო, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი.

საქალაქო სასამართლომ, ასევე მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლების უკანონოდ ცნობის პირობებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, რ. ხ-ი აღადგინოს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე – შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების ... თანამდებობაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ამ მოხელეს აღადგენს სამსახურში. ამავე კანონის 112-ე მუხლის მიხედვით, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს

იძულებით გაცდენილი დროის შრომითი გასამრჯელო. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი გარემოებების შესაბამისად, მოსარჩელე სამსახურიდან 2015 წლის 21 ივლისის სადავო ბრძანებით გათავისუფლდა. ამდენად, შესაბამისი ბრძანების ბათილად ცნობის გამო, მოპასუხე ვალდებულია, აუნაზღაუროს მას 2015 წლის 21 ივლისიდან სამუშაოზე აღდგენამდე მიუღებელი ხელფასი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის რ. ხ-ის სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის სრულად ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ხ-ის სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რ. ხ-ის სასარგებლოდ სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან 2015 წლის 21 ივლისის ბრძანებით დათხოვნიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ, იმ პირობებში, როცა დადგენილად არის მიჩნეული, რომ რ. ხ-მა გაუფრთხილებელი ქმედებით მატერიალური ზიანი მიაყენა მოქალაქეს (რომელიც ანაზღაურა) და მას ამ შემთხვევამდე დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია, ხასიათდებოდა დადებითად, ამასთან, მართალია მის მიერ, ჩადენილია ქმედება, რაც შეიცავს გაუფრთხილებელი დანაშაულის ნიშნებს, თუმცა სახეზე არაა ძალადობრივი ხასიათის სამართალდარღვევა, რაც მართლაც, იქნებოდა პოლიციელისათვის შეუფერებელი ქმედება, მიიჩნია, რომ საქალაქო სა-

სამართლომ სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება არ იყო ადეკვატური იმ დარღვევისა, რაც რ. ხ-მა ჩაიდინა.

რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულთან მიმართებაში მიუთითა, რომ სასამართლომ უნდა განმარტოს, რა მოიაზრება იძულებით განაცდურში, სრული ხელფასი თუ თანამდებობრივ სარგო, რომელიც ხელფასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, არ დაემთხვეს ხელფასის ოდენობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური, ვინაიდან გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად (მოქმედი ნორმა), სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს უკანონოდ განთავისუფლების ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო.

საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას. შესაბამისად, რ. ხ-ს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო, რომელიც ხელფასის შემადგენელი პრემიებისა და დანამატებისაგან განსხვავებით გაიცემა მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად, უნდა აუნაზღაურდეს სრული მოცულობით, კერძოდ, სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე. აქედან გამომდინარე, სა-

აპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეცვლილიყო მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც საქალაქო სასამართლომ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 28 მარტის №313 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების შესახებ“ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანება „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“. სამოტივაციო ნაწილში ცალკეულ ფაქტობრივ გარემოებებზე განმარტებისას გამოიყენა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მაშინ, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოქმედებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“, ასევე არასწორად განმარტა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა“ და „პოლიციის შესახებ“ კანონის ძირითადი პრინციპები და გადაცდომის არსებობის შემთხვევაში დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა ჩადენილ ქმედებასთან მიმართებაში განრიდების საკითხზე.

კასატორის მითითებით, სასამართლოები მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ვერ ასაბუთებენ, რატომ არის რ. ხ-ის მიმართ გამოყენებული სახდელი შეუსაბამო. სასამართლო უგულებელყოფს იმ გარემოებას, რომ ქმედება ჩადენილია პოლიციელის მიერ სამსახურებრივი-სამშტატო იარაღის არასათანადო მოხმარების შედეგად, რასაც მოჰყვა ზიანი. ცალსახაა, რომ

გარდა დისციპლინური გადაცდომისა სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების დარღვევა და დანაშაულის შემადგენლობა, რომელშიც რ. ხ-ი კი არ გამართლდა, არამედ მოხდა განრიდება. განრიდების საკითხი არაკომპეტენტურად განმარტა პირველი ინსტანციის სასამართლომ, ხოლო სააპელაციო სასამართლო ისე დაეთანხმა აღნიშნულს, რომ არანაირი განმარტება არ გაუკეთებია, უფრო მეტიც, სასამართლო საუბრობს საქართველოს კონსტიტუციასა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგად პრინციპებზე და აღნიშნული აქტები არ მოჰყავს ერთობლიობაში და ზოგადი განმარტების საფუძველზე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დამახინჯებით აკეთებს ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას, კერძოდ, სასამართლო მსჯელობს რ. ხ-ის მიერ მოქალაქისათვის გაუფრთხილებლობით მიყენებულ მატერიალურ ზიანზე, თუმცა არაფერს ამბობს ქმედების მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, რამაც გამოიწვია მატერიალური ზიანი.

კასატორის განმარტებით, სასამართლოებმა, ასევე არ იმსჯელეს იარაღის განმუხტვისას დაირღვა თუ არა კანონის ნორმები, სააპელაციო სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 28 მარტის №313 ბრძანებაზე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების შესახებ“ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაზე „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ რომლის მე-13 მუხლის შესაბამისად, იარაღის ტარების უფლების მქონე პირი პირადად არის პასუხისმგებელი მისი დაცვისა და მოვლისათვის, ხოლო მე-18 მუხლის პირველი პუნქტით მკაცრად არის განსაზღვრული, რომ იარაღი უნდა ინახებოდეს ისეთ მდგომარეობასა და პირობებში, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამოირიცხება გაუთვალისწინებელი, უნებლიე გასროლა და იარაღთან გარეშე პირთა დაშვების შესაძლებლობა. სასამართლო უგულებელყოფს, რომ ქმედება ჩადენილია პოლიციელის მიერ მომეტებული საფრთხის წყაროს (ცეცხლსასროლი იარაღის) გამოყენების წესების დარღვევით.

კასატორის განმარტებით, სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად დადგინდა, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს

სისტემის ავტორიტეტს. აღნიშნული სამსახურებრივი შემონ-
მების მასალები ცალსახად ადასტურებს ბრძანების გამოცემის
საფუძვლების არსებობას, მართალია, საქმეზე შეწყდა სისხლის
სამართლის გამოძიება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პო-
ლიციელის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ად-
გილი არ ჰქონია. იმის გამო, რომ პირმა მატერიალური ზიანი აა-
ნაზღაურა, ეს არ ნიშნავს, რომ პირს საზოგადოებრივად საშიში
ქმედება არ ჩაუდენია, უფრო მეტიც, პირის მიმართ გამოყენე-
ბულ იქნა განრიდების ღონისძიება, რაც იმას ნიშნავს, რომ სის-
ხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადას-
ტურებულად იქნა მიჩნეული და აღიარებული მოსარჩელის მი-
ერ, მაგრამ ამ პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული/შეფარდე-
ბული შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა, ვინაიდან რ. ხ-ის
მიერ შესრულდა განრიდების მუხლით გათვალისწინებული ერთ-
ერთი ქმედება, კერძოდ, მიყენებული ზიანის სრული ანაზღაუ-
რება. კასატორის მითითებით, დადგენილია რ. ხ-ის მიერ იარა-
ღის გამოყენების ფაქტი, ყოველივე აღნიშნული კი დისციპლი-
ნური პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველია. ნათელია,
რომ მოსარჩელის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის კანონ-
მდებლობით გათვალისწინებული დანაშაული, საქართველოს
სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის
შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სა-
ფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით გათვალისწინებული
მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

კასატორის მითითებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს
კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დე-
კემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ში-
ნაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35-ე
მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პოლიცი-
ელი სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს დისციპლინუ-
რი გადაცდომის ჩადენის ან მის მიმართ კანონიერ ძალაში შე-
სული სასამართლო განაჩენის გამო, რ. ხ-ის მიერ ჩადენილი ქმე-
დება წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის გამო-
ყენების საფუძველს, ხოლო „პოლიციის შესახებ“ საქართველოს
კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებ-
რივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს მოსამსახუ-
რის მიმართ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ამავე პუნ-
ქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დისციპლინური სახდე-
ლი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ

იქნა გაზიარებული მოსარჩელის მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ შეფარდებული სასჯელი – სამსახურიდან დათხოვნა, არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილ ქმედებას და შეუსაბამოდ მკაცრია ვინაიდან არ მომხდარა კონკრეტული პიროვნების ფიზიკურად დაშავება. კასატორის განმარტებით, რ. ხ-ის მიერ ცალსახად იქნა დარღვეული შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, რომელიც გულისხმობს ქონებრივი ზიანის მიყენებას ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნას და მოსამსახურისათვის შეუფერებელ ქმედებას, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ხ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე რ. ხ-ი შრომით ურთიერთობაში იყო მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ეკავა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების ... თანამდებობა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 21 ივლისის №1590938 ბრძანებით რ. ხ-ი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 01:20 საათზე, რ. ხ-ი ქ. თბილისში, №36 კორპუ-

სის ეზოში იყო, რა დროსაც, სამსახურებრივი საშტატო პისტოლეტის განმუხტვისას შემთხვევით გაისროლა, გასროლილმა ტყვიამ კი იმავე კორპუსის ბინა №34-ში მცხოვრები ... ოჯახის ფანჯრის შუშა და „...“ ფირმის მაცივარი დაზიანა და ოჯახს 725 ლარის ქონებრივი ზიანი მიაყენა. აღნიშნულ ფაქტზე 2015 წლის 18 აპრილს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე რ. ხ-ის მიერ სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანების ფაქტზე. გამოძიების შედეგად დადგინდა რ. ხ-ის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი, თუმცა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა და განხორციელდა განრიდება.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის დადგენილებით რ. ხ-ის სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე. რ. ხ-ის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემომწებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ რ. ხ-მა შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები (სამინისტროს სისტემის ავტორიტეტის შემლახავი მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება და ქონებრივი ზიანის მიყენება) ჩაიდინა, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისთვის შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 21 ივლისის №1590938 ბრძანებით ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების ..., სერჟანტი რ. კ.ხ-ი, გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში. აღნიშნული ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურ-

რეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ (ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშუალებების შექმნა), „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს შინაგან საქმეთა სისტემის ავტორიტეტს) და მე-3 მუხლის „ზ“ (სამსახურიდან დათხოვნა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტები.

განსახილველი დავის საგანს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 21 ივლისის №1590938 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია პოლიციელის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების მნიშვნელობისა და მისი სტატუსის კვალიფიციური გააზრება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურის ძირითადი ფუნქცია საზოგადოების, მისი თითოეული წევრის კანონით დაცული ინტერესების მომსახურებაა, რისი გაუთვითცნობიერებლობა, ვალდებულებათა ჯეროვანი შეუსრულებლობა უშუალოდ აისახება სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობაზე. საჯარო სამსახური თითოეული საჯარო მოსამსახურის შეგნებაში უნდა განიხილებოდეს, როგორც საპატიო მისია – ემსახურო, პირადი წვლილი შეიტანო სახელმწიფოს განვითარებაში.

1979 წლის 17 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, რომლის 1-ლი მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირნი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და იცავენ ყველა პირს მართლწესრიგის დამცველთა აქტებისაგან პასუხისმგებლობის იმ მაღალი ხარისხის შესაბამისად, მათი პროფესია რომ მოითხოვს. მე-2 მუხლის თანახმად, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს სამართალდამცავმა პირებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის ღირსებას და დაიცვან მათი უფლებები. მე-8 მუხლის თანახმად კი, მართლწესრიგის დამ-

ცველმა თანამდებობის პირებმა პატივი უნდა სცენ კანონსა და ამ კოდექსს. ამასთანავე, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა აღკვეთონ და მკაცრად აღუდგინონ წინ შესაბამის დარღვევებს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პოლიცია არის სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად. ამავ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი. კანონი, ასევე, განსაზღვრავს პოლიციელის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, კერძოდ, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი). აღნიშნული პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას. პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი, რომლის შესაბამისად, პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ, შესაძლოა,

გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა, მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს. დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

საკასაციო პალატა მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 41-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის გამო. აღნიშნული კანონის IX თავში განსაზღვრულია პოლიციის საქმიანობის კონტროლი, რომლის 59-ე მუხლი განსაზღვრავს სამინისტროს მოსამსახურის პასუხისმგებლობის სახეებს, რომლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნა წარმოადგენს სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს მოსამსახურის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეს. აღნიშნული სახდელის გამოყენების წესი რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებით“, რომლის 1-ლი მუხლის შესაბამისად, დისციპლინური გადაცდომის ჩადე-

ნისათვის მოსამსახურეს ეკისრება დისციპლინური სახდელი; ამავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია ამ დისციპლინური გადაცდომის სახეები: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა; ა) სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება; ბ) სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება; გ) ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა; დ) ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ; ე) თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა; ვ) მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს; ზ) ფიცის გატეხვა; თ) შრომის დისციპლინის წესის დარღვევა; ი) ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 2015 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 01:20 საათზე, რ. ხ-ი იმყოფებოდა ქ. თბილისში, ...№36 კორპუსის ეზოში, რა დროსაც, სამსახურებრივი სამშაბო პისტოლეტის განმუხტვისას შემთხვევით გაისროლა. გასროლილმა ტყვიამ კი იმავე კორპუსის ბინა №34-ში მცხოვრები ... ოჯახის ფანჯრის შუშა და „...“ ფირმის მაცივარი დააზიანა და ოჯახს 725 ლარის ქონებრივი ზიანი მიაყენა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ რ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლება არ იყო შესაბამისი იმ დარღვევისა, რაც რ. ხ-ის მიერ იქნა ჩადენილი. აღნიშნულთან მიმართებაში სასამართლო განმარტავს, რომ პოლიციელის ქცევის სტანდარტები მონესრიგებულია, ასევე, საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით, რომლის თანახმად, პოლიცია საზოგადოების სამსახურში მდგომი სახელმწიფო ორგანოა და პოლიციელის საქმიანობაც უკიდურესად მნიშვნელოვანია. პოლიციელი უნდა იყოს ყურადღებიანი და თავდაჭერილი. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იყოს, აგრეთვე, იარაღის ტარებისა და გამოყენებისას. იარაღის გამოყენების უფლება მას მინიჭებული აქვს მხოლოდ საკუთარი ან სხვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად და არა სხვა რაიმე მიზნებისათვის.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მიმართ ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის 2015 წლის 30 ივნისის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნა-

წილის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე და ადგილი ჰქონდა განრიდებას, არ ნიშნავს იმას, რომ რ. ხ-ს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მისი ქმედება არ შეიცავს საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველ ელემენტს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განრიდება სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის/სასჯელის ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომელთა შესრულების შემთხვევაში პროკურორი არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას ან თუ დევნა დაწყებულია, იღებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. პირის მიმართ განრიდებას გამოყენება გამორიცხავს ნასამართლობას, ვინაიდან სასამართლო არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე და შესაბამისად, განაჩენის გამოტანა არ ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. სისხლის სამართლის პროცესში განრიდებას მუხლის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ პირს საერთოდ არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, განრიდებას შემთხვევაში ქმედების ჩადენის ფაქტი დადასტურებულია, რომელსაც არც თავად რ. ხ-ი უარყოფს.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ჩადენილი გადაცდომის შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული დისციპლინური სახდელი – სამუშაოდან დათხოვნა მართებულია, ვინაიდან, მოსარჩელის სამსახურის სტატუსიდან გამომდინარე იგი თავად უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს. პოლიციელის მიმართ მოქმედებს მაღალი სადისციპლინო-საშემსრულებლო მოთხოვნები, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლებს ქვეყის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს უწესებს და მკვეთრად გამიჯნავს საჯარო სამსახურის სხვა მოხელეებისაგან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით რ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. რ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების დანიშვნა- გათავისუფლებაზე გამგებლის ექსკლუზიური უფლებამოსილება

გადანყვებითილება საქართველოს სახელით

№ბს-894-886(კ-16)

11 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 26 იანვარს ი. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დაინიშნა ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, საიდანაც გამგებლისვე ბრძანებით დაუსაბუთებლად გათავისუფლდა, რადგან მისი მხრიდან რაიმე სახის გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. გამგებელმა ჩათვალა, რომ ამ თანამდებობიდან პირის გათავისუფლება მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და დასაბუთების გარეშე გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან. მოსარჩელის მითითებით, გამგეობის მხრიდან არასწორად იქნა გაგებული კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.

ამდენად, მოსარჩელემ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 5 იანვრის №13-001 ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდულის ანაზღაურება მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანებით ი. ქ-ე დაინიშნა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გამგებლის უფლებამოსილების ვადით; თანამდებობრივ სარგოდ განისაზღვრა ყოველთვიურად 1 000 ლარი. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის დადგენილებით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობრივ სარგოდ 2016 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრა ყოველთვიურად 1 400 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანებით, ი. ქ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან იმ საფუძველით, რომ ამ თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება იმგვარი უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება; იმავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან მიმართებაში. ამ უფლებამოსილების შინაარსი რეგლამენტირებულია საქართველოს ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. მითითებული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მათ შორის ... სამსახურის უფროსის დანიშნისა და გათავისუფლების საუფუძვლები და ზუსტი რეგლამენტაცია განსაზღვრული არ არის. ამ საკითხში მუნიციპალიტეტის გამგებელს, მე-60 მუხლის თანახმად, მინიჭებული აქვს ფართო დისკრეცია, და კონკრეტული პირის მითითებულ თანამდებობაზე დანიშნვა-გათავისუფლება მხოლოდ გამგებლის შეხედულებაზე, მის შეფასებასა და გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ ი. ქ-ე ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა იმავე გამგებლის ბრძანებით, რომლის გადაწყვეტილებითაც შემდეგ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამავე დროს, დანიშნვა მოხდა გამგებლის უშუალო, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, კონკურსისა და თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე.

სასამართლოს მითითებით, მოცემული დავის გადაწყვეტისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1¹ და 1² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც სამართლის ნორმის ადრესატების ერთი ჯგუფი, სხვა ჯგუფთან შედარებით გან-

სხვაგვარად განიხილება, მონესრიგების ლოგიკიდან გამომდინარე ამ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება უნდა ამართლებდეს დადგენილ უთანასწორობას, კავშირი დიფერენცირების ნიშანსა და განსხვავებულად განიხილვას შორის უნდა იძლეოდეს რაციონალური ახსნის შესაძლებლობას და სამართლებრივად განსხვავებული შედეგები ფაქტობრივად არსებული განსხვავების პროპორციული უნდა იყოს (ანალოგიურ საკითხზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის №ბზ-69-67(კ-14) გადაწყვეტილება).

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსხვავებულადაა რეგულირებული გამგებლის, მისი მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულების უფროსების და მუნიციპალიტეტის სხვა მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების საფუძვლები. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების ურთიერთშედარებით ნათელი ხდება, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის გამგებელს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებაზე მინიჭებული აქვს ფართო დისკრეტია და მხოლოდ მის უშუალო შეხედულებათა დამოკიდებული ამ საკითხის გადაწყვეტა, განსხვავებით სხვა მოსამსახურეებთან მიმართებაში, რომელთა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციისას გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია გასაჩივრებული აქტის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ აქტში აღნიშნულია, რომ ი. ქ-ე თანამდებობიდან გათავისუფლდა გამგებლისათვის მინიჭებული დისკრეტული უფლებამოსილების გამოყენებით და, შესაბამისად, აქტი ამ კუთხით შეიცავს სათანადო დასაბუთებას. სასამართლომ განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შეპოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა სწორად შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით; წინააღმდეგ შემ-

თხვევაში საჯარო სამართალურთიერთობა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 ნოემბრის №ბს-301-292(2კ-13) განჩინება). გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლობიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო, უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში, ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით; მას უნდა შეეძლოს, იცოდეს, რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია; დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს (იხ. სუს იგივე განჩინება).

ისეთ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, მიიღოს დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რათა უფრო ნათელი გახდეს თანამდებობიდან გათავისუფლების გამოყენების საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში; ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ზოგადად, შებოჭილია კანონიერების პრინციპით, კონკრეტულად, კანონისმიერი დათ-

ქმის პრინციპით, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება, გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენეს; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება, გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

სასამართლომ განმარტა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს, რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევას, დადგენასა და შეფასებას; ამასთან, სასამართლო ამონიმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერება-დასაბუთებულობას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის №ბს-201-199(კ-14) განჩინება).

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები, ოპტიმალური იყო არსებული შესაძლებლობებიდან; აღნიშნულიდან გამომდინარე, დისკრეციული უფლებამოსილების შეფასებისას უნდა შეფასდეს სადავო გადაწყვეტილებაში გამოყენებულია თუ არა საკითხის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური საშუალება და დასაბუთებულია თუ არა გამოყენებული ღონისძიების ყველაზე მისაღები ხასიათი შესაძლო ალტერნატიულ ღონისძიებებთან შედარებით.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 იანვრის №13-001 ბრძანება აგებულია იმაზე, რომ ი. ქ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა გამგებლისათვის მინიჭებული უფლების გამოყენებით, და კონკრეტული მიზეზი მასში ასახული არ არის, რის გამოც, ბრძანების დასაბუთებულობის თვალსაზრისით, რჩება არასაკმარისობის განცდა (მხარეთა განმარტებით, გამგებელსა და მოსარჩელეს შორის მოხდა უთანხმოება სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით). მიუხედავად ამისა, სასამართლომ განმარტა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებ-

ლობა არ ავალდებულებს გამგებელს, დაასაბუთოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის როგორც თანამდებობაზე დანიშვნის, ასევე გათავისუფლების გადაწყვეტილება, და აქტში მითითოს დანიშვნის ან გათავისუფლების კონკრეტული მიზეზი (მაგ. დანიშვნისას – სათანადო კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების ქონა ან გათავისუფლებისას სამსახურებრივი ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება, შრომითი დისციპლინის დარღვევა და ა.შ.). თანამდებობიდან გათავისუფლების აქტში კონკრეტული მიზეზის მითითება უფრო მეტ სიცხადეს შეიტანდა და ნათელს მოფენდა, რატომ მიიღო გამგებელმა თავისივე ერთპიროვნული შეხედულებით დანიშნული მოხელის შემდგომში თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება, რაც საშუალებას მისცემდა როგორც მხარეს, ასევე სასამართლოს, ემსჯელა გათავისუფლების გაცხადებულ მოტივებთან დაკავშირებით; თუმცა ამგვარი მოტივაციის არ არსებობა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, არ ქმნის თანამდებობიდან გათავისუფლების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მიჩნევის საკმარის საფუძველს, რადგან, როგორც აღინიშნა, დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებს გამგებელს, დაასაბუთოს თავისივე ერთპიროვნული შეხედულებით დანიშნული მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება.

სასამართლომ განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი სრულ თავისუფლებას ანიჭებს გამგებელს საკუთარი პასუხისმგებლობით შეარჩიოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განსაზღვროს მისი კვალიფიციურობა, ხელმძღვანელობითი ფუნქციების განხორციელებისადმი სანდოობა, უნარ-ჩვევები, და ისე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული კადრის შერჩევაში; სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე განწესება და გათავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია გამგებელზე. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით (59-ე მუხლის მე-2 და მე-60 მუხლის მე-4 ნაწილები) მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილება განესაზღვრება გამგებლის უფლებამოსილების ვადით და ეს უფლებამოსილება, სხვა საფუძველთან ერთად, უწყდება გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაშიც.

„გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის დებულების“ (დამტკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №41 დადგენილებით) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურის უფროსი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც სა-

ქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი; სასამართლომ მიიჩნია, რომ „დებულების“ ეს ჩანაწერი კოლიზიაშია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილთან, რომლითაც ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება დამოკიდებული არ არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. აქედან გამომდინარე, სადავო სამართალურთიერთობა უნდა გადაწყდეს კანონქვემდებარე აქტზე – მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაზე იერარქიით ზემდგომი საქართველოს ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესით. როგორც აღინიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი სრულ თავისუფლებას ანიჭებს გამგებელს საკუთარი პასუხისმგებლობით შეარჩიოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება მის თანამდებობაზე განმწესებასა თუ გათავისუფლებაზე – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესისაგან დამოუკიდებლად.

სასამართლომ ამგვარი მსჯელობისა და დასკვნის მართებულობასთან დაკავშირებით დამატებით მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლზე, რომლის მიხედვით, გამგებლის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით 2017 წლის 1 იანვრიდან, დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი ამგვარი წესი მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე განსაზღვრული არ არის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემით კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, აქტი შეიცავს მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთებას, რომ გამგებელმა გამოიყენა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, და თანამდებობიდან გაათავისუფლა მისივე შეხედულებით ერთპიროვნულად დანიშნული ... სამსახურის უფროსი.

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ქ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანება; ი. ქ-ე აღდგენილ იქნა გორის მუნიციპალიტეტის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე; გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე მთელი პერიოდის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6 და მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდო მისივე დისკრეციის ფარგლებში.

სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია, შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავ-

ლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ი. ქ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანების გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას, კერძოდ, თუ რატომ განთავისუფლდა ი. ქ-ე დაკავებული თანამდებობიდან. ფაქტიურად მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა მხოლოდ გამგებლის ნების საფუძველზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი სხვა მოთხოვნებიც, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული ბრძანება არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას, შესაბამისად დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლის მოთხოვნები. როგორც მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილი იყო ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან უპირობოდ გაეთავისუფლებინა მოსარჩელე, რადგან ეს ფუნქცია გამგებლის უფლებამოსილებას წარმოადგენს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 იანვრის №13-001 ბრძანება აგებულია იმაზე, რომ ი. ქ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა გამგებლისათვის მინიჭებული უფლების გამოყენებით, და კონკრეტული მიზეზი მასში ასახული არ არის, რის გამოც, ბრძანების დასაბუთებლობის თვალსაზრისით, რჩება არასაკმარისობის განცდა. თუმცა, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სა-

სამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებს გამგებელს, დაასაბუთოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის როგორც თანამდებობაზე დანიშვნის, ასევე გათავისუფლების გადაწყვეტილება, და აქტში მითითოს დანიშვნის ან გათავისუფლების კონკრეტული მიზეზი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა არის ადმინისტრაციული ორგანო და მასზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 53-ე, 96-ე მუხლების მოქმედება. მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებაში კონკრეტული მიზეზის მითითება უფრო მეტ სიცხადეს შეიტანდა და ნათელს მოჰყენდა, რატომ მიიღო გამგებელმა მის მიერ დანიშნული მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება, რაც საშუალებას მისცემდა როგორც მხარეს, ასევე სასამართლოს, ემსჯელა გათავისუფლების გაცხადებულ მოტივებთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი მოტივაციის არ არსებობა, ქმნის თანამდებობიდან გათავისუფლების უკანონოდ მიჩნევის საკმარის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1¹ და 1² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე, თუმცა კანონის ეს დეფინიცია არ გულისხმობს იმას, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ უნდა გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყდებთ, აგრეთვე გამგებლის/მერის მიერ თანამდებობებიდან მათი გათავისუფლების შემთხვევაში. მითითებული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი/მერი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი

შეუთავსებლობის, აგრეთვე უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება ამ კანონის 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად. მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ანიჭებს გამგებელს უფლებამოსილებას გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, თუმცა ეს უფლებამოსილება არ გულისხმობს ყოველგვარი საფუძვლისა და დასაბუთების გარეშე შესაბამისი პირის თანამდებობიდან დათხოვნის უფლებას.

სააპელაციო პალატამ, ასევე, მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლზე, რომლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო აქტის გამოცემის შემთხვევაში, შეზღუდულია კანონის მოთხოვნის ფარგლებით.

სააპელაციო პალატა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და 96.2. მუხლების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება მიღებულია სათანადო დასაბუთების გარეშე და მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანება მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე გამოცემულია კანონის დარღვევით და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ი. ქ-ე „საჯვარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს

კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და ამავე კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე აღდგენილ უნდა იქნეს გორის მუნიციპალიტეტის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაეკისროს განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის განმავლობაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არასწორად არის გამოყენებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლები. ასევე სასამართლომ არ გამოიყენა და სამართლებრივი მიზნისა და მნიშვნელობის გარეშე დატოვა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობისთვის სპეციალური კანონი, რომელიც გამგებელს ერთპიროვნულად ანიჭებს უფლებამოსილებას დანიშნოს და გაათავისუფლოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (თანამდებობის პირი). სააპელაციო სასამართლომ მხედველობის მიღმა დატოვა გამგებლის მოადგილეების და სტრუქტურული ერთეულის უფროსების დანიშვნა-გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო არასწორად მსჯელობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ დისკრეციულ უფლებამოსილებაზე გამგებლის სპეციალურ უფლებამოსილებასთან მიმართებაში. მითითებული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია, რომ დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილ ფარგლებში ანუ გამგებლის გადაწყვეტილება დაფუძნებულია და გამომდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებით.

რაც შეეხება დასაბუთებას, კასატორის განმარტებით, თვითმმართველობის კოდექსი არ ავალდებულებს გამგებელს მიუთითოს მიზეზი და საფუძვლები, როგორც დანიშვნისას, ასევე გათავისუფლებისას. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საკმარისად შეიცავს ამ უფლებამოსილების რეალიზაციის დასაბუთებას, რომლითაც გამგებელმა გამოიყენა მისთვის მინიჭებული ფართო დისკრეციული უფლებამოსილება და თა-

ნამდებობიდან გაათავისუფლა თავისივე ნებით დანიშნული ... სამსახურის უფროსი (თანამდებობის პირი) და მოცემული თანამდებობა სხვა მისთვის სასურველ პირს ჩააბარა.

კასატორის მითითებით, სპეციალური ნორმების – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე, 59-ე, მე-60 მუხლებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, გამგებელი აღჭურვილია თავისუფალი გადაწყვეტილების უფლებით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სპეციალური კანონმდებლობის იმ ნაწილს, რომელიც იურიდიულად გამიჯნავს გამგებლის უფლებამოსილებების განხორციელების იმპერატიულობას და დამოუკიდებლობას, დაუპირისპირა და არასამართლებრივი რეგლამენტებით საფუძვლად დაუდო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება – 53-ე მუხლი“ და „საქმის გარემოებათა გამოკვლევა – 96-ე მუხლი“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ქ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადან-

ყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის – ი. ქ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 5 იანვრის №13-001 ბრძანების კანონიერება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ი. ქ-ე სადავო ბრძანების უკანონობის საფუძვლად მის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს, ხოლო მოპასუხის – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მტკიცებით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება გამგებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მას დასაბუთების ვალდებულება არ წაეყენებოდა. სადავო საკითხის შეფასებისას ასევე განსხვავებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნები გასაჩივრებული ბრძანების კანონიერების თაობაზე.

ამდენად, სადავო საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნასა და გათავისუფლებასთან მიმართებაში გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები წარმოადგენს, რა დროსაც გადამწყვეტია დადგინდეს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლება გამგებელს აქტის დასაბუთების ვალდებულებას თუ აკისრებდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს იმგვარ უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს კი არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს ალჭურავს უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი. ამასთან, ამავე კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში; ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონის მიზნების შესაბამისად და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სადავო სამართალურ-თიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ კანონს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორცი-

ელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე მუხლი განსაზღვრავს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს, რომლის მიხედვით, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები არიან: ა) გამგებელი/მერი; ბ) გამგებლის/მერის პირველი მოადგილე; გ) გამგებლის/მერის მოადგილე; დ) გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს. ხოლო ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია), გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გაიწესდა გამგებლის/მერის მიერ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და გამგეობის/მერიის სხვა მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება; კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის (რომელიც გამგებლის/მერის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს) პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტი ეხება გამგებლის/მერის მიერ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებას, ხოლო „ა.დ“ ქვეპუნქტი – გამგეობის/მერიის მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1¹ და 1² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე.

სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, გამგებელს გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებაზე მინიჭებული ჰქონდა ფართო დისკრეცია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის გათვალისწინებულად (რომელიც არ ვრცელდებოდა გამგეობის თანამდებობის პირებზე), მხოლოდ მის უშუალო შეხედულებაზე იყო დამოკიდებული აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, განსხვავებით სხვა მოსამსახურეთაგან, რომელთა შრომითსამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციისას გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 11 აგვისტოს ბრძანებით ი. ქ-ე დანიშნა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილების ვადით. მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა სწორედ გამგებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, კონკურსისა და თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ხოლო გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანებით ი. ქ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის – ი. ქ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 იანვრის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე და 61-ე მუხლების გათვალისწინებით გამგეობის ... სამსახურის უფროსი წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ თანამდებობის პირს, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის გათვალისწინებით, მოცემულ თანამდებობაზე არ ვრცელდება ამ კანონის სხვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, რომელიც თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთებას და სხვა სამართლებრივი პროცედურების განხორციელებას არეგულირებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საქართველოს შრომის კოდექსის დავალებით; შესაბამისად, მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის (გადაწყვეტილების) გამოცემის ნება, მუნიციპალიტეტის გამგებლის საკუ-

თარი ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს. ამასთან, ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი და 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ი. ქ-ე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსად დანიშნულია იმავე გამგებლის ბრძანებით, რომლის გადაწყვეტილებითაც იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს გამგეობის თანამდებობის პირს, რომელსაც გამგებელი ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საკუთარი შეხედულებით.

გასაჩივრებული ბრძანება მოტივირებულია სწორედ გამგებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაზე მითითებით, რომელიც შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, თუმცა არ შეიცავს დასაბუთებას გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძველზე დაკავშირებით, რაც განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი ნორმების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს ბრძანების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც სამართლის ნორმის ადრესატების ერთი ჯგუფი, სხვა ჯგუფთან შედარებით განსხვავებულად განიხილება, მონესრიგების ლოგიკიდან გამომდინარე ამ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება უნდა ამართლებდეს დადგენილ უთანასწორობას, კავშირი დიფერენცირების ნიშანსა და განსხვავებულად განხილვას შორის უნდა იძლეოდეს რაციონალური ახსნის შესაძლებლობას და სამართლებრივად განსხვავებული შედეგები ფაქტობრივად არსებული განსხვავების პროპორციული უნდა იყოს.

სადავო ბრძანების გამოცემისას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი გამგებელს თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარი შეხედულებითა და პასუხისმგებლობით შეერჩია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განესაზღვრა მისი კვალიფიციურობა, ხელმძღვანელობითი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა, უნარ-ჩვევები და ისე მიელო გადაწყვეტილება მის შერჩევაში. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელ-

მძღვანელი პირების დანიშნულებიდან და არსიდან გამომდინარეობდა მათი თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების განსხვავებული რეგულაცია. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით (59-ე და 60.4 მუხლები), გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილება განისაზღვრება გამგებლის უფლებამოსილების ვადით და ეს უფლებამოსილება, სხვა საფუძვლებთან ერთად, უწყდება გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურის უფროსი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი. „დებულების“ აღნიშნული ჩანაწერი კოლიზიაშია სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლის პირველ ნაწილთან, რომლითაც ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშნვა-გათავისუფლება დამოკიდებული არ იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობა უნდა გადაწყდეს კანონქვემდებარე აქტზე – მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაზე იერარქიით ზემდგომი საქართველოს ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესით, რომელიც სადავო ბრძანების გამოცემისას გამგებელს სრულ თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარი პასუხისმგებლობით შეერჩია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და ერთპიროვნულად მიელო გადაწყვეტილება მის თანამდებობაზე დანიშნვასა თუ გათავისუფლებაზე – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესისგან დამოუკიდებლად.

ამასთან, აღნიშნული მსჯელობა არ ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერ ვალდებულებას, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს

გამგებლისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელება და საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ობიექტურ მიზნებს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ი. ქ-ის გათავისუფლებით არ დარღვეულა სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც გამგებლის უფლებამოსილებას წარმოადგენდა თავისი შეხედულებით დაენიშნა და გაეთავისუფლებინა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირი. ამდენად, გამგებელმა გადაწყვეტილება ი. ქ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიიღო მისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად, რის გამოც სახეზე არ გვაქვს გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ქ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საპენსიო დავები

უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის პენსიის დანიშვნის საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-484-477 (კ-15)

3 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: მიუღებელი პენსიის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 30 ოქტომბერს მ. ქ-ამ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის 2008 წლის აგვისტოდან 2011 წლის მარტის ჩათვლით მიუღებელი პენსიის – 2240 ლარის გადახდის დაკისრება, ასევე მორალური ზიანის – 100000 ლარის ანაზღაურება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ განსახილველ საქმეზე წარმომადგენდა არასათანადო მოპასუხეს, ვინაიდან სოციალური პაკეტის ადმინისტრირების ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის მოქალაქეთათვის პენსიის/კომპენსაციის სოციალური დახმარების ადმინისტრირების პროცედურების განხორციელება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ იყო აღძრული.

მოსარჩელემ უარი განაცხადა სათანადო მოპასუხით შეცვლაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მარტის განჩინებით არასათანადო მოპასუხე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოთი.

ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით მ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ქ-ას სარჩელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. მ. ქ-ა არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელსაც 2005 წლის ოქტომბრიდან აქვს საქართველოში ბინადრობის უფლება;

2. ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „...“ 2008 წლის 18 ივლისის №... ცნობით დადგენილია, რომ მ. ქ-ას 2008 წლის 11 ივლისს ჩაუტარდა მარჯვენა მტევნის ტრავმული ამპუტაცია;

3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 8 ივლისის №04/57736 წერილით იურისტ ჯ. ბ-ეს ეცნობა, რომ მ. ქ-ასათვის 2008 წელს პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველად განემარტა, რომ „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიების შესახებ“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმების მე-2 მუხლით, აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. 2012 წლის პირველ სექტემბრამდე მოქმედი რედაქციით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვ-

რებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით პენსია საქართველოში დაენიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ პენსიის დასაწინიშნად მომართვამდე ბოლო 10 წელი მუდმივად ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, დადგენილი ჰქონდა მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა პენსიის მიუღებლობის შესახებ იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ის იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის პირველ მუხლზე, „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიების შესახებ“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმების მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ მ. ქ-ას მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ პასუხობდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, არ იყო დადასტურებული პენსიის დანიშვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმის (საქართველოში 10 წლით მუდმივად ცხოვრების ფაქტი) არსებობა, შესაბამისად, პენსიის დანიშვნის საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ქ-ამ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის განმარტებით „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიებზე“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმების მე-4 მუხლით ერთი მხარე აძლევს მოქალაქეებს თავის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებიც გადავიდნენ (ჩამოვიდნენ) მეორე მხარის სახელმწიფოდან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, იმავე უფლებებს საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში, რასაც თავის მოქალაქეებს. კასატორს 2005 წლის ოქტომბრიდან აქვს საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება. 10-წლიანი შეზღუდვის გავრცელება ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ შეთანხმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერება და მიიჩნევს, რომ მ. ქ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. მ. ქ-ა არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელსაც 2005 წლის ოქტომბრიდან აქვს საქართველოში ბინადრობის უფლება;

2. ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „...“ 2008 წლის 18 ივლისის №... ცნობით დადგენილია, რომ მ. ქ-ას 2008 წლის 11 ივლისს ჩაუტარდა მარჯვენა მტევნის ტრავმული ამპუტაცია;

3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 8 ივლისის №04/57736 წერილით იურისტ ჯ. ბ-ეს განემარტა, რომ „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიებზე“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმების მე-2 მუხლით, აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. 2012 წლის პირველ სექტემბრამდე მოქმედი რედაქციით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით პენსია საქართველოში დაენიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ პენსიის დასანიშნად მომართვამდე ბოლო 10 წელი მუდმივად ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, დადგენილი ჰქონდა მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა პენსიის მიუღებლობის შესახებ იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ის იყო.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა

საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ზემოაღნიშნული ფაქტების მიმართ ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიებზე“ 1997 წლის 16 მაისის შეთანხმება და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„შეთანხმების“ მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამავე შეთანხმების პირველი მუხლის მიხედვით, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ არის მუდმივი ან უპირატესი საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრული ან ცნობილი, როგორც ასეთი, საქართველოს ან რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით, ხოლო მე-4 მუხლის თანახმად, ერთი მხარე აძლევს მოქალაქეებს თავის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებიც გადავიდნენ (ჩამოვიდნენ) მეორე მხარის სახელმწიფოდან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, იმავე უფლებებს საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში, რასაც თავის მოქალაქეებს.

აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთის მოქალაქეების, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიაზე აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან, ეს პირები სარგებლობენ იმავე უფლებებით, რაც საქართველოს მოქალაქეები და მათ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს იგივე შეზღუდვები ან წინაპირობები, რაც საქართველოს მოქალაქეებზეც ვრცელდება.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა შეთანხმების მე-4 მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო ხელშეკრულებას/შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამავე კანონის საფუძველზე, სამართლის ნორმებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას, მოქმედებს უფრო ზემდგომი ნორმატიული აქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით ან სხვა საკანონმდებლო აქტით უცხო ქვეყ-

ნის მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული განსხვავებული შეზღუდვები ამ შეთანხმებასთან მიმართებით არ გამოიყენება. კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი შეზღუდვა, დათქმა ან წინაპირობა, რომელიც არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, არ შეიძლება, ამ შეთანხმების ფარგლებში, გავრცელდეს რუსეთის მოქალაქეებზე. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება პენსიის ოდენობა, საპენსიო ასაკი, პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტები, კომპეტენტური სახელმწიფო უწყება, მაგრამ დათქმა, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში აქცევს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებს, ამ შეთანხმებიდან გამომდინარე პენსიის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას, იურიდიული ძალის არმქონეა.

სააპელაციო სასამართლოს ასევე გამორჩა მხედველობიდან, რომ 2008 წელს, ანუ სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს მოქმედი რედაქციით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის პრეამბულის თანახმად, ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფა. სახელმწიფო პენსიის დანესებით ადგენს ასაკის, შესაძლებლობის შეზღუდვის და მარჩენალის დაკარგვის გამო პირის მიწმალური საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის საყოველთაო უფლებას და ამ უფლების რეალიზებას ახდენს ეტაპობრივად, არსებული რესურსების ფარგლებში. ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეს კანონი ვრცელდება პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ პირებს აქვთ საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებები, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისად, კანონის დებულებები გამოყენებული უნდა იქნეს, თუ საერთაშორისო შეთანხმება საკითხს განსხვავებულად არ აწესრიგებს. საკასაციო სასამართლო, ზემოაღნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ 10-წლიანი შეზღუდვის დანესება საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებზე, არ დაიშვება, ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს უარი პენსიის დანიშვნაზე იმ საფუძველით, რომ მ. ქ-ას საქართველოს ტე-

რიტორიაზე 10 წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტი არ დასტურდებოდა, არამართლზომიერია.

აქვე საყურადღებოა, რომ მ. ქ-ას პენსია 2011 წლის მარტიდან დაენიშნა. ვინაიდან მას ბინადრობის უფლება 2005 წლიდან აქვს მიღებული, გაუგებარია, 10-წლიანი შეზღუდვის გავრცელების შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი მოთხოვნა 2011 წელს როგორ დააკმაყოფილა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილში ასევე მითითებულია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით პენსია საქართველოში დაენიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენდა ცნობას პენსიის მიუღებლობის შესახებ იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ის იყო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. ამავე კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით კი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის საჭირო დოკუმენტის წარუდგენლობა შეიძლება გახდეს ხარვეზის დადგენის და არა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ვალდებულება, განუმარტოს მხარეს, საკითხის გადწყვეტისათვის საჭირო რომელი დოკუმენტი არ წარადგინა, ასევე, არსებობის შემთხვევაში, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების თაობაზე და დაეხმაროს მოთხოვნის სწორად ფორმულირებაში. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში ადმინისტრაციული წარმოების მასალები წარმოდგენილი არ არის და არ ირკვევა, დაევალა თუ არა მ. ქ-ას დამატებით ამ დოკუმენტის წარდგენა. სასამართლო სხდომაზე თავად კასატორმა განმარტა, რომ ვინაიდან ის არ ითხოვდა ასაკით პენსიის დანიშვნას, ტრავმა კი საქართველოში მიიღო, ასეთი ცნობის წარდგენის აუცილებლობა არ არსებობდა. საკასაციო სასამართლო

ეთანხმება კასატორის ამ განმარტებას და აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა, ამასთან, საკასაციო სასამართლოს აზრით, ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა უნდა ემყარებოდეს იმ ვარაუდს, რომ მათ აქვთ გარკვეული მნიშვნელობა საკითხის გადაწყვეტისათვის და არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ფორმალური პირობის დაკმაყოფილებას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი პირადობის მოწმობა ადასტურებს, რომ მ. ქ-ა ... წელს დაიბადა, შესაბამისად, 2008 წელს ეს უკანასკნელი საპენსიო ასაკს მიღწეული პირი არ იყო. საქმეში წარმოდგენილი სსე აქტის ამონაწერი და ჯანმრთელობის ცნობა (ე.წ. „ფორმა 100“) ასევე ადასტურებს, რომ მ. ქ-ას ტერფის ტრავმული ამპუტაცია საქართველოში ჩაუტარდა და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსიც საქართველოში დაუდგინდა, ამდენად, მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მას უნდა წარედგინა ცნობა რუსეთში პენსიის მიუღებლობის თაობაზე, საფუძველს მოკლებულია. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია, თავად გამოითხოვოს და გადაამოწმოს ეს ინფორმაცია. სააპელაციო სასამართლოს კი, ეს გარემოებები საერთოდ არ შეუფასებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა ან არასწორად განმარტა კანონი.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის სფეროში უფლებების გარანტიებზე“ შეთანხმების მე-4 მუხლი, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 2008-2011 წლებში მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და არასწორად განმარტა ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას

საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება კი არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ქ-ას უკანონოდ ეთქვა უარი პენსიის დანიშვნაზე და ამ ნაწილში მისი სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია.

კასატორის მეორე სასარჩელო მოთხოვნაა მორალური ზიანის – 100 000 ლარის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

აღნიშნული ნორმის იმპერატიული დანაწესია, რომ მორალური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ზოგადი ნესების შესაბამისად, მორალური ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ პირადი არაქონებრივი უფლებების (სახელი უფლება, საავტორო უფლებები და ა. შ.) ან არამატერიალური სიკეთის (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ა. შ.) ხელყოფის შემთხვევაში. მორალური ზიანი არის იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომლსაც ქონებრივი შესატყვისი არ გააჩნია და განცალკევებულია პირის ეკონომიკური მხარისაგან. იგი მატერიალური ზიანის საპირისპიროა და არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზარალთან, შემოსავლების შემცირებასთან ან გამდიდრების არ არსებობასთან. მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, არსებობოდეს დელიქტური ვალდებულებებისათვის დამახასიათებელი სქემა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და ქმედებას შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევა, ამასთან, ბუნებრივია, მორალური ზიანის მიყენების ფაქტი სასამართლოში დამტკიცებას (დადსტურებას) საჭიროებს.

პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება კანონით გათვალისწინებული არ არის, ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარი, თავისთავად, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი არ შეიძლება იყოს. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელების ჩვეული ფორმაა. თუ არ იკვეთება ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება და პასუხისმგებლობის დაკისრების კანონით დადგენილი საფუძვლები (სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი), ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეიძლება დაეკისროს მატერიალური ან მორალური ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ამგვარი გარემოებები არ იკვეთება, შესაბამისად, სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ამასთან, მოსარჩელემ, ზოგადად, მორალური ზიანის მიყენების ფაქტიც ვერ დაადასტურა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით, სათანადოდ დასაბუთებული არ არის, ამდენად, ძალაში უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 410-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

4. მ. ქ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება მიუღებელი პენსიის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

6. მ. ქ-ას სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

7. მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისროს 2008 წლის აგვისტოდან 2011 წლის მარტის ჩათვლით მიუღებელი პენსიის, სულ 2240 ლარის, ანაზღაურება;

8. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები სუბიექტის დადგენა

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-671-664(კ-16)

9 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 15 ივლისს თ. ა-ამ სასარჩელო განცხადებით მართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1983 წლის 5 ივნისიდან 1987 წლის 1 აპრილამდე მუშაობდა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოში ... (...) თანამდებობაზე. 1991 წლის 24 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ა/რ პროკურატურაში განყოფილების ... 2007 წლის 19 ივნისს პროკურატურის ორგანოებიდან დაითხოვეს პროკურატურის შესახებ კანონის 34-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. 2007 წლის 5 სექტემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე იმუშავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სამართლებრივი დეპარტამენტის საჯარო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, 2015 წლის 26 თებერვალს თ. ა-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნა მოითხოვა. სახელმწიფო კონპენსაციის საკითხის გადასაწყვეტად თ. ა-ას განცხადება გადაეგზავნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 17 მარტის №04-15-01/938 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თ. ა-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის პირობებს, კერძოდ, დათხოვნის მომენტისათვის თ. ა-ას პროკურატურის ორგანოებში ნამუშევარი სტაჟი შეადგენდა 15 წელს, 8 თვესა და 25 დღეს, ხოლო პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის შემდეგ მუშაობის პერიოდი ვერ ჩაითვლებოდა წელთა ნამსახურობაში. აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით თ. ა-ამ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, თუმცა, სააგენტოს 2015 წლის 15 ივნისის №04/43170 გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მისთვის კომპენსაციის დანიშვნაზე უარის თქმას და მიუთითებს, რომ თავდაპირველად მან 15 წელი, 8 თვე და 25 დღე იმუშავა აჭარის ა/რ პროკურატურაში განყოფილების ... , საიდანაც სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით განთავისუფლდა საკუთარი ნება-სურვილით, პირადი განცხადების საფუძველზე. შემდგომ 3 წელი, 8 თვე და 26 დღე იმუშავა აჭარის უმაღლეს სასამართლოში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის ... თანამდებობაზე მან იმუშავა 7 წელი, 3 თვე და 26 დღე. საერთო ჯამში

მან დააგროვა სპეციალობით მუშაობის 26 წელი, 9 თვე და 26 დღე, რის გამოც მოსარჩელე მიიჩნევს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს სახელმწიფო კონპენსაციის დანიშვნისთვის კანონმდებლობით დადგენილ ყველა სავალდებულო მოთხოვნას.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 17 მარტის №04-15-01/938 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 15 ივნისის №04/43170 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრისთვის პროკურატურის ყოფილი მუშაკის თ. ა-ასთვის კანონით დადგენილი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის დავალბა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ა-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ა-ა 1983 წლის 7 მაისს დაინიშნა აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოს ... თანამდებობაზე, საიდანაც, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, განთავისუფლდა – 1987 წლის 1 აპრილს. 1991 წლის 24 ოქტომბრიდან 2007 წლის 19 ივლისის ჩათვლით, თ. ა-ა მუშაობდა აჭარის ა/რ პროკურატურაში განყოფილების ... , საიდანაც საქართველოს გენერალური პროკურორის 2007 წლის 19 ივლისის №78-2 ბრძანებით, საკუთარი ნება-სურვილით, პირადი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლდა თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან. შესაბამისად, მისი პროკურატურაში ნამუშევარი სტაჟი შეადგენს – 15 წელს, 8 თვეს და 25 დღეს.

წარმოდგენილი შრომის წიგნაკით (ცნობები მუშაობის შესახებ) სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ თ. ა-ა 2007 წლის 5 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის ... თანამდებობაზე, 2014 წლის 1 სექტემბერს განთავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან და დაინიშნა ამავე სამსახურის ... თანამდებობაზე, საიდანაც 2014 წლის 31 დეკემბერს განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2015 წლის 26 თებერვალს თ. ა-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, საიდანაც 2015 წლის 5 მარტს თ. ა-ას განცხადება კომპენსაციის დანიშვნის საკითხის გადასაწყვეტად გადაიგზავნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრში. სსიპ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 17 მარტის №04-15-01/938 წერილით, თ. ა-ას განემარტა, რომ მისი პროკურატურის ორგანოებში მუშაობის სტაჟი შეადგენდა 15 წელს, 8 თვეს და 25 დღეს, ხოლო პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის შემდეგ მუშაობის პერიოდი ვერ ჩაითვლებოდა წელთა ნამსახურობაში, შესაბამისად, თ. ა-ას უარი ეთქვა მის განცხადებაზე საქართველოს პროკურატურის ორგანოების ხაზით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე. თ. ა-ამ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 17 მარტის №04-15-01/938 წერილი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 15 ივნისის №04/43170 გადაწყვეტილებით თ. ა-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლები: ა) კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამონაწერა; ბ) 65 წლის ასაკის მიღწევა; გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; დ) მარჩენალის გარდაცვალება; ე) ოჯახის წევრის გარდაცვალება. ამავე კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი). ამ კომპენსაციის ოდენობაა დათხოვნის მომენტისათვის პროკურატურის მუშაკის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში მუშაობის სტაჟის ნამრავლი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მიზნებისათვის მუშაობის 20 წლის სტაჟში ჩაითვლება შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, 2011 წლის 11 მარ-

ტამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, 2011 წლის 11 მარტიდან 2011 წლის 3 ივნისამდე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში სპეციალობით მუშაობა, აგრეთვე ამ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სხვა ორგანოების შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში სპეციალობით მუშაობა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „ა“, „თ“ ან „ი“ (მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში - არანაკლებ 4 წლის სტაჟი). ამ კომპენსაციის ოდენობაა დათხოვნის მომენტისათვის პროკურატურის მუშაკის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში მუშაობის სტაჟის ნამრავლის 80%.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის ქვეპუნქტების თანახმად, პროკურატურის მუშაკი პროკურატურიდან შეიძლება დაითხოვონ: „ა“ – პირადი განცხადებით; „თ“ – შტატების შემცირებისას; „ი“ – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს, თანამდებობრივი შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებში; „კ“ – საპენსიო ასაკის მიღწევისას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 19 ივლისს მოსარჩელე პროკურატურიდან დაითხოვეს საქართველოს ორგანული კანონის „პროკურატურის შესახებ“ (განთავისუფლების პერიოდში მოქმედი რედაქცია) „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, თ. ა-ა საკუთარი ნება-სურვილით, პირადი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა პროკურატურიდან.

სასამართლოს განმარტებით, დასახელებული ნორმების ანალიზის საფუძველზე 2007 წლის 19 ივლისს მოსარჩელის საქართველოს პროკურატურიდან დათხოვნა არ წარმოშობდა მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 19 ივლისს, აჭარის პროკურატურიდან დათხოვნისას თ. ა-ას სპეციალობით მუშაობის 20 წლის სტაჟი არ ჰქონდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში სადავოა საკითხი იმის შესახებ უნდა ჩაეთვალოს თუ არა მოსარჩელეს პროკურატურის სისტემიდან დათხოვნის შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობის სტაჟი პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკათათვის კომპენსაციის დანიშვნისას. ამისათვის სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მესამე პუნქტის განმარტება, რომლის თანახმადაც, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „ა“, „თ“ ან „ი“ (მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი), ამდენად, კანონმდებელი მიუთითებს, რომ პირს პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას უნდა ჰქონოდა 20 წლის სტაჟი, რათა მას ამ მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია დაენიშნოს.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 17 მარტის №04-15-01/938 წერილი – ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი მიღებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და არ არსებობდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 15 ივნისის №04/43170 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განჩინებით თ. ა-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ბათუ-

მის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითა მათზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი არ აკონკრეტებს პროკურატურიდან დათხოვნილ მუშაკს 20 წლიანი სტაჟი პროკურატურიდან დათხოვნისას უნდა ჰქონდეს თუ მასში შედის დათხოვნის შემდგომ დაგროვილი სტაჟიც. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ აღნიშნულ ნორმას არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. კასატორის მოსაზრებით, კომპენსაციის დანიშვნისთვის მნიშვნელობა არა აქვს სპეციალობით ნამსახურეთის სტაჟი პროკურატურიდან დათხოვნილ მუშაკს დათხოვნისას გააჩნდა თუ შემდგომ დააგროვა იგი, მთავარია, რომ მას ჰქონდეს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი). კასატორის მოსაზრებით, სპეციალობით მუშაობის სტაჟი ერთ მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული.

კასატორის მითითებით, კანონის განმარტებისას სასამართლო არ უნდა ამოდიოდეს ნორმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან, არამედ უნდა მოიცვას გარემოებების ფართო სპექტრი. ნორმის იმგვარი გაგებით, როგორც განმარტეს სასამართლოებმა მას დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. კანონის წინაშე თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა კი იმდენად მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ამ კონცეფციის ვინაშით ან მხოლოდ სიტყვა-სიტყვით, გრამატიკული მნიშვნელობით განმარტება, აკნინებს მის სამართლებრივ მნიშვნელობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 23 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე

მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ა-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით თ. ა-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ თ. ა-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ა-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ

საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადავო საკითხს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს განსახილველ სამართალურთიერთობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არამხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თ. ა-ა 1983 წლის 7 მაისს დაინიშნა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს ... თანამდებობაზე, საიდანაც, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, განთავისუფლდა – 1987 წლის 1 აპრილს. 1991 წლის 24 ოქტომბრიდან 2007 წლის 19 ივლისის ჩათვლით, თ. ა-ა მუშაობდა აჭარის ა/რ პროკურატურაში განყოფილების ..., საიდანაც საქართველოს გენერალური პროკურორის 2007 წლის 19 ივლისის №78-2 ბრძანებით, საკუთარი ნება-სურვილით, პირადი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლდა თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან. შესაბამისად, მისი პროკურატურაში ნამუშევარი სტაჟი შეადგენს – 15 წელს, 8 თვეს და 25 დღეს. 2007 წლის 5 სექტემბერს თ. ა-ა დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის ... თანამდებობაზე, 2014 წლის 1 სექტემბერს განთავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან და დაინიშნა ამავე სამსახურის ... თანამდებობაზე, საიდანაც 2014 წლის 31 დეკემბერს განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საჯარო სამსახურიდან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდან) განთავისუფლების შემდეგ თ. ა-ამ კომპენსაციის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, საიდანაც თ. ა-ას განცხადება

კომპენსაციის დანიშვნის საკითხის გადასაწყვეტად გადაიგზავნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრში. ადმინისტრაციულმა ორგანომ 2015 წლის 17 მარტის №04-15-01/938 გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ მიიჩნია თ. ა-ას მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მისი პროკურატურის ორგანოებში მუშაობის სტაჟი შეადგენდა 15 წელს, 8 თვეს და 25 დღეს, ხოლო პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის შემდეგ მუშაობის პერიოდი ვერ ჩაითვლებოდა წელთა ნამსახურობაში, შესაბამისად, თ. ა-ას უარი ეთქვა საქართველოს პროკურატურის ორგანოების ხაზით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება თ. ა-ამ ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის 2015 წლის 15 ივნისის №04/43170 გადაწყვეტილებით თ. ა-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კანონმდებლობით განსაზღვრულია სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტთა წრე, რა დროსაც კომპენსაციის მისაღებად პირი კანონით დადგენილ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი მუშაკებისთვის კომპენსაციის დანიშვნის წესს ითვალისწინებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკებს. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურატურიდან დათხოვნისას პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში/ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი). ამ კომპენსაციის ოდენობა არის: ა) უმაღლესი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისთვის – სახელმწიფო პენსიას დამატებული სახელმწიფო პენსიის 20%-ის შესაბამის სტაჟზე ნამრავლი; ბ) უფროსი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისთვის – სახელმწიფო პენსიას დამატებული სახელმწიფო პენსიის 15%-ის შესაბამის სტაჟზე ნამრავლი; გ) საშუალო სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისთვის – სახელმწიფო პენსიას დამატებული სახელმწი-

ფო პენსიის 10%-ის შესაბამის სტაჟზე ნამრავლი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „ა“, „თ“ ან „ი“ (მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში არჩევის ან დანიშვნის დროს) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროკურატურიდან დათხოვნილ პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში/ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი). ამ კომპენსაციის ოდენობა არის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისის კონპენსაციის 80%.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის ქვეპუნქტების თანახმად, პროკურატურის მუშაკი პროკურატურიდან შეიძლება დაითხოვონ: „ა“ – პირადი განცხადებით; „თ“ – შტატების შემცირებისას; „ი“ – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს, თანამდებობრივი შეუთავსებლობის სხვა შემთხვევებში; „კ“ – საპენსიო ასაკის მიღწევისას.

ამდენად, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას უნდა დადგინდეს წარმოადგენს თუ არა თ. ა-ა სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს.

დადგენილია, რომ 2007 წლის 19 ივლისს თ. ა-ა პროკურატურიდან დაითხოვეს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (განთავისუფლების პერიოდში მოქმედი რედაქცია) 34-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, თ. ა-ა საკუთარი ნება-სურვილით, პირადი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნეს, რომ თ. ა-ას 2007 წლის 19 ივლისს აჭარის ა/რ პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას მისი პროკურატურის ორგანოებში მუშაობის სტაჟი შეადგენდა 15 წელს, 8 თვეს და 25 დღეს, შესაბამისად, 2007 წლის 19 ივლისს, აჭარის ა/რ პროკურატურიდან დათხოვნისას თ. ა-ას სპეციალობით მუშაობის 20 წლის სტაჟი არ ჰქონდა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნეს, რომ პირს პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას უნდა ჰქონდეს 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი), რათა მას „სახელ-

მნიფო კომპენსაციისა და სახელმნიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია დაენიშნოს და არა დათხოვნის შემდეგ განაგრძოს სტაჟის დაგროვება. სასამართლომ პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის შემდეგ მუშაობის პერიოდი არ ჩათვალა წელთა ნამსახურობაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გამოიყენეს სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი „სახელმნიფო კომპენსაციისა და სახელმნიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „ა“, „თ“ ან „ი“ (მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროკურატურიდან დათხოვნისას პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი). ამ კონპენსაციის ოდენობა დათხოვნის მომენტისათვის პროკურატურის მუშაკის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში მუშაობის სტაჟის ნამრავლის 80%. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მითითებული ნორმის განმარტებისას ყურადღება გაამახვილეს ტერმინზე „დათხოვნისას“ და აღნიშნეს, რომ პროკურატურის მუშაკისთვის გათვალისწინებული კომპენსაციის დანიშვნისთვის აუცილებელია პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის მომენტისათვის პირს ჰქონდეს 20 წლის სტაჟი და დათხოვნის შემდეგ დაგროვებული სტაჟი არ ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 27 ნოემბერს „სახელმნიფო კომპენსაციისა და სახელმნიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მითითებული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „ა“, „თ“ ან „ი“ (მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში არჩევის ან დანიშვნის დროს) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროკურატურიდან დათხოვნილ პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, თუ მას აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში/ორგანოებში სპეციალობით მუშაობის

არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი). ამ კომპენსაციის ოდენობა არის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისის კონპენსაციის 80%.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, თუმცა არასწორად განმარტეს იგი. აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს კომპენსაციას, თუ მას უშუალოდ პროკურატურის ორგანოდან დათხოვნის მომენტისათვის ჰქონდა სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი, მათ შორის, პროკურატურის სისტემაში არანაკლებ 4 წლის სტაჟი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის სუბიექტი არის პროკურატურის მუშაკი და აღნიშნული ნორმა პროკურატურის სისტემიდან დათ-

ხოვნილ მუშაკებს დამატებით სოციალურ გარანტიებს უქმნის. პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკს კომპენსაცია მიეცემა იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურის ორგანოებში მუშაობით სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახური აქვს გაწეული. აქედან გამომდინარე, ფაქტს, პირდაპირ პროკურატურის ორგანოებიდან მოხდება პირის განთავისუფლება თუ სხვა ორგანოდან, კომპენსაციის დანიშვნის საკითხთან არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ამით არ იცვლება ის გარემოება, რომ პროკურატურის მუშაკმა განსაკუთრებული შრომა გასწია სახელმწიფოს წინაშე. კომპენსაციის დანიშვნისას დაცული უნდა იქნეს ნორმის მოთხოვნა – პროკურატურის მუშაკს ჰქონდეს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში/ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი (მათ შორის, პროკურატურის სისტემაში – არანაკლებ 4 წლის სტაჟი), ამასთან, მითითებული ნორმის საფუძველზე პროკურატურის მუშაკს კომპენსაცია ენიშნება, მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოში არჩევის ან დანიშვნის დროს, რაც არა თუ გამოორიცხავს თ. ა-ასთვის კომპენსაციის დანიშვნას, არამედ ნორმაში მითითებული აღნიშნული მოთხოვნა კომპენსაციის დანიშვნის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.

ამასთან, ტერმინი „დათხოვნისას“ გულისხმობს არა უშუალოდ პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის ფაქტს, არამედ, მიუთითებს პირის სამსახურიდან დათხოვნის მომენტი-სათვის კომპენსაციის გაანგარიშების წესზე. ნორმა განმარტებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ პროკურატურის მუშაკი კომპენსაციას მიიღებს პროკურატურის ორგანოდან დათხოვნის მომენტისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის გათვალისწინებით. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, კომპენსაციის ოდენობა არის დათხოვნის მომენტისათვის პროკურატურის მუშაკის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებში მუშაობის სტაჟის წამრავლის 80%. შესაბამისად, პროკურატურის მუშაკის კომპენსაციის ოდენობა გამოითვლება იმ თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, რომელსაც იღებდა იგი პროკურატურიდან დათხოვნის მომენტისათვის.

თუმცა, სასამართლო ამ ეტაპზე ვერ იმსჯელებს კომპენსა-

ციის გაანგარიშებასა და მისი ოდენობის განსაზღვრაზე, რადგან აღნიშნული დავის საგანს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო სადავო საკითხზე მსჯელობისას ყურადღებას მიაქცევს თავად კომპენსაციის ბუნებასა და მისი დანიშვნის მიზნებს. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოხატა ნება შეექმნა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის გამო. სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის საფუძვლით კომპენსაციის დანიშვნა მათი დამსახურების ერთგვარ კომპენსირებას ახდენს. შესაბამისად, კომპენსაციის არსისა და მისი მიზნების გათვალისწინებით, გაუგებარია თ. ა-ას პროკურატურის ორგანოებიდან განთავისუფლების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობამ რატომ შეუზღუდა კომპენსაციის მიღების – დამატებითი სოციალური გარანტიით სარგებლობის უფლება. თუ ის პირი მიიღებს კომპენსაციას, რომელმაც თავდაპირველად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ ორგანოში/ორგანოებში სპეციალობით მუშაობის 20 წლიანი სტაჟი, მათ შორის ბოლო 4 წელი პროკურატურის სისტემაში მუშაობით დააგროვა, საიდანაც უშუალოდ მოხდა მისი განთავისუფლება, მაშინ რატომ ვერ უნდა მიიღოს კომპენსაცია პროკურატურის სისტემაში ნამუშევარმა 15 წლის, 8 თვის და 25 დღის სტაჟის მქონე პირმა, რომელსაც ჯამში სპეციალობით მუშაობის 26 წლის, 9 თვისა და 26 დღის სტაჟი აქვს, თუმცა მისი განთავისუფლება არ მომხდარა უშუალოდ პროკუ-

რატურის სისტემიდან. ეს იმ პირობებში, როდესაც კომპენსაციის დანიშვნის მიზანს სწორედ პროკურატურის მუშაკის მიერ განეული შრომის ერთგვარი კომპენსირება წარმოადგენს.

ამდენად, კომპენსაციის მიზნებიდან და მისი დანიშვნის საფუძვლებიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც კომპენსაცია თავისი არსით პროკურატურის მუშაკისთვის დამატებითი სოციალური დაცვის გარანტს უნდა წარმოადგენდეს, დაუშვებელია თ. ა-ას კომპენსაციის დანიშვნაზე უარი მხოლოდ იმ საფუძვლით ეთქვას, რომ მისი უშუალოდ პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისას მის მიერ დაგროვილი სპეციალობით მუშაობის სტაჟი არ შეადგენდა 20 წელს და შემდგომში მის მიერ დაგროვილი სტაჟი არ ჩაითვლება წელთა ნამსახურეობაში. უფრო მეტიც, თ. ა-ას მიერ სპეციალობით მუშაობის 26 წლის, 9 თვისა და 26 დღის, მათ შორის, პროკურატურის სისტემაში მუშაობის – 15 წლის, 8 თვის და 25 დღის განმავლობაში საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელება არათუ განამტკიცებს კომპენსაციის მიღების უფლებას, არამედ იგი გავლენას ახდენს კომპენსაციის ოდენობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებები, ისევე როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები, წინააღმდეგობაში მოდის თავად კომპენსაციის – როგორც დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიის არსთან, სამართალსა და სამართალსა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პროკურატურის სისტემაში მუშაობის ფაქტი ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმში აქცევს პროკურატურის მუშაკებს. შესაბამისად, დაუშვებელია იდენტურ სამართლებრივ მდგომარეობას პროკურატურის სხვადასხვა მუშაკისთვის განსხვავებული რეგულირება დაედგინა და განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა შეექმნა მათთვის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მას შემდეგ, რაც 2014 წლის 31 დეკემბერს თ. ა-ა განთავისუფლდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის ... თანამდებობიდან, მისი სპეციალობით მუშაობის სტაჟი შეადგენს 26 წელს, 9 თვეს და 26 დღეს, მათ შორის, პროკურატურის სისტემაში ნამუშევარი სტაჟი არის – 15 წელი, 8 თვე და 25 დღე. შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბერს თ. ა-ას წარმოეშვა კომპენსაციის მიღების კანონიერი საფუძველი.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 17 მარტის №04 - 15-01/938 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 15 ივნისის №04/43170 გადაწყვეტილებები და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს უნდა დაევალოს პროკურატურის ყოფილი მუშაკის თ. ა-ასთვის კანონით დადგენილი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ა-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ა-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 17 მარტის №04-15-01/938 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 15 ივნისის №04/43170 გადაწყვეტილებები;
5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალოს პროკურატურის ყოფილი მუშაკის თ. ა-ასთვის კანონით დადგენილი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-365-360(კ-16)

25 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: პენსიის შეჩერება-შენწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

რ. კ-მა 05.03.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დაზუსტების შედეგად, მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683 გადაწყვეტილების და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.02.2015წ. №04/12102 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხეებისათვის 2009 წლის პირველი აგვისტოდან 2014 წლის ივლისის ჩათვლით მიუღებელი პენსიის გაცემის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაენიშნა სახელმწიფო პენსია, რომელსაც წლების განმავლობაში იღებდა. ოჯახური მდგომარეობის გამო, პერიოდულად იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, მათ შორის, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. 2014წ. ივლისში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ შეწყვეტილი ჰქონდა სახელმწიფო პენსიის ჩარიცხვა და მისი ახლად დანიშვნის მიზნით, განცხადებით უნდა მიემართა შესაბამისი სამსახურისათვის. 24.07.2014წ. ფულადი გასაცემლის დანიშვნის თხოვნის შესახებ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრს და მოითხოვა გასული წლების პენსიის მიუღებლობის მიზეზის განმარტება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრმა 25.07.2014წ. მიიღო

№16521 გადაწყვეტილება სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის შესახებ. ამასთან, 30.07.2014წ. №04-04/4683 წერილით ცენტრმა აცნობა რ. კ-ს, რომ 01.08.2009წ. მას შეუჩერდა, ხოლო 01.04.2013წ. შეუწყდა სახელმწიფო პენსიის ჩარიცხვა. აღნიშნული წერილით მიუღებელი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით განმცხადებლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

04.08.2014წ. რ. კ-მა მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრს და მოითხოვა მისთვის ადმინისტრაციული მასალების გადმოცემა, მათ შორის, იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, რომლებითაც შეუჩერდა, ხოლო შემდეგ შეუწყდა პენსიის მიღება. 04.09.2014წ. №04-04/5358 წერილით მას ეცნობა, რომ 01.08.2009წ. განხორციელებული პენსიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება საქმეში არ მოიძებნა. სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრმა ვერ უზრუნველყო აგრეთვე სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ 01.04.2013წ. გადაწყვეტილების მისთვის გადაგზავნა.

რ. კ-მა 07.11.2014წ. ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა: 1) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რომლებითაც შეუჩერდა და შეუწყდა სახელმწიფო პენსიის მიღება; 2) პენსიის/სუბსიდიის ცვლილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების (სამმართველოს ინფორმაციის) ბათილად ცნობა; 3) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის 2009 წლის პირველი აგვისტოდან 2014 წლის ივლისის ჩათვლით მიუღებელი პენსიის გაცემის დავალება; 4) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683 წერილის ბათილად ცნობა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 20.02.2015წ. №04/12102 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააგენტომ აღნიშნა, რომ პენსიის დანიშვნისაგან განსხვავებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16-17 მუხლები და წესის მე-8-მე-9 მუხლები იმპერატიულად მიუთითებენ პენსიის შეჩერება-შენწყვეტის საფუძვლებზე, წყაროსა და ვადებზე. სააგენტომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, პენ-

სიის შეჩერება-შენწყვეტის გადაწყვეტილების მიღებამდე, ვერ იქნება დაცული ადმინისტრაციული წარმოების ისეთი პირობების დაცვა, როგორცაა დაინტერესებული პირის წინასწარი ინფორმირება, წარმოებაში ჩართვა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების დაცვა. ამასთანავე კანონმდებელი არ საუბრობს პენსიის შეჩერება-შენწყვეტის გადაწყვეტილების გამოცემაზე. სზაკ-ის 51-ე მუხლის თანახმად, აქტი გამოიცემა წერილობით ან ზეპირად. რ. კ-ის მოთხოვნა პენსიის შეჩერების ან შეწყვეტის გადაწყვეტილებების წერილობითი სახით გამოცემის თაობაზე სააგენტოში არ დაფიქსირებულა, რ. კ-ისათვის პენსიის შეჩერება და შეწყვეტა არ წარმოადგენს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვას, საპენსიო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეჩერება-შენწყვეტის გადაწყვეტილებების წერილობითი ფორმით მიღებას. სააგენტო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის გადაწყვეტილებების ასახვას, თვალსაჩინოებისათვის ახორციელებს ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“ ინდივიდუალურად, თითოეული პენსიონერის მიმართ. „სამმართველო ინფორმაცია“ შიდა გამოყენების დოკუმენტია, სადაც ხდება თითოეული პირის მიმართ მიღებული როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსის ასახვა, თუმცა ბენეფიციარის დაინტერესების შემთხვევაში (წერილობითი მიმართვა), სააგენტო უზრუნველყოფს მისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემას „სამმართველო ინფორმაციის“ შესაბამისად. სზაკ-ის 51.3 მუხლის თანახმად, ზეპირად გამოცემული აქტის მიმართ არ ვრცელდება სზაკ-ის 52-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები, მათ შორის აქტის ოფიციალური გაცნობის პირობა.

მოსარჩელის მითითებით, მისთვის არ უცნობებიათ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილებები სახელმწიფო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის შესახებ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრმა არ დაიცვა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მისი რეგისტრაციის მისამართზე არ გააგზავნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებებს ჩაიბარებდნენ მისი ოჯახის წევრები და აცნობებდნენ მომხდარის შესახებ. საჭიროებიდან გამომდინარე, დაბრუნდებოდა საქართველოში და კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტდა პრობლემას. მოსარჩელე ფიქრობდა, რომ სახელმწიფო პენსია საბანკო ანგარიშზე ერიცხებოდა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ერთობლივად მიიღებდა.

მოსარჩელის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადანყვეტილებები უკანონოა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს, ასევე სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებს, სზაკ-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გააჩნიათ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და მხოლოდ ამის შემდგომ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება. შესაბამისად, იურიდიულ საფუძველს მოკლებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სადავო 20.02.2015წ. ბრძანებაში განვითარებული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16, მე-17 მუხლებით იმპერატიულად არის დადგენილი პენსიის შეჩერება-შენწყვეტის საფუძვლები, წყარო და ვადები. პენსიის შეჩერება-შენწყვეტის შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე ვერ განხორციელდება ადმინისტრაციული წარმოების ისეთი პირობების დაცვა, როგორცაა დაინტერესებული პირის წინასწარი ინფორმირება და მისი ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში. მოსარჩელის მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16, მე-17 მუხლებში განერილია სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები, თუმცა კანონი არ ანიჭებს უფლებამოსილებას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე მიიღონ გადანყვეტილებები და გამოსცენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. სზაკ-ის 95-96-ე მუხლებიდან გამომდინარე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრი ვალდებული იყო მისთვის პენსიის შეჩერების და შემდეგ შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებამდე, ჩატარებინა ადმინისტრაციული წარმოება, მოეხდინა მისი, როგორც უფლებამოსილი პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ წარმოებაში და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შემდეგ მიეღო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. იურიდიულ საფუძველს მოკლებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო 20.02.2015წ. ბრძანებაში სზაკ-ის 51-ე მუხლიდან გამომდინარე განვითარებული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ პენსიის შეჩერება და შეწყვეტა არ წარმოადგენს მისი კანონისმიერი უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვას, რამდენადაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად არ ადგენს ასეთი გა-

დანყვეტილებების თაობაზე ბენეფიციართა წინასწარი ინფორმირების ვალდებულებას, ხოლო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების წერილობითი ფორმით მიღებას არ ითვალისწინებს საპენსიო კანონმდებლობა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 31.12.2009წ. №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულებით“, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისათვის დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენს სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და უფლებამოსილების ფარგლებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (გადაწყვეტილებების, ბრძანებების) გამოცემა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ შესრულებულა. გარდა ამისა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 29 სექტემბრის №04-305 ბრძანებით დამტკიცებულია სპეციალური ფორმა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-ცვლილების შესახებ, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილებებისათვის. ამასთან, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით დაირღვევა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპები. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევდა, რომ საკითხი ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა გადაეწყვიტა, ვალდებული იყო გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში გამოეცა წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებამ შეზღუდა მისი, როგორც ხანდაზმული მოქალაქის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სოციალური უფლება – სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება.

მოსარჩელემ სზაკ-ის 54-55-ე მუხლებიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ კანონი იმპერატიულად ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების შესაძლებლობას მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას არ ითვალისწინებს, ასეთი აქტები ძალაში შედის უფლე-

ბამოსილი პირისათვის ჩაბარების დღიდან. ამდენად, რადგან აქტები ადმინისტრაციულ ორგანოს მისთვის არ გაუცვნიან, არ მომხდარა მათი ძალაში შესვლა. ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე შეეჩერებინა და შემდეგ შეენწყვიტა მისთვის პენსიის ჩარიცხვა, რომლებიც კანონიერ ძალაში არ იყო შესული.

მოპასუხემ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრმა შესაგებელში აღნიშნა, რომ მოსარჩელისათვის ასაკის საფუძველით დანიშნული პენსია შეჩერდა და შემდგომში შეწყდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსარჩელე თავად არ ხდის სადავოდ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძველით პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველების არსებობას.

მოპასუხემ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სარჩელი არ ცნო და მხარი დაუჭირა შესაგებელს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.06.2015წ. გადაწყვეტილებით რ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683 გადაწყვეტილება, ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.02.2015წ. №04/12102 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. კ-ის მიმართ, 2009 წლის პირველი აგვისტოდან მიუღებელი პენსიის თაობაზე, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრმა, მიიღო რა შეტყობინება, ბანკის ანგარიშზე აქტიური ოპერაციის განუხორციელებლობის თაობაზე, არ იყო ვალდებული ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და შემდეგ გამოეცა ადმინისტრაციული აქტი სახელმწიფო გასაცემლის ჩარიცხვის შეჩერების თაობაზე. სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 53.5-ე, 96.1 მუხლებზე და აღნიშნა, რომ მართალია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური

მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილება რ. კ-ისათვის 2009 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის ჩარიცხვის შეჩერების თაობაზე, ასევე 2013 წლის 1 აპრილიდან სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ, არ შეიცავენ აქტისთვის სავალდებულო სტრუქტურასა და რეკვიზიტებს, მაგრამ პასუხობენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტანდარტს, რადგან მხოლოდ ამგვარი დოკუმენტით იქნა მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრი, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შემთხვევაში მივიდოდა სხვაგვარ სამართლებრივ შეფასებამდე და გამოტანილი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა შემთხვევაში უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს რაიმე საგამონაკისო შემთხვევათა ნუსხას, რომელთა თაობაზე გამოსაცემი აქტი შესაძლოა მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან ვერ იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გასაცემლის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, შესაბამისად, სასამართლო ვერ შეაფასებდა, რამდენად მოხდა მათი გამოცემა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევითა და შეფასებით. მოპასუხე მხარე არ ეთანხმებოდა სასარჩელო მოთხოვნას, თუმცა სსსკ-ის 134-ე მუხლის შესაბამისად, წარდგენილი არ ჰქონია წერილობით მტკიცებულებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.06.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ. აპელანტმა აღნიშნა, რომ კანონის მე-16-მე-17 და „ნესის“ მე-8-მე-9 მუხლები იმპერატიულად უთითებს პენსიის შეჩერება-შეწყვეტის საფუძველზე, წყაროსა და ვადებზე. შესაბამისად, ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, პენსიის შეჩერება-შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებამდე, ვერ იქნება დაცული ადმინისტრაციული წარმოების ისეთი მოთხოვნები, როგორცაა დაინტერესებული პირის წინასწარი ინფორმირება, წარმოებაში ჩართვა, წარმოების ვადების დაცვა. ამასთანავე, კანონმდებელი არ უთითებს პენსიის შეჩერება-შეწყვე-

ტის გადაწყვეტილებების გამოცემაზე. სზაკ-ის 51-ე მუხლის თანახმად, აქტი გამოიცემა წერილობით ან ზეპირად. სააგენტოში არ ფიქსირდება რ. კ-ის მოთხოვნა გადაწყვეტილებების წერილობითი სახით გამოცემის თაობაზე. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით განსაზღვრულ პირობებში პენსიის შეჩერება-შენწყვეტით არ ხდება პირის უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვა, კანონმდებელი ცალსახედ არ ადგენს ასეთი გადაწყვეტილებების ბენეფიციართა წინასწარი ინფორმირების ვალდებულებას. სააგენტო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის გადაწყვეტილებების ასახვას თვალსაჩინოებისათვის ახორციელებს ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“ ინდივიდუალურად თითოეული პენსიონერის მიმართ. „სამმართველო ინფორმაცია“ შიდა გამოყენების დოკუმენტია, სადაც ხდება თითოეული პირის მიმართ მიღებული როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსის ასახვა, თუმცა ბენეფიციარის დაინტერესების შემთხვევაში (წერილობითი მიმართვა), სააგენტო უზრუნველყოფს მისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილებების გაცემას „სამმართველო ინფორმაციაში“ შესაბამისად. აპელანტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სზაკ-ის 51.3 მუხლის თანახმად, ზეპირად გამოცემული აქტის მიმართ არ ვრცელდება კოდექსის 52-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები, მათ შორის აქტის გაცნობის მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2015წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.06.2015წ. გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით რ. კ-ის სარჩელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.02.2015წ. №04/12102 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და 2009 წლის პირველი აგვისტოდან 2014 წლის ივლისის ჩათვლით მიუღებელი პენსიის გაცემის დავალდებულების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის ფაქტს ჰქონდა ადგილი, შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს უპირობოდ წარმოეშვა პენსიის შეჩერების ვალდებულება, ხოლო შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ მისი გაცემის შეწყვეტის ვალდებულება. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტი ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „სახელმწიფო

პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16, მე-17 მუხლებში აღნიშნული გარემოებების დადგომისას, ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით იწყება ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის თაობაზე, რაც უპირობოდ ქმნის საპენსიო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტის საფუძვლებს და აღნიშნულ საკითხზე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. კ-ის საპენსიო საქმეში არ მოიძებნა 2009 წლის პირველ აგვისტოს განხორციელებული შეჩერების გადანწყვეტილება, ასევე პენსიის შეწყვეტის შესახებ გადანწყვეტილება. შესაბამისად, გადანწყვეტილებები მოსარჩელე რ. კ-ს არ ჩაბარებია და აღნიშნული გარემოება ცალსახად წარმოადგენდა პროცესუალურ დარღვევას, თუმცა პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რ. კ-ს არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და არც სააპელაციო წესით დავის განხილვისას, სადავოდ არ გაუხდია საქმისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი გარემოება: იგი არ იმყოფებოდა საქართველოში და ცხოვრობდა საზღვარგარეთ 2009 წლიდან 2014 წლის ივლისამდე. რ. კ-ი საქართველოში 2014 წლის ივლისის თვეში ჩამოვიდა. პალატის მითითებით, რ. კ-ი სადავოდ არ ხდის საპენსიო გასაცემლის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლად დადებულ ფაქტობრივ გარემოებებს: ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობას და პენსიის შეჩერებიდან 3 წლის ვადის გასვლას, რამაც თავის მხრივ განაპირობა პენსიის შეწყვეტა. ასეთ ვითარებაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სადავო საკითხის გადაწყვეტლად გასაჩივრებული აქტების ბათილობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახლა განხილვის დავალების შესახებ, პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო. პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს მხოლოდ ისეთ გარემოებათა დადასტურების პირობებში უნდა დაედგინა რ. კ-ის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების გამო სოციალური მომსახურების სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობა, თუ სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საკითხის ხელახლა განხილვა სხვაგვარი გადანწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან, საქალაქო სასამართლომ არ მიუთითა სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე. გასაჩივრებული გადანწყვეტილებით საქალაქო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად საჭირო კონ-

კრეტულად დასადგენი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მითითების გარეშე დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხზე ახალი აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მონინალმდევე (მოსარჩელე) მხარე აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაეგზავნებოდა საპენსიო გასაცემლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მის საცხოვრებელ მისამართზე, მისთვის ცნობილი გახდებოდა აღნიშნულის შესახებ ოჯახის წევრების მეშვეობით და შესაბამისი რეაგირებაც გაკეთდებოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტობრივად, მხარე სადავოდ არ ხდიდა საპენსიო დახმარების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველს, იგი მხოლოდ აპელირებდა იმაზე, რომ იქნებოდა სათანადოდ ინფორმირებული და მიმართავდა სოციალური მომსახურების სააგენტოს პენსიის განახლებისათვის. პალატამ მიუთითა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პენსიის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს, ყოველთვიური სარგებლის მიღებას, ხოლო შეჩერების/შენეციის გადაწყვეტილების შემთხვევაში, ყოველთვიური სარგებლის გაცემა, ბუნებრივია წყდება, რის თაობაზეც დამატებით, მხარისათვის ცნობილი ხდება პირადი საპენსიო ანგარიშიდან. პალატა მიუთითებს, რომ მხარეს ნებისმიერ დროს შეეძლო მიემართა ადმინისტრაციული ორგანოსათვის, უფლების რეალიზაციის მოთხოვნით, რაც მას 2014 წლამდე არ განუხორციელებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2015წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მა.

რ. კ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ შეისწავლა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.12.09წ. №01/474 ბრძანებით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულება“, აგრეთვე არ შეისწავლა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2007 წლის 27 სექტემბრის №02/64 და 2014 წლის 29 სექტემბრის №04-305 ბრძანებებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-ცვლილებების შესახებ სპეციალური ფორმა. კასატორის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უნდა მოეხდინა არამხოლოდ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16, მე-17 მუხლების იზოლირებული,

სიტყვა-სიტყვითი განმარტება, არამედ ნორმები უნდა განემართა ამავე კანონის მე-3 მუხლით დადგენილ პრინციპებთან ერთობლიობაში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სზაკ-ის 58-ე მუხლით დადგენილ დანაწესზე და სამართლებრივად არ შეაფასა სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის ქმედება (კანონიერ ძალაში შეუსვლელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე სახელმწიფო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის საკითხი). სასამართლომ ასევე არ იმსჯელა სზაკ-ის 96-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ დანაწესზე, სამართლებრივად არ შეაფასა სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის ქმედება (ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ სავალდებულო შეტყობინების საკითხი). კასატორი ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახულ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ დანიშნული პენსიის შეჩერების საკითხი ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. კასატორმა მიუთითა 31.12.2009წ. №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებულ „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილებების ტიპურ დებულებაზე“, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისათვის დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენს სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და უფლება-მოსილების ფარგლებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (გადაწყვეტილებების, ბრძანებების) გამოცემა. შესაბამისად, სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ სახელმწიფო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება გამოცემული ყოფილიყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით. გარდა ამისა, კასატორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 27.09.2007წ. №02/64 და 29.09.2014წ. №04-305 ბრძანებებით დამტკიცებულია სპეციალური ფორმა სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-ცვლილების შესახებ, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილებებისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ შეისწავლა და არ გამოიკვლია 31.12.2009წ. №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულება“ და მითითებული ბრძანებებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-ცვლილების შესახებ სპეციალური ფორმა, რომელიც ითვალისწინებს შეჩერება-შენწყვეტის ვალდებულებას.

კასატორი აღნიშნავს, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16, მე-17 მუხლებში აღნიშნული გარემოებების დადგომა უპირობოდ ქმნის საპენსიო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტის საფუძვლებს. პალატას უნდა მოეხდინა არამხოლოდ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16, მე-17 მუხლების იზოლირებული, სიტყვა-სიტყვითი განმარტება, არამედ ნორმები უნდა განემარტა ამავე კანონის მე-3 მუხლით დადგენილ პრინციპებთან ერთობლიობაში. საკითხის გაგება წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს ასევე სზაკ-ით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესთან და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისათვის დადგენილ დებულებებთან. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16, მე-17 მუხლებში განერილია სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები, თუმცა კანონი არ ანიჭებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს უფლებამოსილებას, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები და გამოსცენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. რ. კ. ი არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.12.2015წ. გადაწყვეტილებაში არსებულ მსჯელობას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად საჭირო, კონკრეტულად დასადგენი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მითითების გარეშე დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს სადავო საკითხზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ვინაიდან საქმის განხილვის დროს მოპასუხის მიერ ვერ იქნა წარდგენილი გასაცემლის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. შესაბამისად, სასამართლო ვერ შეაფასებდა, რამდენად იყო აქტები გამოცემული საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევით და შეფასებით. საქმეში ასევე არ იყო წარდგენილი მტკიცებულება, რომლითაც

დადასტურდებოდა, რომ მომსახურე ბანკმა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიანოდა იმ პირთა სია (მათ შორის, რ. კ-ის), ვინც 01.08.2009წ. მდგომარეობით 6 თვის განმავლობაში საპენსიო ანგარიშიდან არ განახორციელა აქტიური ოპერაციები.

კასატორის მოსაზრებით, იურიდიულ საფუძველს არის მოკლებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ შეჩერების/შენწყვეტის გადანყვეტილების შემთხვევაში, ყოველთვიური სარგებლის გაცემა, ბუნებრივია წყდება, რის თაობაზეც დამატებით, მხარისათვის ცნობილი ხდება პირადი საპენსიო ანგარიშიდან. კასატორი აღნიშნავს, რომ მართალია, პენსიონერი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამონმოს საკუთარი საპენსიო ანგარიში, თუმცა პენსიონერის ეს უფლებამოსილება არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ სზაკ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის შესახებ მიღებული გადანყვეტილება დადგენილი წესით ჩააბაროს დაინტერესებულ მხარეს. ამასთან, კასატორმა აღნიშნა, რომ პენსიონერს საქართველოს კანონმდებლობით არ ეკრძალება პირად საპენსიო ანგარიშზე თანხის დაგროვება და საპენსიო ანგარიშიდან ნებისმიერ დროს ტრანზაქციის განხორციელება.

კასატორმა სზაკ-ის 54-55-ე მუხლებიდან გამომდინარე მიუთითა, რომ კანონი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების შესაძლებლობას მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას არ ითვალისწინებს, ასეთი აქტები ძალაში შედის უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარების დღიდან. ამდენად, რადგან აქტები ადმინისტრაციულ ორგანოს მისთვის არ გაუცვნიან, არ მომხდარა მათი ძალაში შესვლა. ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე შეეჩერებინა და შემდეგ შეენწყვიტა მისთვის პენსიის ჩარიცხვა, რომლებიც კანონიერ ძალაში არ იყო შესული. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადანყვეტილებით დაირღვა სსსკ-ის 248-ე მუხლის და-

ნაწესი. სასამართლოს უფლება არ ჰქონდა გადაწყვეტილებით მხარისათვის მიეკუთვნებინა ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოთხოვნის დაზუსტების შედეგად საბოლოოდ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, სადავო აქტების სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონმდებლობის მიხედვით ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის ფაქტი წარმოშობს პენსიის გაცემის შეჩერების ვალდებულებას („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ამჟამად მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 8.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო შეჩერებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ პენსიის გაცემის შეწყვეტის ვალდებულებას („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, ამჟამად მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი). შეჩერებული პენსიის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პენსია განახლდება და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან. პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო საცემელი არ ანაზღაურდება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორი არის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტი

– პენსიონერი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით დაენიშნა სახელმწიფო პენსია ასაკის გამო. რ. კ-ისათვის 2014წ. ივლისში გახდა ცნობილი სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ, რის გამოც, პენსიის ხელახალი დანიშვნის მიზნით, 24.07.2014წ. რ. კ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრს და მოითხოვა განმარტება გასული წლების პენსიის მიუღებლობის მიზეზის შესახებ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრის 25.07.2014წ. №16521 გადაწყვეტილებით რ. კ-ს დაენიშნა სახელმწიფო გასაცემელი. ამასთანავე, 30.07.2014წ. №04-04/4683 წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მას 01.08.2009წ. შეუჩერდა, ხოლო 01.04.2013წ. შეუწყდა სახელმწიფო პენსიის ჩარიცხვა, შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა მიუღებელი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 20.02.2015წ. №04/12102 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა რ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილი იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683 წერილის ბათილად ცნობა.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ რ. კ-ის პენსიის შეჩერების, ასევე პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები არ იძებნება. სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეჩერების და შეწყვეტის გადაწყვეტილებების საფუძველად დადებული ფაქტობრივი გარემოებები (ზედიხედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობა და პენსიის შეჩერებიდან 3 წლის ვადის გასვლა) თავისთავად გამოიწვევდა დამდგარ შედეგს, კერძოდ სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერებას, ხოლო შემდეგ შეწყვეტას, არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს პენსიის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს, მისი შეჩერების და შეწყვეტის საფუძველებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შეწყვეტის საფუძველები თავისთავად არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ინდივიდუალურ რეგულაციას, ისინი წარმოადგენენ კონკრეტული პირის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაცი-

ციული წარმოების დაწყების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პირობას და არა თავად ინდივიდუალურ აქტებს. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის დანაწესის თანახმად პენსია შეჩერდება კანონით გათვალისწინებული შეჩერების ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, არ ნიშნავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებული შეჩერების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროება.

სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობის არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, ასეთ შემთხვევაში მოქალაქის განცხადების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შედეგადაც, თუ მოქალაქის ფაქტობრივი მდგომარეობა შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს და განცხადებას ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი, საჯარო დანესებულება ახდენს პენსიის დანიშვნის შესახებ მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, ე.ი. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი არის პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა, პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის მიმართვა, აქტის გამოცემა.

ამდენად, სახელმწიფო გასაცემელთან დაკავშირებით ურთიერთობის შინაარსის კონკრეტულად განსაზღვრა ხდება ინდივიდუალური აქტის გამოცემით. კანონი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩაებას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. სახელმწიფო ხელისუფლება კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად თავისი საქმიანობით უშუალოდ კი არ უპირისპირდება მოქალაქეს, არა-

მედ გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც მიიღება კონკრეტული ზომა, როგორც სამართლიანი, განსაზღვრული და სავალდებულო ძალის მქონე ქმედება. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქმნის აქტის ამოქმედების შემდგომ მისი თვითაღსრულების პირობას. აღნიშნულში ვლინდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებითსამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობას პირის ნების სანინააღმდეგოდ, მის ხელთ არსებული კანონით დადგენილი აღსრულების საშუალებების გამოყენებით აღასრულოს აქტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სამართლებრივი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის არის აღსრულების დაწყების აუცილებელი წინაპირობა.

ვინაიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონი პენსიის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილ ორგანოს ავალდებულებს პენსიის დანიშვნა-არდანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, დანიშნული პენსიის შეჩერება-შენწყვეტის საკითხებიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის გზით უნდა წყდებოდეს აღნიშნულზე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესში“ პირდაპირი მითითების არ არსებობის მიუხედავად. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულია პენსიის ადმინისტრირების ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის პენსიის დანიშვნა-გაცემის ორგანიზება, შეჩერება, განახლება, გადაანგარიშება და შეწყვეტა. აღნიშნულ ფუნქციების შესრულებას „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლია „ა“ ქვეპუნქტის, აგრეთვე ხსენებული „წესის“ მე-2 მუხლის შესაბამისად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ახდენს, რომელიც სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.12.2009წ. №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების ცენტრის და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპიური დებულების“ 2.1 მუხლის თანახმად, განყოფილება არის სააგენტოს ტერიტორიული ერთეული, რომელიც კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს. სამოქმე-

დო ტერიტორიაზე განყოფილების საქმიანობის ერთ-ერთ მიზანს და ამოცანას შეადგენს სახელმწიფო გასაცემლების დანიშვნა-ცვლილება და შესაბამისი საქმეების წარმოება (მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), საამისოდ განყოფილება შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს გადაწყვეტილებებს სოციალური დახმარების, სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, განახლების ან დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე (4.1. მუხ. „ა“ ქვეპუნქტი). ამ უფლებამოსილებების ფარგლებში განყოფილება კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (გადაწყვეტილებები, ბრძანებები) (4.2. მუხ. „ა“ ქვეპუნქტი), რომელიც პასუხობს სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ნიშნებს. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 27.09.07წ. №02/64 ბრძანებით დამტკიცებული იყო პენსიის შეჩერების, შეწყვეტის გადაწყვეტილების ფორმა (ფორმა №2), აგრეთვე „(სამმართველოს ინფორმაცია) პენსიის/სუბსიდიის ცვლილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები“ (ფორმა №3), სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 29.09.14წ. №04-305 ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების სპეციალური ფორმა. საქმეში დაცული გადაწყვეტილების ფორმის ნიმუში შეიცავს მითითებას გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობის, ადმინისტრაციული ორგანოს მისამართისა და გასაჩივრების ვადის დაინტერესებული პირისათვის ჩაბარებიდან ათვლის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ ამ ფორმის სახელმწიფო გასაცემლის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებების ჩაბარების, მათი გასაჩივრების შესაძლებლობა რ. კ-ს არ მისცემია.

პირის უფლებებისა და მოვალეობების დაწესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტა უკავშირდება სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გამოცემის პროცესში დაიცვას სზაკ-ით დადგენილი, მოცემულ შემ-

თხვევაში მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები, როგორცაა წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა (მე-13, 95-ე მუხ.), საქმის გარემოების სრულყოფილი გამოკვლევა (53-ე მუხ.) და სხვ.. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ რ. კ-ის საპენსიო საქმეში არ მოიპოვება რ. კ-ისათვის პენსიის შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილება, დადგინდა აგრეთვე, რომ შეჩერება-შენწყვეტის შესახებ გადანყვეტილებები რ. კ-ს არ ჩაბარებია, რაც სააპელაციო პალატის მიერ პროცესუალურ დარღვევად შეფასდა, თუმცა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს საფუძვლად დაედო სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილი, რ. კ-ის მიერ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის და პენსიის შეჩერებიდან 3 წლის ვადის გასვლის უდავო ფაქტობრივი გარემოება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული თავისთავად არ ადასტურებს სახელმწიფო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის მართლზომიერებას. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ძირითადი პროცედურული ვალდებულების შესრულების, რ. კ-ისათვის (ან თუნდაც საქართველოში მცხოვრები მისი ოჯახის წევრებისათვის) აქტის ჩაბარების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა პენსიის შეწყვეტის საფუძველს და დადგებოდა იგივე შედეგი, არ დასტურდება, რომ რ. კ-ი არ მიმართავდა სოციალური მომსახურების სააგენტოს და არ აღმოფხვრიდა სახელმწიფო გასაცემლის არათუ შეწყვეტის, არამედ შეჩერების პირობას. არაფრით დასტურდება, რომ შეჩერებისა და შეწყვეტის აქტების გამოცემის პროცედურის დაცვის შემთხვევაში დადგებოდა იგივე შედეგი. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მიმართებით რაიმე არგუმენტაცია არ წარმოუდგენია. ამდენად, ადგილი აქვს ისეთ მნიშვნელოვან პროცედურულ დარღვევას, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. გამარტივებული წარმოება, პროცედურის ეკონომიურობისა და ეფექტურობის მოთხოვნები, არ გულისხმობს ადრესატისათვის აქტის გამოცემის საფუძვლების და გამოცემული აქტის შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობას, მით უფრო სოციალური დაცვის სამართალწარმოებაში აუცილებელი განსაკუთრებული კეთილსინდისიერების მოთხოვნის (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება 24.06.1993წ. № 14518/89 საქმეზე „შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Schuler-Zraggen v. Switzerland, §58); 12.11.02წ. № 28394/95 გადანყვეტილება „დორი შვედეთის წინააღმდეგ“ (Dory v. Sweden,

§41)), აგრეთვე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით განსაზღვრული საყოველთაოობის, მუდმივობის, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტიის პრინციპების (მე-3 მუხ.) გათვალისწინებით. ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება (სზაკ-ის 76.1 მუხ. „ბ“ ქვეპუნქტი), მით უფრო ვალდებულს ხდიდა ადმინისტრაციულ ორგანოს დაეცვა ადმინისტრაციული წარმოების ძირითადი მოთხოვნები. სააპელაციო პალატა ერთი მხრივ აღნიშნავს, რომ პენსიის შეჩერების საკითხი აქტის გამოცემის გზით უნდა გადაწყდეს, სააპელაციო პალატა საქმეზე დადგენილად მიიჩნევს, რომ შეჩერება-შენწყვეტის აქტები რ. კ-ის საპენსიო საქმეში არ იძებნება, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მთლიანად ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სზაკ-ის 51.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობითი ან ზეპირი ფორმით. უკეთუ ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან თუ დაინტერესებული მხარე აქტის წერილობითი ფორმით გამოცემას მოითხოვს, ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობითი ფორმით (სზაკ-ის 51.2 მუხ.). სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტა ზღუდავს მოსარჩელის სოციალური უზრუნველყოფის უფლებას. ფულადი სოციალური დახმარება, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ელემენტარული საარსებო პირობების შექმნით ზრუნავს პენსიონერზე, არის მიზნობრივი, პერიოდული სოციალური სუბსიდიით პენსიონერის უზრუნველყოფა. პენსიის შეჩერება-შენწყვეტა არის შემზღუდავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ზღუდავს თავის დროზე აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით პენსიონერისათვის მინიჭებული სოციალური უზრუნველყოფის უფლებას, სამისდღემშიოდ დანიშნული სახელმწიფო გასაცემლის მიღებას. სზაკ-ის მე-13, 95.2 მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადანაცვლოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ პირს. სზაკ-ი არ ად-

გენს წარმოების დაწყების ვადას, როდესაც კანონით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად და არა განცხადების საფუძველზე არის აქტი გამოსაცემი. იგულისხმება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ წარმოება უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვალდებულების წარმოშობისთანავე. აღნიშნულის მიუხედავად, წარმოება საერთოდ არ ჩატარებულა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1-ლი ოქმის თანახმად ყოველ პირს აქვს მისი საკუთრების პატივისცემის უფლება. პენსიის მოთხოვნა შესაძლოა იქნეს მიჩნეული 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 18.11.2004წ. დადგენილება საქმეზე „პრავედნაია (Pravednaya) რუსეთის წინააღმდეგ“, §38). პენსია სოციალური უზრუნველყოფის განსხვავებული ტიპის ბენეფიტია, ის წარმოიშობა უფლების საფუძველზე, მიუხედავად პირის ქონებრივი მდგომარეობისა. განსახილველ შემთხვევაში რ. კ-ს, როგორც პენსიონერს, მოპოვებული ჰქონდა ასაკის გამო სახელმწიფო პენსიის სამისდღემშიოდ, პერიოდული მიღების უფლება, პენსიაზე გასვლით მოსარჩელის უფლებამ დასრულებული სახე მიიღო, ამ უფლების შექმნას არ აქვს დენადი ხასიათი. ამდენად, დაუსაბუთებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პენსიის შეჩერება-შენწყვეტის აქტები არ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას. მოსარჩელის მოსაზრება მოცემულ შემთხვევაში სათანადო ფორმის წერილობითი აქტის გამოცემის საჭიროების შესახებ საფუძვლიანია.

საქმეში დაცული „სამმართველო ინფორმაციის“ ფორმულარი შეიცავს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლის და სარეზოლუციო ნაწილის გრაფას, გრაფაში მითითებულია სახელმწიფო პენსიის შეჩერება-შენწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, აგრეთვე სარეზოლუციო ნაწილი. სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის განყოფილების „სამმართველო ინფორმაციაში“ მითითებულია შეჩერების (01.08.09წ.) და შეწყვეტის (01.04.2013წ.) თარიღები, განყოფილების უფროსის მოადგილის, ზედამხედველი პირის, პროექტის ავტორის ხელმოწერები. ფორმულარში არსებული ჩანაწერები არ შეიცავს წერილობითი აქტისათვის სავალდებულო ყველა რეკვიზიტს. ზეპირად გამოცემული აქტისაგან განსხვავებით, წერილობითი აქტის მიმართ მოქმედებს სზაკ-ის 52-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები, ამასთანავე, გამოცემა შესაძლოა განხორციელდეს როგორც მატერიალური დოკუმენტის სახით, ასევე მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით (სზაკ-ის

51.3 მუხ.), თუმცა ასეთ შემთხვევაში ორგანო უზრუნველყოფს აქტის კანონიერ ძალაში შესვლას ადრესატისათვის მისი ოფიციალური გაცნობით. ამასთანავე, მმართველობის ღონისძიებების ეფექტურად, ორგანიზებულად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით, ორგანო არ არის შეზღუდული შეარჩიოს მხარის ინფორმირების ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება და დაინტერესებული პირის ინფორმირება მოახდინოს ელექტრონულადვე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაძლოა მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს ჩაურევლად განხორციელდეს გარკვეულ მონაცემთა ელექტრონული დამუშავება და აქტის ავტომატურად შედგენაც კი, თუმცა ეს არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული პირის ინფორმირების ვალდებულებისგან, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის ან საჯარო გამოქვეყნების შემდეგ (სზაკ-ის 54.1 მუხლი). უდავოა ორგანოს შესაძლებლობა კანონით კონკრეტულად განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს ელექტრონული დამუშავების პროგრამა როგორც მასობრივი, ერთგვაროვანი ხასიათის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამოსაცემად, ასევე მათი ორგანიზებული გავრცელებისათვის, თუმცა ორგანოს ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფას არ უნდა ეწირობოდეს აქტის ადრესატთა უფლება და კანონიერი ინტერესი. წინააღმდეგ შემთხვევაში იურიდიული ყოფა დაკარგავდა სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვეოდა სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, სამართლებრივი წესრიგის სიმყარე.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 2.2 მუხლის თანახმად ელექტრონულ დოკუმენტს ან მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს. მაძიებელს/პენსიონერს და კომპეტენტურ ორგანოს შორის მიმოწერა შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება პენსიის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ აქტის ადრესატისათვის გაგზავნა რაიმე ფორმით.

ყოველთვიური სარგოს შეწყვეტის შესახებ პირადი საპენ-

სიო ანგარიშიდან დადგენის შესაძლებლობა არ ადასტურებს სა-
აპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანო-
ნიერებას. სახელმწიფო პენსიის შეჩერება და შეწყვეტა ხდება
არა რეალაქტის, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის გამოცემის შედეგად. პენსიონერის მი-
ერ საკუთარი საპენსიო ანგარიშის გადამონმების შესაძლებლო-
ბა არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრა-
ციული წარმოების ჩატარების, საქმისათვის მნიშვნელობის მქო-
ნე ყველა გარემოების გამოკვლევის, ამ გარემოებათა გამოკ-
ვლევის შემდეგ კანონით დადგენილი წესების დაცვით გადან-
ყვეტილების მიღებისა და დაინტერესებული მხარისათვის მისი
ჩაბარების ვალდებულებისაგან.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი წარმოშობს ხელისუფ-
ლების არაერთ ვალდებულებას მოსახლეობის სოციალური უფ-
ლებების დაცვის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ მოითხოვს
ადეკვატურ ადმინისტრირებას. საკასაციო სასამართლო აღნიშ-
ნავს, რომ აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა
არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი –
წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება, ძალაში შე-
დის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით (სზაკ-ის 54-ე მუხ.).
სწორედ აქტის ძალაში შესვლით ანუ მხარისათვის კანონით
დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრე-
სატის უფლებამოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვე-
ტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასა-
ჩივრების შესაძლებლობა. აქტის ოფიციალური გაცნობის სამარ-
თლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნუ-
ლით დასტურდება მისი შინაარსის გაცნობა მხარის მიერ. ოფი-
ციალურ გაცნობად ვერ ჩაითვლება პირისათვის აქტის შინაარ-
სის შეტყობა არაოფიციალური წყაროდან. შეუძლებელია პირს
მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და
გასაჩივრება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის ოფიციალური გაცნობა არამარტო აქტის კანონიე-
რების კრიტერიუმი, არამედ მისი არსებობის წინაპირობაც. რო-
გორც კანონი შედის ძალაში მისი ოფიციალური გამოქვეყნებით,
ისე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც
შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს ადრესატისათ-
ვის მისი ოფიციალური გაცნობით. კანონმდებლობა არ შეიცავს
რაიმე მითითებას პენსიის ცვლილებასთან დაკავშირებით გა-
მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის ოფიციალური გაცნობის განსაკუთრებულ წესზე. სა-
კასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სპეციალური რეგულაციის

არარსებობის შემთხვევაში მოქმედებს სზაკ-ით დადგენილი წესები. სზაკ-ის შესაბამისად აქტის ოფიციალური გაცნობის სახეები: დაინტერესებული მხარისათვის აქტის გადაცემა ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნა (სზაკ-ის 58-ე მუხ.), აქტის გამოქვეყნება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ბეჭდვით ორგანოში (სზაკ-ის 56-ე მუხ.) და საჯარო გამოცხადება (სზაკ-ის 57-ე მუხ.). ამდენად, კანონმდებლობა ითვალისწინებს აქტის ოფიციალურად გაცნობის მკაცრად ფორმალიზებულ და ნაკლებად ფორმალიზებულ, ანუ მარტივ ფორმებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის ამ ფორმების გამოყენება დაკავშირებულია ადმინისტრაციული წარმოების ფორმებთან და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატთა რაოდენობასთან, ასევე მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხთან. ოფიციალობის თვალსაზრისით აქტის გაცნობის ზემოაღნიშნული ფორმები თანაბარი სამართლებრივი ძალის მქონეა და თანაბარ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ადრესატისათვის აქტის გაცნობა რომელიმე მითითებული საშუალებით. შიდა მოხმარების დოკუმენტში (ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“) შეჩერება-შენწყვეტის ფიქსაცია ვერ იქნება მიჩნეული ოფიციალური გაცნობის სახეობად – საჯარო გამოცხადებად, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსება (სზაკ-ის 57-ე მუხ.). მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოუდგენია შიდა მოხმარების დოკუმენტაციაში აღრიცხვიანობისათვის ოფიციალური გაცნობის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი მტკიცებულებები, საპენსიო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დებულებას, რომლის მიხედვით პენსიის შეჩერების საფუძვლების წარმოშობა ან შეჩერების სიაში შეყვანა ავტომატურად ნიშნავს მხარის ინფორმირებას, მოპასუხე ასეთ აქტზე მითითებას ვერ ახდენს. ის, რომ შეჩერების საფუძველი არსებობს, თავისთავად არ გულისხმობს პენსიის დარიცხვის შეჩერებას, გლდანი-ნაძალადევის ცენტრის გადაწყვეტილებები პენსიის გაცემის შეჩერების, ხოლო შემდგომში შეწყვეტის შესახებ წარმოადგენს არა რეალაქტს, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, პირის უფლებას აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ძალაში შედის ადრესატის მიერ ოფიციალურად დადგენილი წესით გაცნობიდან. აქ-

ტის გამოცემის საფუძვლის ცოდნა შესაძლოა გახდეს აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის და არა საერთოდ მისი სათანადოდ გამოცემა-შეტყობინების ვალდებულებაზე უარის თქმის საფუძველი. საქმეში დაცული 29.09.14წ. №04-305/ო ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა „სამმართველო ინფორმაციის“ ფორმა, არ შეიცავს რაიმე მითითებას სამმართველო ინფორმაციაში გამოქვეყნებული მასალის ადრესატისათვის ოფიციალურ გაცნობად მიჩნევის შესახებ, ის გარემოება, რომ ადრესატს შეეძლო გაცნობოდა მის შინაარსს, არ ნიშნავს „სამმართველო ინფორმაციაში“ განთავსებული მასალის ადრესატისათვის ცოდნის პრეზიუმირებას. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ საქმეში დაცული სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანინაძალადევის განყოფილების ფორმა №3 ანუ „პენსიის/სუბსიდიის ცვლილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები (სამმართველო ინფორმაცია)“ შეესებოდა არა სახელმწიფო პენსიის შეჩერებიდან (01.08.09წ.), არამედ მოგვიანებით, კერძოდ 25.03.13წ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთი ეკისრება არა ადრესატს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს. სახელმწიფო გასაცემლების შეჩერება-შენწყვეტის შესახებ აქტები ძალაში შედის მისი ადრესატისათვის ჩაბარების დღიდან. ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის – პენსიის შეჩერება-შენწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარება, შესაბამისად არ დასტურდება აგრეთვე მათი ძალაში შესვლა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სადავო აქტების ბათილად ცნობით ადმინისტრაციულ ორგანოს სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა, მოსარჩელე რ. კ-ის მიერ სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა, რ. კ-ი დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის გაზრდა არ დაიშვება (სსკ-ის 407-ე მუხ.), კასატორ რ. კ-ის წარმომადგენლებმა პროცესზე დააზუსტეს საკასაციო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვეს სადავო აქტების გაუქმება სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი განხილვის დავალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უნ-

და გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გა-
დანყევტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვე-
ტილება, სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად უნ-
და იქნეს ცნობილი სადავო აქტები და სსიპ სოციალური მომსა-
ხურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსა-
ხურების ცენტრს დაევალოს საქმის მასალების შესწავლის შე-
დეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის გამოცემა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გასაცემ-
ლის შეჩერება-შენწყვეტა კანონმდებლობით დადგენილი წესით
წარმოების ძირითადი წესების სრული იგნორირებით თავისთა-
ვად იძლევა სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტე-
ბის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის
საკითხის ხელახალი განხილვისათვის დავალების შესაძლებლო-
ბას. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ პენსიის შეჩერე-
ბის დროს მოქმედი „სახელმწიფო პენსიის დანიშვნის და გაცე-
მის წესის“ 8.3 მუხლის თანახმად, პენსიონერის მიერ პენსიის
ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის, მისი კუთვნი-
ლი საბანკო ანგარიშიდან თანხის ზედიზედ 6 თვის განმავლო-
ბაში გაუტანლობის შემთხვევაში პენსიის შეჩერების წყაროა
პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულება. განსახილველ შემ-
თხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება საბანკო დაწესე-
ბულების მიმართვა სოცუზრუნველყოფის ორგანოსადმი, საქ-
მეზე არ არის დადგენილი ასეთი მიმართვის კონკრეტული დრო.
საქმის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციულმა ორგანომ
უნდა გაარკვიოს აგრეთვე სახელმწიფო გასაცემლის შეჩერე-
ბის, ხოლო შემდგომში შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებე-
ბის რ. კ-ისათვის ოფიციალურად გაცნობის საკითხი.

სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის
მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც
იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს,
თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუ-
ჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. დადგენილია, რომ
რ. კ-ი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან ასკ-
ის 9.1 მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, არ არსებობს მოპა-
სუხე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მოსარჩელის მიერ
განეული სასამართლო ხარჯების დაკისრების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2

ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 257-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. რ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2015წ. გადაწყვეტილების გაუქმებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. რ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იცნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.02.2015წ. №04/12102 გადაწყვეტილება რ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალოს საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. კ-ის მიმართ მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. კომპენსაციის საკითხები

დევენილის სტატუსის მინიჭების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-247-245 (კ-16)

1 ნოემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერითი ნაწილი:

დ. კ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, რომლითაც მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 8 დეკემბრის №2859 ბრძანების ბათილად ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 8 დეკემბრის ბრძანებით უარი ეთქვა დევენილის სტატუსის მინიჭებაზე იმ საფუძვლით, რომ ვერ დადგინდა 1993 წლამდე მისი აფხაზეთში ცხოვრების ფაქტი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. 1993 წლამდე დედასთან – ვ. თ-ასთან და შვილებთან ერთად ცხოვრობდა გულრიფშის რაიონის სოფ. შვილის – რ. მ-ის ავადმყოფობის გამო, 1993 წლის ივლისში იძულებული გახდა წამოსულიყო თბილისში და ... ველარ დაბრუნდა. 1993 წლის ოქტომბრიდან ცხოვრობდა დედასთან ერთად, რომელიც დევენილად რეგისტრირებული იყო შემდეგ მისამართზე: თბილისი, ... ქ. №18, ბ37. ვ. თ-ა 2011 წლის 15 ივლისს გარდაიცვალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით დ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მო-

სარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. კ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. დ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 8 დეკემბრის №2859 ბრძანება; შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა დ. კ-ის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 8 დეკემბრის №2859 ბრძანება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (02.06.2014 წლის კანონის) მე-2, მე-3, მე-6 და მე-8 მუხლებს, აგრეთვე, არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების დებულებებს, რაც (ბრძანების) ბათილად ცნობის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, დ. კ-ის მტკიცებით, იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყებამდე და საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს მუდმივად ცხოვრობდა გულრიფშის რაიონის სოფელ ... (...) დედის – ვ. თ-ას ოჯახში, თუმცა ჰყავდა რა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მცირეწლოვანი შვილი – რ. გ-ე, იგი იძულებული იყო, ხშირად დაეტოვებია თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და წასულიყო სხვადასხვა ადგილებში (თბილისი, კახეთი, მოსკოვი) შვილის სამკურნალოდ, ბოლოს მან და მისმა შვილმა აფხაზეთი დატოვეს 1993 წლის მაისში სწორედ იმ მიზეზით, რომ მისი შვილი საჭიროებდა მკურნალობას, თუმცა, აფხაზეთში გან-

ვითარებული მოვლენების გამო, მან ვეღარ შეძლო უკან დაბრუნება, ცხოვრება გააგრძელა თბილისში, დევნილ დედასთან – ვ. თ-ასთან ერთად. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ 2014 წლის 3 ოქტომბრის №1060/21-28 წერილში განმარტა, რომ დ. კ-ის (დაბადებული 05.02.1962 წ. პირადი № ...) შესახებ, მათ ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, ინფორმაცია არ გააჩნდათ; სასამართლოში საქმის განხილვის დროს მესამე პირის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა წერილში გამოსახულ პოზიციას და დამატებით მიუთითა, რომ მის მარწმუნებელ დაწესებულებას არ გააჩნდა რაიმე სახის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დ. კ-ი აფხაზეთის ომის დაწყებამდე ცხოვრობდა აფხაზეთში.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დ. კ-ის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების და მტკიცებულებების გამოკვლევის/შეფასების, მთლიანობაში, დ. კ-ის საქმის განხილვის პირობებში, სააპელაციო პალატას ჩამოუყალიბდა იმის რწმენა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დ. კ-ის საქმეზე ჩაატარა არასრული ადმინისტრაციული წარმოება, რის გამოც მისი ყურადღებისა და კრიტიკული, საქმიანი განსჯის/შეფასების მიღმა დარჩა დ. კ-ის საქმის სწორად, დასაბუთებულად გადაწყვეტის მიზნებითვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი გარემოებები და ფაქტები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ადმინისტრაციული წარმოების დროს მოსარჩელის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება არ ადასტურებდა დ. კ-ის აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტს, რის გამოც არ არსებობდა მისთვის დევნილი სტატუსის მინიჭების საფუძვლები. გაუგებარია, რა გარემოებები არ გამოიკვლია და შეისწავლა სამინისტრომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო სა-

ჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 8 დეკემბრის №2859 ბრძანება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს – „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (02.06.2014 წლის კანონის) მე-2, მე-3, მე-6 და მე-8 მუხლებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოცემულ საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. დ. კ-ს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონია და შესაბამისი მოთხოვნით 2013 წლამდე სამინისტროსათვის არც მიუმართავს. ამ სტატუსით სარგებლობდა მისი დედა – ვ. თ-ა;

2. დ. კ-მა სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 9 დეკემბერს მიმართა, დედის – ვ. თ-ას გარდაცვალების შემდეგ.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის აუცილებელია შემდეგი გარემოებების კუმულაციურად არსებობა: ა) პირს გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ტერიტორიაზე, სადაც ბ) განხორციელდა უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაცია, აგრესია, შეიარაღებული კონფლიქტი, საყოველთაო ძალადობა ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა, რის შედეგადაც გ) საფრთხე შეექმნა აღნიშნული პირის ან მისი ოჯახის წევრის

სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას, ამდენად დ) პირს მოუხდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება და ე) შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, ვინაიდან შესაბამისი საფრთხეები არ აღმოფხვრილა. ამასთან, დევნილად განიხილება უშუალოდ ის პირი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვება მოუხდა, გარდა ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული გამონაკლისისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დევნილის სტატუსის მინიჭება დაკავშირებულია არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების, საცხოვრებელი ადგილის ქონასთან, არამედ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის პირის მიერ იძულებით დატოვებასთან.

საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ძირითად, კონსტიტუციურ უფლებათა რიგს განეკუთვნება (საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის სავალდებულოა პირის ნებას თან ახლდეს ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, პირის ნება – დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი – უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია

აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

საკასაციო სასამართლო ამასთან აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამოსაყენებელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ცნება მოცემულია სპეციალურ კანონში – „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში.

„მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ ამ კანონის მიზნებისათვის განმარტებულია შემდეგნაირად: „დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო.“

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება დევნილი მშობლების სრულწლოვან შვილებზე, რომლებსაც საომარ მოქმედებებამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდათ, შესაბამისად, დ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ამ უკანასკნელს აფხაზეთის ტერიტორიაზე კონფლიქტამდე და კონფლიქტის პერიოდში გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც იძულებით დატოვა საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ან უშუალოდ დაწყებამდე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტში მითითებული მიზეზებით.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ დევნილის სტატუსი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. თუ პირი იმთავითვე არ იყო დევნილის სტატუსის მატარებელი სუბიექტი (ამგვარი სტატუსის შესაბამისი წესით მინიჭების მიუხედავად), მისი მშობლების ან სხვა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სტატუსი მასზე მემკვიდრეობით არ გადადის. კანონის მე-15 მუხლი ნათლად ადგენს, რომ დევნილის მემკვიდრეებზე გადადის მხოლოდ შესაბამისი ქონებრივი უფლებები.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ, დ. კ-ის ახსნა-განმარტების გარდა, არც ერთი მტკიცებულება დ. კ-ის აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების ფაქტს არ ადასტურებს, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ 2014 წლის 3 ოქტომბრის №1060/21-28 წერილში განმარტა, რომ დ. კ-ის (დაბადებული 05.02.1962 წ. პირადი № ...) შესახებ, მათ ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, ინფორმაცია არ გააჩნდათ. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს მხოლოდ 1981 წლის მდგომარეობით მისი აფხაზეთში ცხოვრების და განათლების მიღების ფაქტს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ დ. კ-ის ზეპირი განმარტების თანახმად, იგი დაქორწინდა 1982 წელს, გორში, ჯ. გ-ეზე, ხოლო 1986 წელს განქორწინდა, განქორწინების ადგილად მიუთითებს ქ. გორს; საყურადღებოა, რომ არც ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე (სამინისტროში) და არც ადმინისტრაციული სამართალწარმოების პირველ ეტაპზე (პირველი ინსტანციის სასამართლოში) არ ყოფილა წარდგენილი დ. კ-ის ქორწინების და განქორწინების დამადასტურებელი მოწმობები/სააქტო ჩანაწერები; ქორწინების რეგისტრაციის საკითხზე დ. კ-მა სასამართლოს მისცა წინააღმდეგობრივი განმარტებები – ერთ შემთხვევაში აპელანტმა მიუთითა, რომ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, განქორწინებისთვის წარადგინა განცხადება, მეორე შემთხვევაში აპელანტმა მიუთითა, რომ იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დ. კ-ის ზეპირი განმარტებით დგინდება, რომ მას ჰყავს ორი შვილი – ე. გ-ე, დაბადებული 1984 წელს და რ. გ-ე, დაბადებული 1985 წელს; საყურადღებოა, რომ არც ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე (სამინისტროში) და არც ადმინისტრაციული სამართალწარმოების პირველ ეტაპზე (პირველი ინსტანციის სასამართლოში) არ ყოფილა წარდგენილი დ. კ-ის შვილების დაბადების დამადასტურებელი მოწმობები/სააქტო ჩანაწერები; საქმის ზეპირი განხილვის დროს დ. კ-მა მიუთითა, რომ ორივე შვილი დაბადებულია ქალაქ თბილისში; არც ადმინისტრაციული წარმოების და არც სასამართლოს მიერ წარმოები საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია და მტკიცებულებები მასზე, თუ სად, რომელ სკოლაში/სკოლებში დაიწყო და შემდეგ გააგრძელეს სწავლა დ. კ-ის შვი-

ლებმა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, მაგრამ გადანყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა, რომ დ. კ-მა არ წარადგინა სწორედ ის ძირითადი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ან გამორიცხავდა მისი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას, ამასთან, დ. კ-ი არ მიუთითებს შესაბამისი დოკუმენტების არ არსებობაზე, დაკარგვაზე ან განადგურებაზე. აღნიშნული ვითარების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყო ყველა აუცილებელი გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის განაწილებას შემდეგი თავისებურება ახასიათებს: როდესაც სადავო ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერების საკითხი, მტკიცების ტვირთი მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი), ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელზე მოსარჩელე სრულად თავისუფლდებოდეს მტკიცების ვალდებულებისაგან და მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისაგან, მით უმეტეს, როდესაც საუბარია ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოსარჩელესთან უნდა იმყოფებოდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მტკიცების ტვირთი არასწორად განაწილა, ასევე არასწორად განმარტა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის ნორმები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო სარგებლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით მინიჭებული უფლებომისლებით და მოცემულ საქმეზე თავად მიიღებს გადანყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. კ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

5. დ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბ ა ვ ვ ვ ი ს მ ი ნ დ ო ბ ი თ გ ა ზ რ დ ა შ ი გ ა დ ა ტ ა მ ი ს ა თ ვ ი ს ო ჯ ა ხ ს ი მ ი ა რ გ ა ნ ა უ ლ ი დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ა ე ბ ი ს კ ო მ ა ე ნ ს ი რ ა ე ბ ა

გ ა ნ რ ი ნ ა ბ ა

№ბს-678-670 (2კ-15)

6 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მინდობით აღზრდის ხელშეკრულების აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

16.06.2010წ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის ტერიტორიული ორგანოს და ნ. ც-ეს შორის 6 თვის ვადით (01.01.2011წ-მდე) გაფორმდა „მინდობით აღზრდის და ბავშვის

მიმღები ოჯახის შრომის ანაზღაურების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლითაც სააგენტომ იკისრა ვალდებულება მარიამ სის (09.04.1998წ.) მოვლის და აღზრდის გამო ყოველთვიური ფულადი სოციალური დახმარება გაენია ნ. ც-ის ოჯახისთვის, თვეში 200 ლარის ოდენობით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების მიერ 11.01.2011წ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება „მინდობით აღზრდის პროგრამის დახურვის შესახებ“, პროგრამის ვადის გასვლის მოტივით. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ შეწყდა შვილობილობის პროგრამა და შესაბამისად თანხის ანაზღაურება.

ნ. ც-ემ 02.03.11წ. სარჩელი აღძრა სსიპ სპეციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების მიმართ და მოითხოვა მინდობით აღზრდის ხელშეკრულების აღდგენა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.03.2011წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების 11.01.2011წ. გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხეს გარემოებების, ფაქტების და მტკიცებულებების გამოკვლევის და შესწავლის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის რაიონული განყოფილების მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.06.2011წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს მიერ 25.10.2011წ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება „მინდობით აღზრდის პროგრამის დახურვის შესახებ“, რაც ნ. ც-ემ გაასაჩივრა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა მითითებული აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ხელშეკრულების აღდგენის დავალება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.12.2011წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა ნ. ც-ის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.04.2012წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს მე-

ურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს 25.10.2011წ. გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს მიერ.

უზენაესი სასამართლოს 27.09.12წ. №ბს-520-511(კ-12) განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დაუშვებლად.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების მიერ 11.01.2013წ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება „მინდობით აღზრდის პროგრამის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ“, რაც გასაჩივრდა ნ. ც-ის მიერ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. ნ. ც-ემ მოითხოვა აქტის ბათილად ცნობა და მინდობით აღზრდის ხელშეკრულების აღდგენის დავალება ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 24.04.2013წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის რაიონული განყოფილების 11.01.2013წ. გადაწყვეტილება, მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის რაიონული განყოფილების მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 09.10.2013წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს მიერ 17.04.2014წ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება „მ. ს-ის ნათესაურ მინდობით აღზრდაში განთავსებაზე უარის თქმის შესახებ“.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 07.10.2014წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ნ. ც-ის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის შესახებ, შესაბამისად ნ. ც-ის სარჩელი დარჩა განუხილველი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს მიერ

21.11.2014წ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება „მ. ს-ის ნათესაურ მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართვასა და პროგრამის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ“, რაც ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა ნ. ც-ემ. მოსარჩელემ მოითხოვა აქტის ბათილად ცნობა და მინდობით აღზრდის ხელშეკრულების აღდგენა. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მიუხედავად სასამართლოების მითითებებისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხუთჯერ მიიღო გადაწყვეტილება მ. ს-ის მინდობით აღზრდის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის შესახებ, რითაც იგნორირებულია ბავშვის კანონიერი ინტერესები. სასამართლოს გადაწყვეტილებებით არაერთხელ დადასტურდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტების უკანონობა. მიმღები ოჯახი არ არის წინააღმდეგი იზრუნოს ბავშვზე, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მოსარჩელის აზრით არ არის დასაბუთებული, ვინაიდან ოჯახში მხოლოდ ერთი წევრია დასაქმებული. ბავშვის ნორმალური აღზრდისათვის გაცილებით მეტი სახსრები იხარჯება, ვიდრე სახელმწიფო ანაზღაურებდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ამ ხარჯებს ოჯახი იხდის საკუთარი სახსრებიდან. მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეწყდა 11.01.11წ., მას შემდეგ მიმდინარეობს სასამართლო დავები, რის გამოც ბავშვი მოკლებულია სახელწიფოს დაფინანსებას, რითაც უხეშად ირღვევა მისი ინტერესები.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.03.2014წ. გადაწყვეტილებით ნ. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს 28.11.2014წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლომ მიუთითა „შეილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონზე, ბავშვის უფლებათა კონვენციაზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საკითხისადმი ფორმალური მიდგომა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესს. სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და სარწმუნოდ დაასაბუთოს მინდობით აღზრდის ხელშეკრულების შეწყვეტის და ამ ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის შესაბამისობა არასრულწლოვანის ინტერესებთან, გადაწყვეტილების შესაბამისო-

ბა სამართლებრივი ნორმებით აღიარებული ბავშვის უფლებების დაცვასთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონულმა განყოფილებამ საქმის გარემოებების ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის გარეშე უთხრა უარი ნ. ც-ეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რითაც შეილახა მოსარჩელე მხარის კანონიერი ინტერესი. სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოები წარმოადგენენ სათათბირო ორგანოებს, რომლებიც კოლექტიური წესით ღებულობენ გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილება მინდობით აღზრის ხელშეკრულების დადებაზე რეკომენდაციის მიცემაზე უარის თქმის შესახებ არ ცვლის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებას და არც იდენტური შედეგის დადგომას ითვალისწინებს მიზნად. მხოლოდ რეგიონულ საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მითითებით, სოციალური მომსახურების სააგენტო არ თავისუფლდება მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის და მის გაგრძელებაზე უარის თქმის არასწრულწლოვანის ინტერესებთან შესაბამისობის დადგენის მტკიცების ტვირთისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების 28.11.2014წ. №04-08-01/4477 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონულმა განყოფილებამ, ხოლო შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა ნ. ც-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.07.2015წ. გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნ. ც-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.03.2015წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგა-

ნოს გურიის რეგიონული საბჭოს 21.11.2014 წ. №02020057 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების 28.11.2014 წ. №04-08-01/4477 საოქმო გადაწყვეტილება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონულ განყოფილებას დაევალა ნ. ც-ესთან მ. ს-ის მინდობით აღზრდის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის მოსაზრება, რომ ნ. ც-ის ოჯახი არ საჭიროებდა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რის გამოც ხელშეკრულების გაგრძელება არ უნდა მოხდეს არ შეიძლება გამხდარიყო მ. ს-ეზე ნათესაური მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან მსგავსი მოტივით მოთხოვნის უარყოფას არც ბავშვის უფლებათა კონვენცია, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც ამ სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები არ შეიცავს. პირიქით, ხსენებული საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად მითითებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან ობოლი ბავშვისათვის შესაბამისი სტატუსის განსაზღვრის საჭიროება ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით. კონვენციის 27.3 მუხლის დანაწესი შეიცავს იმპერატიულ დათქმას შესაძლებლობის ფარგლებში ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის მიზნით მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებზე ამ უფლების განხორციელებაში დახმარების თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს არ განუხორციელებიათ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ჯეროვნად არ შეასრულეს სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რომლითაც მათ დაევალიათ დაესაბუთებინათ ნ. ც-ესთან მინდობით აღზრდის ხელშეკრულების შეწყვეტის და ამ ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის არასრულწლოვან მ. ს-ის ინტერესებთან შესაბამისობის გამოკვლევა და დასაბუთება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 26.02.2010წ. №51/ნ ბრძანების 13.3 მუხლზე, რომლის შესაბამისად მინდობით აღზრდის ანაზღაურების გასაცემი თან-

ხა განისაზღვრება რეგიონული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღისათვის არსებული მდგომარეობით და დაფინანსება გრძელდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, მიუხედავად მინდობით აღზრდის პირობების შეცვლისა, გარდა შშმ სტატუსის დადგენის ან დაკარგვის შემთხვევებისა. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მინდობით აღზრდის ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან მოპასუხისათვის ხელშეკრულების დადების დავალდებულება ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ნორმების მოთხოვნებს, რაც ამ ნაწილში სარჩელის უარყოფის საფუძველია.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ც-ემ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრმა.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და აღნიშნავს, რომ სასამართლომ ცენტრს დაავალა გადაწყვეტილების მიღება მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს დასკვნის გარეშე, რაც არასწორია, რადგან რეგიონული საბჭო არის სათათბირო ორგანო, რომელთა გადაწყვეტილებების საფუძველზე ფორმდება გადაწყვეტილებები. სასამართლომ არ გაითვალისწინა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.1 მუხლის დანაწესი, ასევე „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 26.02.2010წ. №51/6 ბრძანების მე-12 მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 1279-ე მუხლის მოთხოვნები.

კასატორი ნ. ც-ე ითხოვს სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას. კასატორი თვლის, რომ წინააღმდეგობრივია გადაწყვეტილება ხელშეკრულების მისი შეწყვეტის დღიდან აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ნ. ც-ესთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ მოპასუხის გადაწყვეტილების უკანონობა. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხა არის სოციალური დახმარება, რაც მისი მიმღების საკუთრებაა და მისი მიუღებლობის გამო სახეზეა მიყენებული ზიანი. ზიანი უნდა ანაზღაურდეს თანხის მიღების უკანონოდ შეწყვეტის დღიდან.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმე გან-

ხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ნ. ც-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება სადავო აქტების ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლოს არაერთი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. ც-ის სარჩელები, სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით (ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.03.11წ. და 24.04.13წ. გადაწყვეტილებები, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 10.04.12წ. გადაწყვეტილება) მინდობით აღზრდის პროგრამის დახურვის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების ბათილად გამოცხადებით, ადმინისტრაციულ ორგანოს არაერთგზის დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ადმინისტრაციული ორგანოს მიღებული გადაწყვეტილებები (ოზურგეთის რაიონული განყოფილების 11.01.2011წ.; გურიის რეგიონული საბჭოს 25.10.2011წ.; ოზურგეთის რაიონული განყოფილების 11.01.2013წ.; გურიის რეგიონული საბჭოს 17.04.2014წ. და 21.11.2014წ. საოქმო გადაწყვეტილებები) დაუსაბუთებელია და არ ემყარება კანონმდებლის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ სამჯერ გაუქმდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის მინდობით აღზრდის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხეს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების სადავო გადაწყვეტილებით ნ. ც-ეს დაუსაბუთებლად უარი ეთქვა მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართვაზე. სააპელა-

ციო პალატის 09.10.13წ. განჩინებაში, რომლის დავალების საფუძველზე გამოიცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლომ მიუთითა, რომ აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა თუ რამდენად ემსახურება არასრულწლოვან მ. ს-ის ინტერესებს, მისი უფლებების დაცვას, ნ. ც-ესთან მინდობით აღზრდის ხელშეკრულების შეწყვეტა და ამ ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმა. აღნიშნულის მიუხედავად, სადავო აქტები გამოიცა 09.10.13წ. განჩინების მითითებების გაუთვალისწინებლად. ვინაიდან მეურვეობის და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ზედამხედველობენ მინდობით აღსაზრდელის საცხოვრებელ პირობებს, აღზრდის განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე დედობილის და მამობილის მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებას („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 11.2 მუხ. „დ“ ქვეპუნქტი), აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ენიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს ბავშვის საჭიროებებისა და ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესაძლებლობების თაობაზე ჩატარებული კვლევისა და მომზადებული დასკვნის საფუძველზე (კანონის 31.1 მუხ.), საკასაციო პალატა თვლის, რომ მინდობით აღზრდის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებდა ყოველმხრივ დასაბუთებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას სადავო აქტების სსკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის დაუშვებლობის შესახებ. ხსენებული ნორმის საფუძველზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მიუხედავად ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები არ პასუხობს კანონიერების მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს სადავო აქტების ბათილად ცნობა არა სსკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის, არამედ 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მინდობით აღსაზრდელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. ვინაიდან ხელშეკრულების ვადის ამოწურვა არ გამოორიცხავდა მის ხელახალ დადებას, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს არა ხელშეკრულების ვადის გასვლას, არამედ მინდობით აღზრდის პროგრამის შეწყვეტის, მინდობით

აღზრდაში არასრულწლოვანის გადაცემის გაგრძელების საფუძველების არსებობას. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ადგილი არ ჰქონია შვილობილის მოვლის, აღზრდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას ან თუნდაც არაჯეროვან შესრულებას. არ დასტურდება განვილი პერიოდში ოჯახში ისეთი ცვლილება ან ისეთი გარემოების დადგომა, რომელიც ხელს შეუშლიდა მიმღებ ოჯახს მინდობით აღზრდით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადო შესრულებას. 16.06.2010წ. სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მოსარჩელეს შორის დაიდო მინდობით აღზრდის ხელშეკრულება. ხელშეკრულება დაიდო 6 თვის ვადით, ამ ვადით ხელშეკრულების დადება როგორც წესი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ ვადაში სოციალური მომსახურების ორგანო აწარმოებს მონიტორინგს აღსაზრდელსა და აღმზრდელებს შორის ურთიერთობებზე, ბავშვის ცხოვრების პირობებზე. ყოველთვიური მონიტორინგის აქტებით დასტურდებოდა მინდობით აღმზრდელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაცვა. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ბავშვის მდგომარეობა არ შეცვლილა, მ. ს-ე, როგორც დედამამით ობოლი, კვლავინდებურად საჭიროებდა სოციალური პატირონაჟის დაწესებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს 21.11.14წ. №02020057 საოქმო გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები (კერძოდ ის, რომ ნ. ც-ის და დ. მ-ის საცხოვრისში დაცულია ბავშვის უსაფრთხოება და ჰიგიენური პირობები, ბავშვს შექმნილი აქვს ნორმალური აღზრდა-განვითარებისთვის ყველა პირობა, ბავშვი უზრუნველყოფილია საკვებით და ჩასაცმელით, ბავშვი ოჯახში თავისუფლად გრძნობს თავს, კარგი დამოკიდებულება აქვს დეიდასთან და ბიძასთან, რომლებიც სიტბოსა და მზრუნველობას არ აკლებენ მას, უზრუნველყოფენ მის დამატებით საგნებში მომზადებას, ხელს უწყობენ კარგი განათლების მიღებაში, ფიზიკურ, სულიერ და მორალურ განვითარებაში, ბავშვისათვის შექმნილია ოჯახური გარემო, განვითარების ყველა პირობა, გათვალისწინებულია ბავშვის ქვეყნარტი ინტერესები, მისი საბაზისო მოთხოვნილებები, დეიდას და ბიძის ოჯახში ბავშვის სიცოცხლეს და განვითარებას საფრთხე არ ემუქრება, ბავშვი არ იმყოფება ფსიქო-ემოციური დატვირთვის ქვეშ) არ ქმნიდა მინდობით აღზრდის შეწყვეტის საფუძველს. ადმინისტრაციული ორგანო ვერ

უთითებს მინდობით აღზრდის შეწყვეტის კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებს (33-ე მუხ.), მინდობით აღზრდაზე უარის თქმის რაიმე ნორმატიულ დანაწესს. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის რედაქცია ითვალისწინებდა 18 წლამდე ასაკის ობოლი პირის მინდობით აღზრდაში გადაცემას. ოჯახის კეთილსაიმედობა, სათანადო მატერიალური მდგომარეობა წარმოადგენს არა მინდობით აღზრდაზე უარის თქმის, არამედ პირიქით მინდობით აღზრდისათვის ბავშვის გადაცემის პირობას. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის თანახმად, მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ენიჭებათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის საჭიროებებისა და ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესაძლებლობის თაობაზე ჩატარებული კვლევისა და მომზადებული დასკვნის საფუძველზე. საქმის მასალების მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო თავის დასკვნებში ადგენდა, რომ მოსარჩელის ოჯახი, თავისი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსითა და მასთან მყოფი ობოლი ბავშვის თავსებადობით არათუ დამაკმაყოფილებელი, არამედ დადგენილ სტანდარტზე მეტ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. ამდენად, არსებობდა მინდობით აღზრდაში ობოლი ბავშვის მოსარჩელის ოჯახისათვის გადაცემის ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობა.

მინდობით აღზრდისათვის გადაცემის პირობა – მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესაძლებლობა განახორციელოს ბავშვის მინდობით აღზრდა, საამისოდ საჭირო მიმღები ოჯახის სათანადო მატერიალური მდგომარეობა, ოჯახის კეთილსაიმედობა არ შეიძლება შემდგომში იქცეს მინდობით აღზრდის შეწყვეტის საფუძველად. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე სწორედ რომ უზრუნველყოფილ, კეთილსაიმედო ოჯახს უნდა გადაეცეს ბავშვი მინდობით აღზრდაზე, რათა სახელმწიფო პროგრამიდან გამოყოფილი თანხა მოხმარდეს არა ოჯახის რჩენას, არამედ უშუალოდ მინდობით აღსაზრდელსა და მის ინტერესებს. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზთა შორის ითვალისწინებს ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას (33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) და არა გაუმჯობესებას. აღნიშნულის შესაბამისად, ხელშეკრულების მე-7 პუნქტის თანახმად ხელშეკრულე-

ბის შეწყვეტის პირობას წარმოადგენდა ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და არა გაუმჯობესება. ასეთი მიდგომა ესადაგება ბავშვის უფლებათა კონვენციის დანაწესს ოჯახური გარემოს მოკლებული ბავშვისათვის სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობასა და დახმარებაზე (კონვენციის 20-ე, 27-ე მუხ.). აღსაზრდელად გადაცემის საკითხის განხილვისას უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება ბავშვის ინტერესები, განსაკუთრებით მისი უზრუნველყოფის და მზრუნველობის უფლების რეალიზაცია (გეო გენასამბლესი 03.12.1986წ. რეზოლუციით მიღებული „ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის და შვილად აყვანის შემთხვევაში ბავშვთა დაცვის და კეთილდღეობის თაობაზე სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ“ დეკლარაციის მე-5 მუხ.). „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლი ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს, არ დაიშვება მისი თვითნებური განვრცობა თუნდაც მორალური მოსაზრებებით. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებასთან მიმართებაში სახელმწიფო ორგანოს თავისუფალი შეფასების ფარგლები, სხვა სფეროებთან შედარებით, შეზღუდულია. ის გარემოება, რომ მინდობით აღზრდისათვის ბავშვის გადაცემა უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გაცემას, ხოლო მიმღები ოჯახი მატერიალურ სიძნელეებს არ განიცდიდა, არ ასაბუთებს სახელმწიფო პროგრამის გაგრძელებაზე უარს, რადგანაც უდავოა, რომ ბავშვის რჩენა, მისი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა ინვესს ოჯახის დამატებით მატერიალურ დანახარჯებს, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს დახმარების სახით გამოყოფილ თანხებს. ამასთანავე, არ დასტურდება მინდობით აღზრდაში ბავშვის გადაცემის შემდეგ ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. საქმის მასალების მიხედვით მცირე სამენარმეო საქმიანობით დასაქმებულია ოჯახის უფროსი, დანარჩენი ოჯახის წევრები – მეუღლე და დაოჯახებული ვაჟიშვილი მუდმივი დასაქმების რეჟიმს მოკლებულნი არიან. ბავშვის მინდობით აღზრდა უკავშირდება ბავშვის აღსაზრდელად შრომის განევის საჭიროებას, ბავშვის კმაყოფაზე აყვანის დანახარჯებს, ყოფის, დასვენების ორგანიზებას, ანუ სპეციფიკურ მომსახურებას, რომლის ხარისხი დადებითად ფასდებოდა მომსახურების ორგანოების მიერ. ბავშვზე მზრუნველობა არის სისტემატური, სპეციფიკური, კომპლექსური საქმიანობა, რომლის პროცესში განეული დანახარჯების ანაზღაუ-

რებას ითვალისწინებს მინდობით აღზრდა.

„სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად მინდობით აღზრდა არის ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მოვლისა და აღზრდის მიზნით, სახელმწიფოსა და დედობილ-მამობილს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის განხორციელებითაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაიცვას და უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის კანონიერი უფლება (მე-4 მუხ. „ტ“ ქვეპუნქტი). ამდენად, ბავშვზე ზრუნვის მითითებული ფორმა არ წარმოადგენს მხოლოდ ფინანსურ დახმარებას. ამ ღონისძიების გატარებით სახელმწიფო დახმარებას უწევს ოჯახს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა. კანონმდებლობა არ შეიცავს ფულადი ანაზღაურების გაცემის შეზღუდვის შესახებ დანაწესს ოჯახის კარგი მატერიალური მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში, განსხვავებით „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სოციალური დახმარების ზოგ სხვა სახისაგან (მაგ. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემის საფუძველზე იდენტიფიცირებული ლაჭავი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (მე-7 მუხ.)). დაუსაბუთებელია მინდობით აღზრდის პროგრამის გავრცელებაზე უარის თქმა მ. ს.-ისათვის ოჯახური გარემოს დანგრევის საფრთხის არარსებობის გამო. ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის პრიორიტეტის მინიჭება უკავშირდება ოჯახური გარემოს შექმნას, რითაც უზრუნველყოფდა მოსარჩელის ოჯახი ნათესაური მინდობით აღზრდისათვის გადაცემულ ბავშვს. აღნიშნული არ ქმნის მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამაში მოსარჩელის ოჯახის ჩართვაზე უარის თქმის საფუძველს, ბავშვის მიმართ ზრუნვის გამოჩენა მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამის გავრცელების და არა უარის თქმის პირობას ქმნის.

მინდობით აღზრდის შეწყვეტის საფუძველს არ ქმნიდა აგრეთვე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება მინდობით აღზრდის ნაცვლად ბავშვზე მეურვეობა-მზრუნველობის დანაწესების მიზანშეწონილობაზე. მოპასუხე თვლის, რომ მინდობით აღზრდით დაცულია მხოლოდ ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უფლება, ხოლო მეურვე და მზრუნველი განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს სამეურვეო/სამზრუნველო პირის უფლებებსა და ინტერესებს მე-

სამე პირებთან ურთიერთობაში, მოსარჩელეს არ მოუთხოვია კანონიერი წარმომადგენლობის, მეურვეობა/მზრუნველობის გაფორმება, სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის აუცილებლობის არარსებობის პირობებში მზრუნველობის დაწესება ბავშვის ინტერესების უკეთეს დაცვას უზრუნველყოფდა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ს-ე ობოლია, რაც თავისთავად ადასტურებს მის მიმართ მზრუნველობის გამოჩენის, სოციალური პატრონაჟის საჭიროებას მისი მინდობით აღსაზრდელად გადაცემის საფუძვლის არსებობას. ბავშვზე სახელმწიფო ორგანოების მიერ მზრუნველობის საჭიროების არარსებობა განპირობებული იყო მოსარჩელის ოჯახის მიერ ბავშვზე მზრუნველობით, ამასთანავე, მოპასუხე ვერ ასახელებს რაიმე გარემოებას, რომლის შედეგადაც მინდობით აღზრდა შექმნა ბავშვის უფლებების და ინტერესების დარღვევის რაიმე პირობა, არ უთითებს მიზეზს, რომლის გამო მეურვეობა/მზრუნველობის ორგანოს მეშვეობით ბავშვის წარმომადგენლობა შეუძლებელი ან უშედეგო იქნებოდა, არ უთითებს ბავშვის ინტერესების არასათანადო დაცვის რაიმე შემთხვევას მოსარჩელის მხრიდან. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანო, კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 11.1 მუხლის თანახმად, არის მეურვეობის და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 31.12.09წ. №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული განოფილების ტიპიური დებულების“ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაიონული განყოფილების ამოცანათა რიგს განეკუთვნება მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციების შესრულება, ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაციაში მონაწილეობა. ამდენად, მოპასუხე თავად წარმომადგენდა მზრუნველობის ორგანოს და საჭიროების შემთხვევაში სწორედ მას ეკისრებოდა ბავშვის უფლებების დაცვა (კანონის 11.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). მოპასუხის მოსაზრება, რომ მზრუნველობის სახელმწიფო ორგანოების მიერ ინტერესების დაცვა გარკვეულ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული არ არის დასაბუთებული. ამასთანავე, მინდობით აღზრდა სწორედ, რომ ობოლი ბავშვის უფლებების დაცვას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მითითება მეურვის მოვალეობებზე არ ადასტურებს მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობას.

საქმის მასალებით არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე თავს არიდებს პასუხისმგებლობას და აქვს მხოლოდ მინდობით აღსაზრდელად გადაცემისათვის გათვალისწინებული თანხის მიღების სურვილი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე სათანადო მზრუნველობას იჩენდა დისშვილის მიმართ, უზრუნველყოფდა მის კეთილდღეობას და განვითარების სათანადო პირობებს, რასაც არც მოპასუხე უარყოფს და დასტურდება სხვადასხვა დროს, მათ შორის, ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ, სხვადასხვა სოციალური მუშაკის მიერ შესწავლის შედეგად მომზადებული დასკვნებით. მ. ს-ისათვის მინდობით აღზრდის ნაცვლად მზრუნველობის დაწესებით უფლებების უკეთესი დაცვის მოსაზრების მიუხედავად, ადმინისტრაციულ ორგანოს ასეთი არ დაუნიშნავს. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა იწვევდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის ბავშვის გადაცემას, კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 33.2 მუხ.), რასაც ადგილი არ ჰქონია. მეტიც, სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების მიერ სააპელაციო სასამართლოში 22.03.12წ. წარდგენილი შესაგებლის მიხედვით მ. ს-ის მზრუნველად დანიშნული იყო მისი ბებია – ც. ს-ე, შემდგომში ბებიის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მოხდა ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსება. საფუძველს არის მოკლებული კასატორის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავის გადანყვეტისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სკ-ის 1279-ე მუხლით. განსახილველი დავის საგანი ეხება მინდობით აღზრდას და არა მზრუნველობის დაწესებას, სასამართლო წყვეტს არა მიზანშეწონილობის, არამედ კანონიერების საკითხს. ამასთანავე, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნებელობით მხარეს, სკ-ის 1281.2 მუხლის თანახმად, მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ პირის თანხმობით. მინდობით აღმზრდელს გააჩნია აღსაზრდელად გადაცემული ბავშვის შვილად აყვანის და მზრუნველობის უპირატესი უფლება და არა ვალდებულება. მეურვის/მზრუნველისათვის დედობილის/მამობილის სტატუსის მინიჭების შეუძლებლობა (კანონის 7.1 მუხ. „ე“ ქვეპუნქტი) არ ადასტურებს მინდობით აღ-

ზრდის პროგრამის შეწყვეტის მართლზომიერებას, ვინაიდან მოსარჩელეს მეურვის სტატუსი არ ჰქონია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მინდობით აღზრდელისაგან განსხვავებით მეურვეს-მზრუნველს არ აქვს მეურვეობაში მყოფი პირის რჩენის ვალდებულება. მართალია მეურვე-მზრუნველი განსაზღვრულ საქმიანობას ეწევა რჩენის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს ხდება მეურვეობაში/მზრუნველობაში მყოფი პირის ქონების ან სხვა ფულადი შემოსავლის და არა საკუთარ ხარჯზე, სწორედ ამის გამო, მინდობით აღზრდისაგან განსხვავებით, მეურვეობა სრულდება უსასყიდლოდ. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ბავშვის რჩენას, რასაც მინდობით აღზრდა ითვალისწინებს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბავშვი შეთვისებულია დეიდას და მის ოჯახს, სოციალური მზრუნველობის სახის შეცვლა დასაშვებია მზრუნველი პირის და ბავშვის აზრის გათვალისწინებით და პატივისცემით („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 36-ე მუხ.), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნიდა მ. ს-ისათვის პენსიის დანიშვნა, რომელიც დაგროვებით ანგარიშზე გროვდებოდა. პალატა აღნიშნავს, რომ მ. ს-ის მიერ მშობლების გარდაცვალების მიზეზით დანიშნული მარჩენალდაკარგულის პენსიის მიღება („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-9 მუხ.), არ გამოორიცხავდა მინდობით აღზრდაში გადაცემისათვის ანაზღაურების მიღებას („სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის მე-9 მუხ.). დანიშნული პენსია თავად მარჩენალდაკარგულს ეკუთვნის, ხოლო მინდობით აღზრდაზე სახელმწიფო პროგრამით დაფინანსება მინდობით აღზრდაში ბავშვის მიმღებ ოჯახს და მიზნად ისახავს ოჯახის მიერ განეული დანახარჯების კომპენსირებას, მინდობით აღზრდაში მიუსაფარი, ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის მიღების წახალისებას.

სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიღებულ გადაწყვეტილებას არ ადასტურებს კასატორის – სოციალური მომსახურების ცენტრის მითითება „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 26.02.2010 წ. №51/ნ ბრძანების 13.3 მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად მინდობით აღზრდის ანაზღაურების გასაცემი თანხა განისაზღვრება რეგიონული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღისათვის არსებული მდგომარეობით და დაფინანსება გრძელდება ხელშეკრულების ვა-

დის განმავლობაში. სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭო არის კოლეგიური ორგანო. ის გარემოება, რომ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ხელშეკრულების გაგრძელებაზე, მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართვაზე, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.09.13წ. №04-404/ო ბრძანებით დამტკიცებული „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოების ტიპური დებულების“ მიხედვით, სოციალური მომსახურების რაიონული განყოფილება გადაწყვეტილებას გამოსცემს საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (მე-9 მუხ.), არ ადასტურებს განყოფილების სადავო გადაწყვეტილების კანონიერებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხდება გენერალური რეგულაციის (კანონის) საფუძველზე კონკრეტული, ინდივიდუალური შემთხვევის რეგულაცია, მონესრიგება. ამდენად, განყოფილების სადავო აქტის კანონიერებას განაპირობებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი და არა საბჭოს გადაწყვეტილებისადმი შესაბამისობა, მით უფრო, რომ დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ განყოფილების, არამედ აგრეთვე საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საბჭოს მიერ თანხის არ განსაზღვრა ასევე არ ქმნიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „შვილად აყვანილი და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვის ხარჯები იფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. „სოციალური დამხარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დედობილი/მამობილი ბავშვის მინდობით აღზრდისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სოციალურ დახმარებას, რომლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 28.07.2006წ. №145 დადგენილების 10⁴ მუხლის თანახმად ნათესაური მინდობით აღზრდაში განთავსებული ჯანმრთელი ბავშვისათვის სახელმწიფოს მხრიდან ოჯახი იღებს ანაზღაურებას თვეში 200 ლარის ოდენობით. სწორედ ეს თანხა იყო განსაზღვრული ოზურგეთის რაიონულ განყოფილებასა და ნ, ც-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ვინაიდან ნ. ც-ე იმთავითვე ითხოვდა არა ახალი ხელშეკრულების გაფორმებას და პირობების შეცვლას, არამედ მის მოთხოვნას შეადგენდა ხელშეკრულების გაგრძელება, ნა-

თელია, რომ მისთვის მისაღები იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის ტერიტორიული ორგანოს და ნ. ც-ეს შორის 16.06.2010წ. დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ოდენობა – 200 ლარი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითება ხელშეკრულების მისი შეწყვეტის დღიდან გაგრძელების შეუძლებლობის შესახებ არ არის დასაბუთებული, არ ემყარება კანონმდებლობას და ქმნის გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმების საფუძველს.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონულ განყოფილებას დაევალა ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის ნაწილში არ არის დასაბუთებული. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. ც-ის მიერ ხელშეკრულების აღდგენის თაობაზე პირველი სარჩელი აღძრულია 02.03.11წ., დღეის მდგომარეობით სახეზეა სამი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ხელშეკრულების აღდგენაზე უარის თქმის შესახებ ოზურგეთის რაიონული განყოფილების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გაითვალისწინა სასამართლოს მითითებები ხელშეკრულების აღდგენასთან დაკავშირებით, რაც დადასტურებულია არაერთი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ რიგით მეოთხე სასარჩელო წარმოება დასრულდა სარჩელის გამოხმობის შედეგად მისი განუხილველად დატოვებით, სარჩელის გამოხმობის შესახებ ნ. ც-ის მიერ სასამართლოში განცხადების შეტანა განპირობებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირი დაპირებით, რომ ორგანო მის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებდა, თუმცა ზეპირი დაპირება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ შესრულდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სათანადო შეფასება არ მისცა ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან ხელშეკრულების აღდგენის შესახებ ნ. ც-ის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არ არის დასაბუთებული, სააპელაციო პალატამ დაადგინა ნ. ც-ესთან დადებული ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების უკანონობა, თუმ-

ცა უარი თქვა ხელშეკრულების შეწყვეტიდან მინდობით აღზრდის აღდგენაზე. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ნ. ც-ის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების ეს ნაწილი წინააღმდეგობრივია. მინდობით აღმზრდელის და ბავშვს შორის ურთიერთობა არის დროებითი – ბავშვის სრულწლოვანებამდე, მზრუნველისაგან, შვილად ამყვანისაგან განსხვავებით მინდობით აღმზრდელი (დედობილი/მამობილი) ბავშვთან არ ამყარებს მემკვიდრეობით ურთიერთობებს. ამასთანავე, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-4 მუხლის „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტების, 32.2 მუხ., 33.1. მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად მინდობით აღზრდას ექვემდებარება 18 წლამდე ასაკის პირი, მინდობით აღსაზრდელის სრულწლოვანების მიღწევისას მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება წყდება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე იმთავითვე მოითხოვდა არა ახალი ხელშეკრულების დადების დავალებას, არამედ ხელშეკრულების აღდგენას, აღნიშნული განპირობებული იყო ხელშეკრულების შეწყვეტიდან (11.01.2011წ.) გასული პერიოდის განმავლობაში კომპენსაციის მიღების სურვილით, მით უფრო, რომ გასული პერიოდის ხანგრძლივობა და შესაბამისად ამ პერიოდისათვის მისაღები კომპენსაცია ჯერადობით აღემატებოდა მ. ს-ის სრულწლოვანობამდე დარჩენილ მცირე ვადას და შესაბამისად კომპენსაციის ოდენობას. სააპელაციო პალატის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილებისათვის მინდობით აღზრდის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამომავლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დავალება გამორიცხავს პროგრამის შეწყვეტის შედეგად მიუღებელი ანაზღაურების – ფულადი სოციალური დახმარების თანხის მიღების შესაძლებლობას, რომელიც კანონმდებლობის თანახმად მიეცემა დედობილს/მამობილს ბავშვის მოვლისა და აღზრდისათვის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 26.02.2010წ. №51/ზ ბრძანებით დამტკიცებული „მინდობით აღზრდის პროცედურების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი), ილუზორულს ხდის მოსარჩელის უფლების აღდგენას, ეწინააღმდეგება საქმეზე მანამდე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს და სააპელაციო პალატის საკასაციო წესით გასაჩივრებულ იმ ნაწილს, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა და სადავო აქტები ბათილად იქნა ცნობილი. ამასთანავე, საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ მ. ს-ეს

09.04.2016წ. შეუსრულდა 18 წელი, ამდენად, მოპასუხე აღარ არის უფლებამოსილი გააფორმოს ნ. ც-ესთან ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასულ პერიოდში ხელშეკრულების აღდგენის შესახებ მოთხოვნა ფაქტობრივად გულისხმობდა ადმინისტრაციული ორგანოსგან ანაზღაურების მიუღებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში (სასკ-ის 28¹ მუხ.), ვინაიდან მხარის მოთხოვნა ხელშეკრულების აღდგენის შესახებ ფაქტობრივად გულისხმობდა ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის დღიდან ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურება უნდა მოიცავდეს მეურვეობა-მზრუნველობის გურიის რეგიონული საბჭოს №02-12/12, 24.12.10წ. გადაწყვეტილების საფუძველზე მინდობით აღზრდის პროგრამის ამოწურვის მომენტიდან (11.01.11წ.) მ. ს-ის სრულწლოვნების ასაკის მიღწევამდე კომპენსაციის თანხის მიღებას. იმის გათვალისწინებით, რომ მინდობით აღზრდის ანაზღაურება არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც შვილობილის მოვლისა და აღზრდისათვის მიეცემა დედობილ-მამობილს („სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 2.2² მუხ.), ხელშეკრულება იდება დედობილ-მამობილთან და უნდა მოიცავდეს მათ უფლება-მოვალეობებს, მხარეთა პასუხისმგებლობას და სხვ. გარემოებებს („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 32-ე, 35-ე მუხ.), საკასაციო პალატა თვლის, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილის მიმართ სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა საქმეში მესამე პირად (სასკ-ის მე-16 მუხ.) მ. ს-ის მამობილის (დ. მ-ის) ჩაბმავზე, რომელიც „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დედობილთან ერთად არის მიმღები ოჯახის წევრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს ნ. ც-ის საკასაციო საჩივარი, სადავო აქტების ბათილად ცნობის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სასკ-ის 9.1 მუხლის საფუძველზე მხარეები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ნ. ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.2015წ გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გურიის რეგიონული საბჭოს 21.11.14წ. №02 02 0057 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონული განყოფილების 28.11.14წ. №04-08-01/4477 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში;

4. დანარჩენ ნაწილში გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთჯერადი დახმარების გაცემის საფუძველი

განჩინება

№ბს-327-325(კ-17)

4 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ა-ემ 2016 წლის 4 მარტს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ სარჩელის დაზუსტების შემდეგ მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ერთჯერადი დახმარების – 7000 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ი. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 (შვიდი ათასი) ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად განმარტავს და არასწორ შეფასებას აძლევს მოსარჩელის კადრების განკარგულებაში ყოფნის საკითხს და თავდაც-

ვის მინისტრის №560 ბრძანების 47-ე პირველი და მეორე პრიმა და №583 ბრძანების მე-13 მუხლებს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 47-ე მეორე პრიმა მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება სამხედრო მოსამსახურეებზე გაიცემა მეორე და შემდგომი კონტრაქტის სრული ვადის ამოწურვის შემდეგ, მაგრამ ამასთანავე სახეზე უნდა იყოს პირველი კონტრაქტის უწყვეტად სრული ვადით დასრულების ფაქტი.

კასატორი აღნიშნავს, რომ ი. ა-ეს 2007 წლის 10 აპრილს გაუფორმდა №12659 კონტრაქტი, კონტრაქტის ვადა შეადგენდა 4 წელს და უნდა დასრულებულიყო 2011 წლის 10 აპრილს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის №2285 ბრძანებით ა-ე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში 2009 წლის 16 მაისიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 26 იანვრის №74 ბრძანებით იგი დაინიშნა შესაბამის თანამდებობაზე. აღნიშნულმა მოსამსახურემ არ იმსახურა პირველი კონტრაქტით გათვალისწინებული 4 წელი, კადრების განკარგულებაში იმყოფებოდა 8 თვე და შესაბამისად, არ ასრულებდა კონტრაქტით გათვალისწინებულ სამსახურეობრივ მოვალეობას, რის გამოც ვთვლით, რომ მასზე არ უნდა გაიცეს 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 47-ე მეორე პრიმა მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის გან-

სახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბე-

ბის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, №7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არსებითად სწორად გადაწყვიტეს მოცემული დავა.

დადგენილია, რომ ი. ა-ე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის №2285 ბრძანებით, გათავისუფლდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების რეინჯერთა ბატალიონის რეინჯერთა ... ასეულის რეინჯერთა ... სექციის რეინჯერთა ... ჯგუფის ... თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში 2009 წლის 16 მაისიდან. J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებიდან, ი. ა-ე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 26 იანვრის №74 ბრძანებით, დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სპეციალური ოპერაციების ძალების მოიერიშე ბატალიონ „...“ ... მოიერიშე ასეულის ... მოიერიშე ოცეულის ... მოიერიშე ათეულის ... თანაშემწედ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანების მე-

13 მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. აღნიშნული ვადის ამონურვამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის შემთხვევაში, მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ/განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან. თუ აღნიშნული ვადის ამონურვისას მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად/განთავისუფლებულად აღნიშნული ვადის ამონურვიდან მეორე დღეს. ამდენად, კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე დათხოვნილად ითვლება მხოლოდ კადრების განკარგულებაში ყოფნის 4 თვიანი ვადის გასვლისა და სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში. აღნიშნული წარმოადგენს კუმულატიურ პირობას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სამხედრო მომსახურე დათხოვნილად ითვლება კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვიანი ვადის ამონურვის მეორე დღიდან. განსახილველ შემთხვევაში კადრების განკარგულებაში მყოფი ი. ა-ის მიმართ, 4 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ბრძანება მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ არ ყოფილა გამოცემული, ამდენად არ არსებობს საკმარისი პირობა მასზე, რომ მოსარჩელე მიჩნეულ იქნეს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილად კადრების განკარგულებაში ყოფნის 4 თვიანი ვადის გასვლის მეორე დღიდან. ამასთან, ი. ა-ე 2010 წლის 26 იანვარს შესაბამის თანამდებობაზე დაინიშნა სწორედ კადრების განკარგულებიდან. აქედან გამომდინარე, ი. ა-ე გათავისუფლდა თანამდებობიდან, თუმცა მოსარჩელესთან გაფორმებული კონტრაქტი არ შეწყვეტილა და იგი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი არ ყოფილა, არამედ გადაყვანილ იქნა J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში. შესაბამისად, ი. ა-ესთან მიმართებით სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები არ წარმოშობილა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული 2007 წლის 10 აპრილის კონტრაქტის ვადის გასვლის დღეს, 2011 წლის 10 აპრილს, ი. ა-ესთან კვლავ გაფორმდა კონტრაქტი სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, ოთხი წლის ვადით. მითითებული კონტრაქტის ვადა ამოიწურა 2015 წლის 10 აპრილს. ამავე დღეს გაფორმდა ი. ა-ესთან რიგით მესამე კონტრაქტი სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, რომლის მოქმედების ვადა, ასევე განისაზღვრა 4 წლით. დღეის მდგომარე-

ობით ი. ა-ე გადის სამხედრო სამსახურს 2015 წლის 10 აპრილის კონტრაქტის ფარგლებში. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ ი. ა-ე სამხედრო სამსახურს შეუდგა 2007 წლის 10 აპრილის კონტრაქტის საფუძველზე, 4 წლის ვადით, რომლის ამონურვის შემდეგ, 2011 წლის 10 აპრილს გაფორმებული, მეორე კონტრაქტის საფუძველზე, კვლავ 4 წლის ვადით განაგრძობდა სამხედრო ვალდებულების შესრულებას. მითითებული ორივე კონტრაქტი შესრულდა მხარეთა მიერ, მისი შეწყვეტის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები არ წარმოშობილა, უფრო მეტიც მოსარჩელესთან თავდაცვის სამინისტრომ მეორე კონტრაქტით (2011 წლის 10 აპრილს გაფორმებული) განსაზღვრული ვადის ამონურვის შემდეგ, 2015 წლის 10 აპრილს კვლავ გააფორმა ახალი კონტრაქტი სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. შესაბამისად, ი. ა-ემ განახორციელა სამხედრო სამსახური ორი კონტრაქტის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 4-4 წელი და კონტრაქტებს შორის წყვეტას ადგილი არ ქონია. ამდენად, არ დასტურდება კასატორის მითითება, რომ ი. ა-ემ არ იმსახურა პირველი კონტრაქტით გათვალისწინებული 4 წელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი. ა-ე აკმაყოფილებდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური ნოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 47¹ და 47² პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნას და მასზე გაცემულ უნდა იქნეს ერთჯერადი დახმარება 7 000 ლარის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ემუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბეპელი

1. შრომითი დავები

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი	3
გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების საფუძველი	18
სამსახურიდან გათავისუფლება პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე	29
სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დისციპლინური ღონისძიების პროპორციულობა და სადავო აქტის კანონიერების შეფასება	44
პოლიციელის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი	66
გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებაზე გამგებლის ექსკლუზიური უფლებამოსილება	84

2. საპენსიო დავები

უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის პენსიის დანიშვნის საფუძველი	105
სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები სუბიექტის დადგენა	115
მიუღებელი პენსიის ანაზღაურება	132

3. კომპენსაციის საკითხები

დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძველი	159
ბავშვის მინდობით გაზრდაში გადაცემისათვის ოჯახის მიერ განეული დანახარჯების კომპენსირება	167
ერთჯერადი დახმარების გაცემის საფუძველი	188

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge